# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · პარასკევი, 29 ოქტომბერი · 1993 № 20 (67) · ფასი 430 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სარბიელის“ გამოსვლა ორ კვირაზე მეტია ვერ მოხერხდა, ამიტომ დღევანდელი ნომერი თექვსმეტგვერდიანია.

**2 არველაძეები ტრაპიზონში**

წუხელ შევიტყვეთ...

**4 ჯიშკარიანი პოლსენის მხარდამხარ**

ქართველი ლეგიონერები

**6 ორი ახალი ფინალისტი**

საუდის არაბეთი და სამხრეთი კორეა

**7 ამერიკის ნაკრები და მილუტინოვიჩი**

„სარბიელის“ კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან

**9 სენა „უილიამსში“ გადავიდა**

რა ეშველება „მაკლარენს“?

**11 ნაას ბოთას გაცილება...**



...ქართველი მორაგბე ავსტრალიაში



კალათბურთი ჩვენში ლამის ერთადერთი სახეობაა, მაყურებელი რომ სწყალობს. მთელი შარშანდელი ჩემპიონატი და რასაკვირველია, ფინალიც, რომლის ეპიზოდი გია ახალაძის ფოტოზეა აღბეჭდილი, ხალხით სავსე დარბაზში ჩატარდა. გუშინწინ მესამე ეროვნული

# საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო...

იმედია, არც მას მოაკლდება გულშემატკივარი.

# საფეხბურთო ჩემპიონატი განახლდა

**პირველი ჯგუფი. XVI ტური**

შევარდენი — მარგვეთი 2:2
თბილისი, სტადიონი „შევარდენი“. 28 ოქტომბერი

შევარდენი: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე, ჯიქია, ბუკია (ტარყაშვილი, 75), ფანცულაია, ჯანაშია.
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ჩიხლაძე, ნიქარიშვილი, გაბრიჭიძე (ლანჩავა, 15), ხუნდაძე, მეგრულაძე, სუხიაშვილი (მინაშვილი, 79), შენგელია.

1:0 ჯიშკარიანი (1)
2:0 ბაკურაძე (11)
2:1 ხუნდაძე (20)
2:2 გიგატაძე (65)

გაფრთხილება: ჩიხლაძე, ჯანაშია
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

მატჩი იმით დაიწყო, რომ პირველივე წუთზე მარჯვენა მხრიდან გია ჯიშკარიანმა კუთხურიდან ჩაახვია ბურთი კარში. ამან დააბნია ზესტაფონელები და მეორე გოლიც გაუშვეს: მარჯვენა ფრთაზე ტრავმირებული გოგიჩაიშვილის ნაცვლად გამოსულ დებიუტანტ ბუკიას დაწყებული შეტევა ელიაშვილის ლამაზი პასით დამთავრდა საჯარიმოში, სადაც ბაკურაძემ მარჯვენა ფეხით ასევე ლამაზად მოტრიალებით დაარტყა — 2:0. ზესტაფონელები კონტრშეტევას მიმართავდნენ წინწაწეული მეგრელაძის იმედად, რომელსაც კვიტატიანი და მელიქიძე დარაჯობდნენ პერსონალურად. მალე ხუნდაძემ ისარგებლა შევარდნელთა შუახაზის უყურადღებობით, რამდენიმე მეტრი ბურთიანად იარა და 30 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ცხრიანში გაგზავნა ბურთი. ტაიმის ბოლოს ისევ „შევარდენი“ გააქტიურდა და ბაბუაძემ რამდენჯერმე იხსნა კარი გოლისგან.

მეორე ტაიმის დასაწყისში თანაბარი ბრძოლა აღინიშნა. ერთ-ერთი კონტრშეტევისას ზესტაფონელებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მიიღეს. მარჯვენა კუთხიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზედ კარის ხაზთან გიგატაძემ დაუხვედრა თავი და ანგარიში გაათანაბრა. „შევარდენმა“ თავგანწირვით შეუტია, მაგრამ გონსმოსული ზესტაფონელები მშვიდად იცავდნენ თავს და კონტრშეტევაზეც გადადიოდნენ, ზოგჯერ არც ბურთის ტრიბუნებს იქით მოგერიებას თაკილობდნენ და ფრესაც მიაღწიეს.

მამუკა კვარაცხელია

# ჭადრაკი

# ჯერჯერობით 0:2

ნანა იოსელიანმა მონტე-კარლოში დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩის პირველი ორი პარტია წააგო ჩინელ სე ცზიუნთან, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, უხეირო სტარტი ნანასთვის უჩვეულო არაა (თუნდაც ჟუჟა პოლგართან შეხვედრა გავიხსენოთ) და საქმის სასიკეთოდ შემობრუნების იმედი არ უნდა გადავიწუროთ.

პირველი პარტია
იოსელიანი — სე ცზიუნი
ძველინდური დაცვა

1. a4 მ f6 2. c4 g6 3. მ c3 კ g7 4. e4 a6 5. კ e2 0-0 6. მ f3 e5 7. კ e3 h6 8. 0-0 მ g4 9. კ c1 მ c6 10. d5 მ e7 11. მ e1 h5 12. h3 მ h6 13. მ d3 f5 14. f4 მ f7 15. fe de 16. მ c5 f4 17. b4 მ g5 18. მფ h2 მფ h8 19. მ d3 მ g8 20. კ b2 ლ e7 21. c5 მ f6 22. მ f2 a5 23. კ a3 f3 24. gf მფ h7 25. მფ g2 მ: h3 26. მ: h3 მ g5 27. მ g1 მ e6 28. ე f2 მ f4+ 29. მფ f1 ლ h4 30. b5 ლ h1 31. მ e1 ლ: g1+ 32. ე f1 მ g2+ 33. მფ d2 ლ d4+ 34. კ d3 კ h6+ თეთრები დანებდნენ.

მეორე პარტია
სე ცზიუნი — იოსელიანი
ძველინდური დაცვა

1. e4 c5 2. მ f3 d6 3. d4 cd 4. მ: d4 მ f6 5. მ c3 a6 6. კ e3 e5 7. მ f3 ლ c7 8. a4 კ e7 9. a5 0-0 10. კ e2 მ c6 11. კ b6 ლ d7 12. მ d2 მ b4 13. მ a4 d5 14. c3 მ c6 15. მ c5 კ: c5 16. კ: c5 ე e8 17. კ f3 de 18. მ: e4 ლ: d1+ 19. მფ: d1 ე d8+ 20. მფ e1 მ: e4 21. კ: e4 f5 22. კ c2 კ e6 23. კ b6 ე d7 24. ე d1 ე: d1+ 25. მფ: d1 ე c8 26. ე e1 მფ f7 27. მფ c1 g6 28. f3 ე e8 29. ე d1 ე e7 30. b4 ე d7 31. ე: d7+ კ: d7 32. მფ d2 კ e6 33. კ d3 მფ e8 34. კ c5 მფ d7 35. კ e2 მფ c7 36. c4 კ c8 37. მფ c3 მ b8 38. b5 მ d7 39. კ e7 b6 40. მფ b4 ab 41. მფ: b5 ba 42. c5 მ b8 43. კ d6+ მფ b7 44. კ: b8 მფ: b8 45. მფ b6 კ e6 46. კ a6. შავები დანებდნენ

# ხტომები

# სოფერია და დოლონაძე

შვეიცარიაში 14-16 ოქტომბერს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. საქართველოს ნაკრები ამ ჩემპიონატში წარმოდგენილი იყო სამი სპორტსმენით. სინქრონულ ხტომებში ანა დოლონაძემ და რუსუდან ზოფერიამ დაიკავეს მეორე ადგილი 46,3 ქულით. ინდივიდუალურ ხტომებში ანამ და რუსუდანმა 36,5 ქულა დააგროვეს — ორივეს ვერცხლის მედალი გადაეცა.

# რუსები და პოლონელები ამხილეს

ნოემბერში ავსტრალიაში გასამართი ძალოსანთა მსოფლიო პირველობა რუსებისა და პოლონელების გარეშე ჩატარდება. საერთაშორისო ფედერაციამ ამ ორ ქვეყანას გუშინწინ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინა იმის გამო, რომ ბოლო ერთ თვეში სამ-სამი რუსი და პოლონელი ამხილეს სტეროიდების მიღებაში.

# კასპაროვი ჩემპიონია



გარი კასპაროვმა მე-20 პარტიაში სძლია ნაიჯელ შორტს და მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი დაიმშვენა. მანამდე მე-16 პარტიაში შორტმა მოიგო, მე-17, მე-18, მე-19 პარტიები კი ყაიმით დამთავრდა. წესით დიდოსტატები კიდევ 4-ჯერ უნდა მისხდომოდნენ დაფას, მაგრამ ორგანიზატორებმა რეგლამენტი შეცვალეს და მეტოქეებმა ბოლო დღეს ორი დასკვნითი პარტია ითამაშეს, ერთი ბლიცი, რომელიც ჩემპიონმა მოიგო, მეორე კი წინასწარ დათქმული დებიუტით, ყაიმით დამთავრდა.

ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატში კი 18 პარტიის შემდეგ ანატოლი კაროვი უგებს იან ტიმანს 11,5:6,5.

# «ერქვანი» ჩემპიონატს გააგრძელებს

15 ოქტომბერს ჭიათურაში უნდა შემდგარიყო ეროვნული ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „მაღაროელსა" და გურჯაანის „ერქვანს" შორის, მაგრამ მატჩი არ შედგა, რადგან „ერქვანი" არ ჩავიდა ჭიათურაში.

**ჯონი ჯანელიძე** („ერქვანის" მთავარი მწვრთნელი): მატჩამდე ორი დღით ადრე, გუნდის საერთო კრებაზე ასოციაცია „ერქვანის" ხელმძღვანელობამ სიტყვიერად მომხსნა მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან. მიუხედავად ამისა, მე მაინც მივედი 15 ოქტომბერს მაუდ-კამვოლის სტადიონზე ათის ნახევარზე, სადაც უნდა შეკრებილიყო გუნდი ჭიათურაში წასასვლელად. იქ დამხვდნენ: მწვრთნელი გია გილიგაშვილი და ფეხბურთელი ზაზა ინიაშვილი. კიდევ ერთი ფეხბურთელი, გაგნიძე გორში გველოდებოდა. ამასობაში გურჯაანიდან ჩამოვიდა მწვრთნელი ალიოშა არევაძე, რომელმაც ავტობუსი ჩამოიყვანა ჭიათურაში გასამგზავრებლად, მაგრამ ფეხბურთელები არა და არ ჩანდნენ. არადა წინა დღეს მე ვესაუბრე ფეხბურთელებს, ვთხოვე, რომ არ გადაედგათ ეს ნაბიჯი და წასულიყვნენ სათამაშოდ. მაგრამ მათ არ შეისმინეს ჩემი სიტყვები. მე მესმოდა მათი, რადგან ბევრ მათგანს არ შეუსრულეს დანაპირები, არ გვქონდა ბუცები, სათამაშო ბურთიც კი. არადა ამ ბიჭებს ოჯახები ჰყავთ, მატერიალურად უჭირთ. მათ ეგონათ, რომ ამ ნაბიჯით გააფრთხილებდნენ გუნდის ხელმძღვანელობას. მათ ისევ შარშანდელი დებულება ეგონათ, როდესაც გუნდი მეორე მატჩზე გამოუცხადებლობისთვის იხსნებოდა ჩემპიონატიდან. ჩემს დანაშაულს იმაში ვხედავ, რომ არ გავაცანი ფეხბურთელები ახალ დებულებას.

**გია გილიგაშვილი:** ჩემთვის რამდენიმე დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ 3-4 ფეხბურთელი ფინანსური პრობლემების გამო არ წამოვიდოდა ჭიათურაში. მაგრამ ვიფიქრე, 12-13 კაცი მაინც მოვიდოდა და გავემგზავრებოდით. სამწუხაროდ, ფეხბურთელები არ გამოცხადნენ და ბუნებრივია ველარ გავემგზავრეთ.

ამის შემდეგ ვესაუბრე ფეხბურთელებს. მათ მთხოვეს გვარები არ ჩამომეთვალა და ყველას სათქმელი ერთად მეთქვა:

— გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე შეიქმნა ჯონი ჯანელიძის ძალისხმევით. თავიდანვე გვესმოდა, რომ დაშლის საშიშროების წინაშე ვიდექით, კლუბს არ ჰყავდა პრეზიდენტი და სხვათაშორის, არც ახლა ჰყავს. მუდამ იგვიანებდა ხელფასები, არ გვქონდა ბუცები, ბურთები. ხანდახან სათამაშო ბურთიც კი არ გვქონდა. ის კი არა, ხაშურის „ივერიასთან" მეტოქეს რომ არ მოეტანა ბურთი, თამაში საერთოდ ჩაიშლებოდა. რაიონის ხელმძღვანელობა არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდა, არ შეგვისრულეს დანაპირები. ამიტომ იძულებულნი გავხდით ეს ნაბიჯი გადაგვედგა. ჩვენ ისევ შარშანდელი დებულება გვეგონა, როდესაც გუნდი მეორე გამოუცხადებლობისთვის იხსნებოდა ჩემპიონატიდან.

**ვალერი გახოკია** (ასოციაცია „ერქვანის" ფეხბურთის განყოფილების უფროსი): დღესდღეობით გუნდს ჩვენ ვინახავთ, თუმცა გურჯაანის რაიონიც და მისი ხელმძღვანელობაც მხარში უნდა ამოგვდგომოდა. სამწუხაროდ, გურჯაანის გამგებელი მანიჟაშვილი ამასწინათ გარდაიცვალა. ახალმა გამგებელმა თქვა, რომ ერთ თვეში მოაგვარებდა ყველა პრობლემას, მაგრამ ფეხბურთელებმა არ მოიცადეს და ეს დამღუპველი ნაბიჯი გადადგეს. ჩვენ შეგვეძლო, ის ფული, რასაც გუნდს ვახმართ, ჩვენი საქმეებისთვის გამოგვეყენებინა, მაგრამ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გავიღეთ თანხები და მომავალშიც გავიღებთ. ვფიქრობთ ახალი გამგებელი ყველა ვალდებულებას შეასრულებს და საერთო ძალებით გადავარჩენთ გუნდს.

20 ოქტომბერს სადისციპლინო კომისიამ განიხილა აღნიშნული ფაქტი და დებულების თანახმად „ერქვანი" მოხსნა გათამაშებიდან. გარდა ამისა, კლუბს დაეკისრა ჯარიმა — 5 000 000 კუპონი. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „ერქვანის" ხელმძღვანელობამ დაწერა აპელაცია და საექსპერტო კომისიაში შეიტანა, რომლის სხდომა ამ საკითხზე 27 ოქტომბერს შედგა და რამდენიმე საათს გრძელდებოდა. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ჯონი ჯანელიძე, გია გილიგაშვილი, ალიოშა არევაძე, ვალერი გახოკია, „ერქვანის" ფეხბურთელები. ჯონი ჯანელიძემ აღნიშნა, რომ კლუბს ძალიან დააკლდა პრეზიდენტის მიხეილ ფურცელაძის ხელი, ფეხბურთისთვის თავდადებული ამ ადამიანის გვერდით მართლაც შეიძლებოდა მუშაობა. მთავარმა მწვრთნელმა სთხოვა კომისიის წევრებს, შეეწყალებინათ გუნდი და მკაცრი ფინანსური თუ ადმინისტრაციული სასჯელები დაედოთ თვითონ კლუბის, ფეხბურთელებისა და ხელმძღვანელებისათვის.

საბოლოოდ საექსპერტო კომისიამ „ერქვანი" დასტოვა უმაღლეს ჯგუფში და ფინანსური სანქციები კლუბის მიმართ ძალაში დასტოვა.

**ანტონ ონიანი** (საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე): „პირადად ჩემი აზრით, რომ ახლა საქართველოში გუნდის მოხსნას მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს და არა მარტო ფეხბურთისათვის. ფეხბურთის, გულშემატკივართა და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილება კლუბის შეწყალებისა, რასაც საექსპერტო კომისიის ყველა წევრი უსიტყვოდ დაეთანხმა. ფინანსური და სხვა ადმინისტრაციული სანქციები კი ძალაში დავტოვეთ. კლუბის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს მიეცათ ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია".

საბოლოოდ თავად კლუბმა ზემოთაღნიშნულ სანქციებს თავისიც დაამატა: ყველა ფეხბურთელი 100 000 კუპონ ჯარიმას გადაიხდის.

ასე დასრულდა „ერქვანის" ერთკვირიანი თამაშგარე „ოდისეა".

მამუკა კვარაცხელია

# არველაძეები ტრაპიზონში

24 ოქტომბერს თბილისის დინამოელები თურქეთს გაემგზავრნენ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. წასვლის წინ ვესაუბრეთ „ჩემოდნებზე მჯდარ" **გივი ნოდიას:** — წელს 26 მაისს საქართველოს თასის ფინალზე ქალაქ ტრაპიზონის მთავარი გუნდის, „ტრაბზონსფორის" ხელმძღვანელები იყვნენ. მათ იმ დღესვე მიგვიწვიეს თავიანთ ქვეყანაში ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. დავთქვით დღეც — 1 აგვისტო, მაგრამ ამ დროისათვის, მოგეხსენებათ, ჩვენ ჩემპიონთა თასისთვის ვემზადებოდით და ვერ ჩავედით ტრაპიზონში. თურქებმა ხელახლა გამოგვიგზავნეს მიწვევა და გვთხოვეს 26 ოქტომბერს გვეთამაშა. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ თურქებს „კალიარისთან" უეფა-ს თასის განმეორებითი მატჩი აქვთ სათამაშო და სპარინგ-პარტნიორობა გვთხოვეს. მატჩი საქველმოქმედო იქნება და მისი შემოსავალი აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების ფონდს გადაეცემა.

P. S. „ტრაბზონსფორთან" მატჩი არ შედგა. „დინამომ" 5:0 მოუგო ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბს. როგორც შევიტყვეთ, არჩილ და შოთა არველაძეები თურქეთში დარჩნენ და სეზონის ბოლომდე „ტრაბზონსფორში" ითამაშებენ.

## აღმოსავლეთი
## პირველი ჯგუფი. XIV ტური

**მრეტები 2 — მარგვეთი 2**

მცხეთა. ცენტრალური სტადიონი. 15 ოქტომბერი.

მრეტები: ჯანელიძე, ქვარცხავა, ამბიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი (ირემაშვილი, 46), ბურდული, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ჯულელი.
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ნიქარიშვილი, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, ლანჩავა (სუხიაშვილი, 10), შენგელია.

1:0 ტყავაძე
1:1 მეგრელაძე (50)
1:2 ხუნდაძე (75)
2:2 ბურდული

გაფრთხილება: ლონლაძე
გაძევება: ლონლაძე (27)
მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

**ივერია 3 — მეტალურგი 1**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 15 ოქტომბერი.

ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, გ. ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია (ლაცაბიძე, 61), ტყემალაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე.
მეტალურგი: ქორიძე, ჩოჩიევი, ბურნაძე, არჩვაძე, დიმიტრიშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, მაჭავარიანი, მ. მელაძე, ალადაშვილი (არსოშვილი, 87).

1:0 მარლიშვილი (32)
2:0 ქობელაშვილი (43)
3:0 მაქაცარია (54)
3:1 ვ.კილასონია (66)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**დილა 3 — კახეთი 2**

გორი. ცენტრალური სტადიონი. 15 ოქტომბერი.

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, წკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი (რევაზიშვილი, 78), მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი (მეტრეველი, 70), ხაჭაპურიძე.
კახეთი: ვაზაგაშვილი. ა. ხორხელი, ტოგონიძე, სანადირაძე, ნიქარიშვილი, ჭვრიტიძე, სეფაშვილი, ალავიძე (შონია, 30), კალუა, კვარაცხელია, მაღრაძე (ბაბულაიძე, 46).

1:0 ტაბატაძე (5)
2:0 მინდიაშვილი (15)
2:1 ჭვრიტიძე (65)
2:2 შონია (89)
3:2 გაგნიძე (90, პ)

გაფრთხილება: ტაბატაძე
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

მაღაროელი — ერქვანი 3:0
ერქვანი არ გამოცხადდა
საპოვნელა — შევარდენი 1906
არ ჩატარდა

## IX ტური

**ივერია 2 — შევარდენი 1906 0**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 19 ოქტომბერი.

ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია (ტყემალაძე, 85), გ.ჩადუნელი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე.
შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, ტარტარაშვილი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე, ჯიქია, გოგიჩაიშვილი, ფანცულაია (ტარყაშვილი, 46), ჯანაშია.

1:0 ქობელაშვილი (60)
2:0 ხარაზიშვილი (89)

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**მრეტები 1 — დინამო 4**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 19 ოქტომბერი.

მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი, ქვარცხავა, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული.
დინამო: ჩხეიძე, ნემსაძე, ქველაძე, ლობჟანიძე, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ანჩაბაძე, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ.არველაძე.

1:0 ინალიშვილი (45)
2:0 შ.არველაძე (50, პ)
3:0 შ.არველაძე (55)
3:1 ტყავაძე (65, პ)
4:1 ქინქლაძე (85)

მსაჯი: ე.სილაგავა (თბილისი)

**მაღაროელი 0 — საპოვნელა 0**

ჭიათურა. ცენტრალური სტადიონი. 19 ოქტომბერი

მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, კიპაროიძე, რუხაძე, ბურძენიძე, აბრამიშვილი, ბრეგვაძე, ბუიშვილი, კავთელაძე, ჯ.ნიკლაური, მჟერაშვილი (ხახიშვილი, 70).
საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი, გეწაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე.
გაფრთხილება: ძიძიშვილი
მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

## XV ტური

**საპოვნელა 4 — მარგვეთი 2**

თერჯოლა. ცენტრალური სტადიონი. 24 ოქტომბერი.
საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი, გეწაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია (გურაბანიძე, 66), უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე.
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ჩიხლაძე, ნიქარიშვილი, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, ლანჩავა, მინაშვილი.

1:0 ჩინჩალაძე (27)
1:1 ხუნდაძე (35)
2:1 ჩინჩალაძე (56)
2:2 მეგრელაძე (60)
3:2 ჩინჩალაძე (65)
4:2 ბრეგვაძე (70)

მსაჯი: ე.სილაგავა (თბილისი)

**მრეტები 2 — კახეთი 1**

მცხეთა. ცენტრალური სტადიონი. 24 ოქტომბერი.
მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი, ქვარცხავა, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული.
კახეთი: გრიშიკაშვილი, ჭაჭუა, ტოგონაიძე, სანადირაძე, ნიქარიშვილი, სეფაშვილი, მაღრაძე, შონია, კალუა, ა.ხორხელი, ს.ბაბულაიძე.

1:0 ჩუხუა (10)
2:0 ტყავაძე (46 პ)
2:1 კალუა (70 პ)
გაფრთხილება: ჩუხუა, სანადირაძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ივერია 1 — დილა 1**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 24 ოქტომბერი.

ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი (რობაქიძე, 51), სამხარაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, გ. ჩადუნელი (ტყემალაძე, 72), მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე.
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, წკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი (რევაზიშვილი, 84), მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი (ხაჭაპურიძე, 72).

0:1 მინდიაშვილი (47)
1:1 ქობელაშვილი (5)
მსაჯი: მ. ჭელიძე (თბილისი)

**მაღაროელი 3 — მეტალურგი 1**

ჭიათურა. ცენტრალური სტადიონი. 24 ოქტომბერი

მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, კიპაროიძე, აბრამიშვილი, ბრეგვაძე (სამხარაძე, 75), ბუიშვილი, კავთელაძე, ნიკლაური (შეყლაშვილი, 75), მწყერაშვილი.
მეტალურგი: ქორიძე, დიმიტრიშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, დუშუაშვილი (მელაძე, 65), ვ. კილასონია (მაჭავარიანი, 82), ამბიძე, გ. კილასონია, ჩოჩიევი, ლუდუშაური, ალადაშვილი.

0:1 ალადაშვილი (5)
1:1 აბრამიშვილი (35)
2:1 ლურსმანაშვილი (75, პ)
3:1 მწყერაშვილი (80)

გაფრთხილება: არჩვაძე
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

## XVI ტური

27 ოქტომბერი
მრეტები — ივერია 1:3
28 ოქტომბერი
შევარდენი 1906 — მარგვეთი 2:2
საპოვნელა — კახეთი ?
მაღაროელი — დილა ?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 9 | 0 | 0 | 37-7 | 27 |
| მაღაროელი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-17 | 20 |
| ივერია | 11 | 5 | 4 | 2 | 16-10 | 19 |
| მარგვეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 24-18 | 18 |
| შევარდენი | 10 | 5 | 1 | 4 | 18-17 | 16 |
| კახეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 19-16 | 14 |
| საპოვნელა | 11 | 4 | 2 | 5 | 16-12 | 14 |
| ერქვანი | 9 | 2 | 4 | 3 | 13-18 | 10 |
| დილა | 10 | 3 | 1 | 6 | 10-17 | 10 |
| მრეტები | 11 | 2 | 1 | 8 | 9-31 | 7 |
| მეტალურგი | 11 | 2 | 0 | 9 | 11-31 | 6 |

## მეორე ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

X ტური. 16 ოქტომბერი
რკონი — შირაქი 3:1
ნაფარეული — თეთრი არწივი 2:1
თორი — ჭაბუკიანი 1:1
მესხეთი — ერქვანი-ზოოვეტი 0:0
სიონი — მერანი 91 1:1
არმაზი — ანცი 0:3
არაგვი — მერანი ბაჩო 2:3
არმაზი 90 — ქართლი 0:1
დურუჯი — ბახტრიონი 4:2

V (გამოტოვებული) ტური. 20 ოქტომბერი
არაგვი — რკონი 1:0
არმაზი 90 — არმაზი 1:1
დურუჯი — სიონი 4:2
ქართლი — თორი 1:2
მერანი ბაჩო — ნაფარეული 1:1
ანცი — შირაქი 7:0
მერანი 91 — თეთრი არწივი 0:3
ერქვანი ზოოვეტი — ჭაბუკიანი 1:0
ბახტრიონი — მესხეთი (23 ოქტ.) 4:1

XI ტური. 25 ოქტომბერი
ბახტრიონი — რკონი 2:0
ქართლი — დურუჯი 0:0
მერანი ბაჩო — არმაზი 90 2:1
მერანი 91 — არმაზი 3:0
ერქვანი ზოოვეტი — სიონი 1:0
ჭაბუკიანი — მესხეთი 4:1
თეთრი არწივი — თორი 3:1
შირაქი — ნაფარეული 1:0
ანცი — არაგვი (24 ოქტ.) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანცი | 8 | 7 | 0 | 1 | 25-3 | 21 |
| თეთრი არწივი | 8 | 6 | 0 | 2 | 22-8 | 18 |
| დურუჯი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-9 | 16 |
| ნაფარეული | 8 | 5 | 1 | 2 | 14-8 | 16 |
| ჭაბუკიანი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-7 | 14 |
| მერანი-ბაჩო | 8 | 4 | 2 | 2 | 12-12 | 14 |
| მესხეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-14 | 11 |
| შირაქი | 8 | 3 | 2 | 3 | 6-14 | 11 |
| სიონი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-11 | 10 |
| რკონი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-15 | 10 |
| არაგვი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| ბახტრიონი | 8 | 3 | 0 | 5 | 11-16 | 9 |
| თორი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-10 | 9 |
| არმაზი-90 | 8 | 2 | 2 | 4 | 10-11 | 8 |
| ერქვანი-ზოოვ. | 8 | 2 | 2 | 4 | 7-15 | 8 |
| ქართლი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| მერანი-91 | 8 | 1 | 2 | 5 | 5-18 | 5 |

## III ჯგუფი. I ქვეჯგუფი

VIII ტური. 15 ოქტომბერი
შუამთა — ქიზიყი 0:5
იმედი — გარეჯი 3:0
ფხოვი — მერანი (ყოფილი პონი) 1:2

IX ტური. 19 ოქტომბერი
მერანი — იმედი 1:0
გარეჯი — სამგორი 3:1

X ტური. 24 ოქტომბერი
ქიზიყი — გარეჯი 3:0
სამგორი — მერანი 0:1
იმედი — ფხოვი 7:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქიზიყი | 4 | 4 | 0 | 0 | 16-3 | 12 |
| მერანი | 6 | 4 | 0 | 2 | 7-8 | 12 |
| იმედი | 6 | 4 | 0 | 2 | 15-4 | 12 |
| გარეჯი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| ფხოვი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-13 | 3 |
| შუამთა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-12 | 3 |
| სამგორი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-8 | 3 |

მარნეულის „ალგეთი" გამოეთიშა გათამაშებას.

## II ქვეჯგუფი

VIII ტური. 15 ოქტომბერი
ვიქტორია — იმედი 6:1
ავაზა — იბერია 2:2
ტორპედო 2 — ყინვალი 5:1
ცხინვალი — მუხნარი 2:0

IX ტური. 19 ოქტომბერი
ცხინვალი — ვიქტორია 2:1
ყინვალი — ავაზა 4:1
იბერია — იმედი 12:0

X ტური. 24 ოქტომბერი
ვიქტორია — იბერია 0:1
იმედი — ყინვალი 2:6
ავაზა — მუხნარი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 6 | 4 | 1 | 1 | 23-6 | 13 |
| ყინვალი | 6 | 4 | 1 | 1 | 20-14 | 13 |
| ცხინვალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| ტორპედო 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 12-9 | 8 |
| მუხნარი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-8 | 7 |
| ვიქტორია | 6 | 2 | 1 | 3 | 14-6 | 7 |
| ავაზა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-12 | 5 |
| იმედი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-41 | 0 |

## თბილისის ჩემპიონატი

ფიზკ. ინსტ. — რეფერი 2:2
ალგეთი — ივერია 2:7
მეტრო — ალგეთი 2:0
მეტრო — თეთრი არწივი-2 2:0
ივერია — რეფერი 11:6
ივერია — თეთრი არწივი-2 2:5
მეტრო — ფიზკ. ინსტ. 3:0
მეტრო — გეიკო-ჩემპიონი 3:2
თეთრი არწივი-2 — ალგეთი 6:0
ალგეთი — რეფერი 9:0
თეთრი არწივი-2 — რეფერი 4:1
ივერია — ფიზკ. ინსტ. 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტრო | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| თ. არწივი-2 | 4 | 3 | 0 | 1 | 15-5 | 9 |
| ივერია | 4 | 3 | 0 | 1 | 23-15 | 9 |
| ივერია | 4 | 1 | 0 | 3 | 11-15 | 3 |
| ფიზკ. ინსტ. | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| რეფერი | 4 | 0 | 1 | 3 | 9-26 | 1 |
| გეიკო-ჩემპიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი

# ჯერჯერობით

## შვეიცარელები და სლოვენები გვიგებენ...

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (16 წლამდე) სლოვენიაში გამართულ ევროპის შესარჩევ მატჩებში მარცხი განიცადა: ერთნაირი ანგარიშით — 1:4 დამარცხდა შვეიცარიელებთან და სლოვენებთან. ნაკრები ამ შემადგენლობით გაემგზავრა:

**მოთამაშეები: გიორგი გაბელია (დაიბადა 1977 წ. თბილისი), გიორგი გომარელი (77, თბ.), მიხეილ მესხი (78, თბ), გიორგი ჭანკოტაძე (77, თბ), მიხეილ ასათიანი (77, თბ), ალექსანდრე იაშვილი (77, თბ), სულიკო დავითაშვილი (77, თბ), პაატა მესხი (78, თბ), დავით მუჯირი (78, თბ), რატი ალექსიძე (78, თბ), გიორგი შენგელია (79, თბ), მამუკა ვაშაკიძე (77, სამტრედია), კარლო კალაძე (77, სამტრედია), შოთა ჩომახიძე (77, სამტრედია), ზურაბ ქართველიშვილი (77, ვანი), შალვა კუკულაძე (77 ლანჩხუთი). მთ. მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, მწვრთნელი ნოდარ ხიზანიშვილი, ექიმი ზაზა მექვაბიშვილი, მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი. დელეგაციას ახლდა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.**

გამგზავრების წინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გაიოზ დარსაძემ** ასეთი ინტერვიუ მოგვცა:

— ფედერაციამ ყველა პირობა შეგვიქმნა ნორმალური მზადებისათვის. პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ ავიყვანეთ ნიჭიერი ბავშვები ისეთი საფეხბურთო რეგიონებიდან, როგორიცაა: გაგრა, სოხუმი, ოჩამჩირე, გალი, ზუგდიდი, ფოთი, ქუთაისი, ბათუმი, თუმცა ვფიქრობ, ამ გუნდიდან 3-4 კაცი მომავალში დიდ ფეხბურთს ითამაშებს. მხარში მიდგანან ნოდარ ხიზანიშვილი, ზაზა მექვაბიშვილი, ანზორ გაბიტაშვილი და განსაკუთრებით ნოდარ ახალკაცი. მე ბევრი ვისწავლე მისგან, ისევე როგორც ჩემი უფროსი მეგობრის, პაველ სადირინისგან. ახლა მოდაშია წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალება, მე კი ვაცხადებ — ნაკრების წარუმატებლობა მხოლოდდამხოლოდ ჩემი ბრალი იქნება!

ჩვენს ნაკრებს პირველი მატჩი 20 ოქტომბერს უნდა ეთამაშა ქალაქ იზოლაში შვეიცარიასთან, მაგრამ თავსხმა წვიმის გამო მატჩი 21-ში გადაიტანეს. ჩვენმა ბიჭებმა მხოლოდ ბოლო წუთებში დათმეს მატჩი შვეიცარიელებთან (ახალგაზრდები 40-40 წუთიან ტაიმებს თამაშობდნენ), რაც ალბათ გამოუცდელობითა და არასაკმარისი ფიზიკური მომზადებით აიხსნება. სან-მარინოელმა მსაჯმაც თავისი წვლილი შეიტანა. როგორც ნაკრების წევრებმა თქვეს, ორი აშკარა პენალტი არ დანიშნა შვეიცარიელთა კარში. მეორე მატჩის დასაწყისშივე გუნდის ლიდერს იაშვილს შეჯახებისას თავი გაუტყდა და მორალურად გატეხილ ბიჭებს კიდევ უფრო გაურთულდათ საქმე. საბოლოოდ იმავე ანგარიშით დამარცხდნენ. თანაც მეორე თამაში ზედიზედ მეორე დღეს ითამაშეს, სლოვენებს კი ოთხი დღე ჰქონდათ დასასვენებლად. საბოლოოდ ჯგუფში გამარჯვება შვეიცარიელებს ხვდათ წილად და გაისად ირლანდიაში, ფინალურ ტურნირზე, ისინი იასპარეზებენ.

რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, ამ წაგებიდან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. როდესაც ქვეყანაში პური არ არის, მოზარდი ნორმალურად არ იკვებება, რა დატვირთვაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. ბუნებრივია, ჯერჯერობით უზრუნველყოფილი ქვეყნების ნაკრებები გვაჯობებენ. იმედია, ახალგაზრდა მწვრთნელი გაიოზ დარსაძე სწორ დასკვნებს გამოიტანს დამარცხებიდან და მეტი სიდინჯითა და გულმოდგინებით შეუდგება მუშაობას. ეს ალბათ ასეც იქნება, რადგან გაიოზმა ჩამოსვლისას გამიმეორა წასვლის წინ ნათქვამი სიტყვები, რომ ნაკრების წარუმატებლობა მხოლოდდამხოლოდ მისი ბრალია.

მამუკა კვანტალიანი

**ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. სლოვენია**

19 ოქტომბერი
შვეიცარია — სლოვენია 2:1

21 ოქტომბერი
შვეიცარია - საქართველო 4:1
შვეიცარია: როსი, ლამპრეი, ჯენი, ჯალმი, ვანეტა, რიდვილი, ფენვიერი, სანსონე, სურე, ზიგლერი, ბელი.
საქართველო: გაბელია (გომარელი, 78), მესხი, ჭანკოტაძე, ვაშაკიძე, ქართველიშვილი, ასათიანი, ჩომახიძე, კალაძე, დავითაშვილი, იაშვილი, შენგელია (მუჯირი, 35).
1:0 სანსონე (34)
1:1 მუჯირი (53)
2:1 ფენვეიერი (67)
3:1 სურე (75)
4:1 ზიგლერი (80)

77-ე წუთზე უხეში თამაშისთვის გააძევეს ასათიანი

22 ოქტომბერი
სლოვენია — საქართველო 4:1
სლოვენია: პანდანოვიჩი, ნოტრსბერგი, ვუდალიჩი, კოსი, ბაბიჩი, საბლაკი, კორენი, ზილგარი, სენი, რაკოვიჩი, ტასიჩი.
საქართველო: გომარელი, მესხი, ჭანკოტაძე, ვაშაკიძე, ქართველიშვილი, ალექსიძე, ჩომახიძე, კალაძე, დავითაშვილი, იაშვილი (კუკულაძე, 15; შენგელია, 55), მუჯირი.
1:0 რაკოვიჩი (2)
2:0 ტასიჩი (11)
3:0 რაკოვიჩი (15)
3:1 ჩომახიძე (50)
4:1 ზილგარი (70)

# ოთხი ათეული მსაჯი

თამაზ ლაცაბიძე დღეს ერთადერთი ქართველი მსაჯია, რომელსაც შეუძლია ჩვენი რესპუბლიკის სახელით გამოსვლა მსოფლიოს სტადიონებზე. ალბათ გახსოვთ, რომ კუპერის ტესტის ვერჩაბარების გამო სეფიაშვილსა და კვარაცხელიას აეკრძალათ წელს საერთაშორისო მატჩების მომსახურება. საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციამ გაისისთვის ფიფა-ს არბიტრის წოდების მოსაპოვებლად ამ ორგანიზაციაში რეკომენდაციები მისცა შემდეგ მთავარ მსაჯებს:

თ. ლაცაბიძეს, გ. სეფიაშვილს, მ. მალაღურიძეს, ს. კვარაცხელიას, ლ. მგელაძეს, ს. კახიანს, პ. დოგრაშვილს, ო. გუნთაძეს, ა. შილაკაძეს, გ. ხეჩუაშვილს და გვერდით მსაჯებს: თ. მაჭარაძეს, მ. ჯულაყიძეს, ვ. ჩოჩიშვილს, მ. ელიკაშვილს, გ. ტაბატაძეს, ა. მერკვილაძეს, ზ. დოლიძეს, კ. გაბრიაძეს, ა. წერეთელს, შ. ბერიძეს.

ფიფა-ს მიერ შერჩეული მსაჯების შეკრებაზე გამოძახების შემთხვევაში მსაჯები ვალდებულნი იქნებიან ჩააბარონ ფიზმომზადების ნორმატივები თბილისში. ვერჩაბარების შემთხვევაში ისინი შეკრებაზე არ გაიგზავნებიან.

გარდა ამისა მსაჯთა ასოციაციამ შემოიღო ეროვნული კატეგორიის არბიტრების წოდება და მიანიჭა იგი ათ საუკეთესო მსაჯს. ისინი წინა ჩემპიონატში მოხვდნენ ათეულში და საპატიო წოდებებიც ამიტომ მიიღეს:

მ. კობიაშვილი, ს. კვარაცხელია, თ. ლაცაბიძე, თ. მაჭარაძე, თ. ლორთქიფანიძე, შ. ხანიაშვილი, ე. სილაგავა, მ. მალაღურაძე, ვ. ეჯიბია, ო. გუნთაძე.

ეროვნული კატეგორიის არბიტრების წოდება იმ ქართველ მსაჯებსაც მიანიჭეს, გასული ათწლეულების მანძილზე თავისი წვლილი რომ შეიტანეს ქართული სამსაჯო სკოლის განვითარებაში:

კარლო ყრუაშვილი, ანატოლი მილჩენკო, ველოდი მიმინოშვილი, ილია ბოჭორაძე, გურამ გვენცელაძე, ნიკოლოზ ამირეჯიბი, გურამ აკობაშვილი, ავთანდილ კოკაია, გურამ გაბესკირია, გურამ სეფიაშვილი.

# სოხუმი დაეცა „ცხუმი" იბრძოლებს!



15 ოქტომბერს, აღმოსავლეთ ზონის გუნდები მეთოთხმეტე ტურის მატჩებს რომ თამაშობდნენ, სოხუმის „ცხუმის" ფეხბურთელები ფეხბურთის ფედერაციის შენობის წინ იკრიბებოდნენ. ძნელი იყო უცრემლოდ გეცქირა მათი შეხვედრისთვის, რადგან ზოგიერთს ერთმანეთი ცოცხალიც აღარ ეგონა. მალე ფედერაციის მესამე სართულზე ცხუმელებმა მინი-კრება ჩაატარეს. კრებას დაესწრნენ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ კაკულია, მთავარი მწვრთნელი ნიკა ამირეჯიბი, მეორე მწვრთნელი მერაბ გოგოხია და ფეხბურთელები: გიორგი გოგიაშვილი, მიხეილ საჯაია, ლავრენტი გაგუა, ზვიად ჯელაძე, თენგიზ სიჭინავა, შერმადინ დანელია, ზური ქვაჩახია, კლიმენტი ნინუა და გაიოზ ჯეჯელავა. ვერ დაესწრნენ „ცხუმის" პრეზიდენტი გურამ გაბესკირია (უგზო-უკვლოდაა დაკარგული), მენეჯერი აკაკი პაპავა (დაჭრილია და მკურნალობს), ექიმი იურა ხაბურზანია (გმირულად დაიღუპა), ადმინისტრატორები ავთო ჭედიშვილი (ქუთაისშია) და ვოვა ტორისიანი (თბილისშია). მოთამაშეები: მეკარე როლანდ კვარაცხელია (უკანასკნელად სოხუმში ნახეს ავტომატით ხელში), გიზო ჯელაძე (თბილისშია), მამუკა რუსია (ზუგდიდშია), მურთაზ ოჩიგავა (ბანძაშია), ზურაბ მინდაძე (ადლერშია), ლევან მიქაძე (ხობშია), თეიმურაზ გადელია, ზაზა ღურწკაია (ორივე ვოლგოგრადშია). ნიკა ამირეჯიბმა თქვა: „კლუბმა უნდა იცოცხლოს და მთელს მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ ქართველების დამარცხება დროებითია. ახლა გუნდში დარჩენა გმირობაა და ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს გმირობა ჩავიდინოთ, ვინც არ დარჩება, ის გმირობას ვერ ჩაიდენს. ყველას გიჭირთ, მაგრამ უნდა გაუძლოთ. მე შემიძლია ნებისმიერ გუნდში ადგილი ვიშოვო, მაგრამ გუნებაშიც არ გამივლია მსგავსი რამ. ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ქართველები ვართ, თორემ ვირთხებივით გაფანტვაზე ადვილი არაფერია".

ნოდარ კაკულია: „გუნდი უნდა შევინარჩუნოთ. რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდა სოხუმელი ბიზნესმენი ნუგზარ გოგია, რომელმაც აღგვითქვა, რომ ორიოდ კვირაში მოაწესრიგებს თავის საქმეებს და გუნდს მიხედავს. სანამ გურამ გაბესკირია გამოჩნდება, ჩვენ ვიზრუნოთ გუნდზე. ნუგზარ გოგია ყველანაირად დაგვეხმარება, მალე ჩვენს ავტობუსსაც ჩამოვიყვანთ. შეძლებისდაგვარად ყველას დაგეხმარებით".

ფეხბურთელებმა თქვეს, რომ მაქსიმალურად ეცდებიან გუნდის შენარჩუნებას.

შეგახსენებთ, რომ გაიხსნა ფ.კ. ცხუმის ანგარიში: ა/ბ „საქართველო". 700161319. მფო 522801. „ცხუმი" 609 034. ამ ანგარიშზე პირველი თანხა ჩარიცხა ფ.კ. „მრეტების" მთავარმა მწვრთნელმა ვაჟა ჩხაიძემ — 100 დოლარი. სხვათაშორის, ბატონი ვაჟა ამასწინათ ვაგზლის მოედანზე ვნახე, საკუთარი ოჯახის ფულს უსახსროდ დარჩენილ ლტოლვილებს ურიგებდა. იმედია სხვა გუნდებიც მიბაძავენ „მრეტების" საქციელს და „ცხუმს" შეუნარჩუნებენ სრულიად საქართველოს.

„ცხუმის" სპონსორთან, ბატონ ნუგზარ გოგიასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, სვანეთში იმყოფებოდა. ერთ კვირაში იგი თბილისში იქნება და უეჭველად შეგახვედრებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

# გაიოზ ჯეჯელავა:



ეს სურათი 1991 წლის იანვარში გადაიღო გაზეთ „ქართული ფეხბურთის" ფოტოკორესპონდენტმა ელდარ მალხაზიშვილმა ეშერაში, სადაც „ცხუმი" მეორე ეროვნული ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. „კოტაიკთან" ამხანაგური მატჩის შესვენებაზე ჩამომსხდარან ბიჭები და გიგა ნორაკიძეს უსმენენ.

მარცხნივ გაიოზ ჯეჯელავაა, მარჯვნივ გიორგი ჩიხრაძე.

## «ჩვენი თავი საძიძგნად დაუტოვეს აფხაზებს»

გაიოზ ჯეჯელავა სოხუმში დაიბადა, ცნობილ მწვრთნელთან, გიორგი იოლჩიდისთან ეზიარა ფეხბურთს, მასთან გაიზარდნენ საიდ თარბა, ჯემალ გუბაზი, გიორგი ჩალიგავა, დაურ ახვლედიანი და სხვა აფხაზი ფეხბურთელები. თამაშობდა სენაკის „ეგრისში", ხობის „კოლხეთში", 1991 წელს გიგა ნორაკიძემ „ცხუმში" მიიწვია. დიდხანს იცავდა მინდორზე „ცხუმისა" და შემდეგ ბრძოლის ველზე სოხუმის ღირსებას და მხოლოდ ქალაქის დაცემის შემდეგ დასტოვა აფხაზეთი. ბრძოლაში დაღუპული ეგონათ და როცა 15 ოქტომბერს ფეხბურთის ფედერაციის შენობასთან კოჭლობით მომავალი წვეროსანი გაიოზი აღმოჩნდა, თანაგუნდელებმა უცებ მოაქციეს რკალში და გახარებულებმა კინაღამ დაახრჩვეს. გაიოზს კონტუზია მიუღია და სვენებსვენებით მიყვება ქალაქისთვის ბრძოლის ამბებს.

„ხელშეკრულების შემდეგ სოხუმელებმა დაიჯერეს მშვიდობის და მასიურად ჩამოდიოდნენ ქალაქში. გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები, მაღაზიები, ბარები. ხალხი ქალაქს ასუფთავებდა. აფხაზებმა ხელშეკრულება რომ დაარღვიეს, სახლში ვიყავი, მაშინვე შევიკრიბეთ უბნელი ბიჭები სოხუმის მესამე ბატალიონიდან და ვისაც რა გვქონდა, იმით დავდექით ქალაქის დასაცავად. შიშველი ხელებით ოთხ დღეში თითქმის აღვადგინეთ პოზიციები, სულ გვეუბნებოდნენ: ერთ საათში ქობალია მოვა, საცაა კოდორს გადმოლახავენ, უკვე გადმოლახეს... ამას რომ გავიგებდით, ათმაგი ძალა გვემატებოდა და ავტომატებითა და ყუმბარებით შეიარაღებულნი უკან ვახევინებდით კბილებამდე შეიარაღებულ მტერს. ჩვენი მებრძოლები ტყვედ ჩავიგდეთ, ტირილიც კი დაიწყო ზოგიერთმა. სულ გვეგონა შემოვლენ ჩვენი

მოჩნდა, გვეგონა მთლიანად გადმოვიდა დამხმარე ჯარი, მაგრამ მოვტყუვდით. ახალ რაიონთან ტანკმა მაინც გამორღვია ალყა. ჩვენმა ექიმმა იურა ხაბურზანიამ სცადა ბეტონის ფილას შეფარებოდა, თავის შეყოფა მოასწრო, მაგრამ ტყვიამფრქვევის ტყვიამ ზურგში გაუარა. იქვე დავმარხეთ. იგი პირველი დღიდანვე იბრძოდა, ეშერელი იყო. დედა დაუხვრიტეს და დაუწვეს აფხაზებმა, ყველამ ვიცოდით და არ ვეუბნებოდით. ეგონა, დედაჩემი ეშერაშიაო და ერთი სული ჰქონდა როდის გადავიდოდით შეტევაზე.

ამასობაში მტერს ველარ ვაჩერებდით მარტო ავტომატებით. ჩვენი მხრიდან ორად-ორი ჰაუბიცა მუშაობდა, ვერც კოდორი გადმოლახეს და ნელ-ნელა მოგვაწვა მტრის კბილებამდე შეიარაღებული ჯარი. ახალ რაიონში ჩვენი ბიჭები ტყვედ ჩავარდნენ. ამ დროს გმირობა გამოიჩინა „მხედრიონმა" და ჩვენი ბიჭები დალუპვისაგან იხსნა. გია ყარყარაშვილი რამდენ ნაწილად უნდა გახლეჩილიყო, მინისტრი კაცი იარაღით ხელში უბრალო ჯარისკაცივით იბრძოდა ყველაზე ცხელ წერტილებში. ჩემს გვერდით იყვნენ ჩემი თანაგუნდელები გოგიაშვილი, დანელია, სიჭინავა და მამამისი, რომელიც „ცხუმში" მძღოლად მუშაობდა. ნელ-ნელა ბრძოლებით ვიხევდით უკან, მივხვდით, რომ მაშველი ძალა არ მოვიდოდა. ბიჭები საკუთარ სახლებს წვავდნენ. მე ვერ გავიმეტე ჩემი სახლი დასაწვავად, საკუთარ მანქანაში კი ყუმბარა შევაგდე და დავწვი, მტერს რომ არ დარჩენოდა. ოცდაშვიდში საღამოს ქალაქი დავტოვეთ. ღამე გულმა არ მომითმინა და წითელ ხიდამდე მივედი. სოხუმი გაჩახჩახებული იყო ფეირვერკებით, აფხაზები, კავკასიელები და კაზაკები ქალაქის ალებას ზეიმობდნენ. იმ დროს თავისუფლად შეიძლებოდა სოხუმის დაბრუნება, რადგან მთელი მათი ჯარი ლოთობასა და მაროდიორობას მიეძალა იმ საღამოს. სისხლი გაყინული მქონდა, როცა ოჩამჩირისკენ მოვდიოდი და გზაზე ვხედავდი გაუპატიურებულ, დახოცილ შიშველ გოგოებს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. ჩემი საყრმის მეგობრები და ჩემი ბავშვობა ჩვე-

მე პოლიტიკოსი არა ვარ, ერთი სოხუმელი ბიჭი ვიყავი, მიყვარდა ჩემი ქალაქი, საქართველო, ფეხბურთი, ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი და ჩემი საყვარელი ქალაქის ღირსებას ვიცავდი, პოლიტიკაში არ ვერეოდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ჩემმა ძმებმა გამწირეს, ვისი გულისთვის, ამას არა აქვს მნიშვნელობა: ჩემმა სისხლმა და ხორცმა ჩვენი თავი საძიძგნად დაუტოვა აფხაზებს. რომ მოგვშველებოდნენ, იქნებ ფსოუმდე გავსულიყავით ერთ დღეში, ისე იყო მტერი შეშინებული სოხუმის დამცველთა გმირობით".

**— გურამ გაბესკირიასი არაფერი იცი?**

— გურამი ბოლომდე სოხუმში დარჩა, ყველა გამოაცილა, თვითონ კი დარჩა...

**— შარშან სოხუმში ყოფნისას ცნობილ მწვრთნელს, გიორგი იოლჩიდის ვესაუბრე. იგი მიყვებოდა თავისი აღზრდილის ცაავას, გადელიას, თარბას და სხვათა შესახებ. შეწუხებული იყო ჩვენი დაპირისპირებით. საბერძნეთში ხომ არ გაჰყოლია თვისტომთა დიასპორას?**

— ჩემი პირველი მასწავლებელი სოხუმის დაბომბვის დროს დაიღუპა. იქვე დაკრძალეს ბიჭებმა, მე პოზიციაზე ვიყავი...

**— ახლა რას აპირებ?**

— ჩემი სიცოცხლე სოხუმში დარჩა და მხოლოდ იმისთვის ვცხოვრობ, რომ კვლავ დავბრუნდე იქ. ოცდაშვიდი წლის კაცმა ყველაფერი ვნახე, შიშის გრძნობა აღარა მაქვს, აეროპორტში დაფერფლილი მხედრიონელების ნაშთებს მიწას რომ ვაბარებდი, არავითარი გრძნობა აღარ მქონდა. მას შემდეგ ხორცს ველარ ვჭამ...

„ცხუმმა" უნდა ითამაშოს, მე მოვრჩები თუ არა კონტუზიისგან, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშეც კი ვითამაშებ ჩემი კლუბისა და ქალაქის სახელით. მიუხედავად იმისა, რომ აღარაფერი მაბადია. ეს შარვალიც გიორგი გოგიაშვილმა მომცა, თვითონ კი სპორტული პიჟამას ამარა დადის. მოკლედ, იმისთვის ვცხოვრებ, რომ კვლავ დავბრუნდე სოხუმში, მტყუანსა და მართალს კი ღმერთი განსჯის.

მამუკა კვარაცხელია

# დუეტი: პოლსენი — ჯიშკარიანი?

1988 წელს, როდესაც ცხრამეტი წლის მიხეილ ჯიშკარიანი თბილისის „დინამოში" სამი ნათამაშევი მატჩის მერე დაიწუნეს, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ის კიდევ გამოჩნდებოდა დიდ ფეხბურთში. მაშინ „დინამოში" არმიღება ფეხბურთიდან წასვლას უდრიდა, თანაც ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელისათვის. თუმცა მოხდა ისე, რომ ეროვნული ჩემპიონატის გამოისობით ორიოდ წელიწადში მიშა ჯიშკარიანი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად იქცა და მრავალმა კლუბმა დაიწყო ფიქრი მის გადაბირებაზე. ჯიშკარიანი კი დღითიდღე უმატებდა და რომ არა აფხაზეთის ომი, ევროპულ ტურნირებზეც გაინავარდებდა. ომში მიშა ბედად გადაურჩა სიკვდილს, თუმცა ერთ წელიწადში მტერმა მაინც მიაღწია ჰანბას ქუჩას, სადაც მისი სახლი იდგა და მიშა ჯიშკარიანი უბინაოდ აღმოჩნდა. არადა კარგად მახსოვს, მის ბინაში 1992 წლის 26 ივლისს ტელევიზორით როგორ ვუყურებდით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიას, რომელზეც არძინბამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაშინ სიცილადაც არ გვეყო მე და მიშას ეს ამბავი, თურმე ყველაფერი წინ იყო...

მიშა ეს-ესაა დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც ობერლიგის „ფორმაცია ვორმსში" ჰქონდა დებიუტი. ამ კლუბში უკვე თვენახევარია გამოდიან მელორ ბიგვავა და ლევან ყიფიანი.

— მერაბ ჟორდანიას ძმური დახმარებით კონტრაქტები დავამყარეთ გერმანიაში და კვიპროსის ნაცვლად 9 სექტემბერს ფრანკფურტში ჩავფრინდი. იმწუთას კახი ცხადაძეს მივაკითხე. კახიმ ჩემი ჩამოსვლა რომ გაიგო, გადაირია სიხარულით, თან გადამყვა, რომ იტყვიან. ამასობაში ლევანი და მელორიც გამოჩნდნენ. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ ობერლიგის ჩემპონატში ერთ-ერთ გუნდს შევხვდით სტუმრად ოფიციალურ მატჩში. პირველ ტაიმში გოლი შევაგდე და ვიგებდით, მაგრამ ჩვენი დაცვის შეცდომების შემდეგ 1:2 წავაგეთ. მეორე მატჩი შინ ვითამაშეთ და 3:1 მოვიგეთ, მე ორი გოლი გავიტანე. მესამე თამაში კაიზერსლაუტერნში 0:4 წავაგეთ „კაიზერსლაუტერნის" საბაზო გუნდთან. მეოთხე თამაში კი კვლავ შინ გვქონდა და 2:3 დავმარცხდით, ორივე გოლი მე გავიტანე. ჩვენი გუნდი „ფორმაცია ვორმსი" მეხუთე ადგილზე მიდიოდა თვრამეტ გუნდს შორის. ამასობაში ჩვენი აგენტის საშუალებით მე და ლევან ყიფიანს დორტმუნდის „ბორუსიაში" თამაში შემოგვთავაზეს, ამხანაგურ მატჩში, რა თქმა უნდა. მართალი გითხრა, შევშინდი, როცა ცოცხალი პოლსენი, ზამერი, ცორკი, რიდლე და სხვა ფეხბურთელები დავინახე. ჩვენი მეტოქე ბუნდესლიგის, ქალაქ ფრაიბურგის ამავე სახელწოდების გუნდი იყო. პირველ ტაიმში ლევანის ბრწყინვალე პასის შემდეგ ანგარიში გავხსენი. დიდ სამუშაოს ასრულებდა პოლსენი — პასი, გახსნა, კედელი, კაცის წაყვანა ბრწყინვალედ გამოუდიოდა ხოლმე. მის გვერდით თამაში მართლაც სასიამოვნო იყო. შემდეგ მეტოქემ გაქვითა ერთი ბურთი. მალე დორტმუნდელი კარლის გადაცემით მეორე გოლი გავუტანე „ფრაიბურგს", თუმცა თამაში საბოლოოდ 2:2 დამთავრდა. მატჩის შემდეგ „ბორუსიის" ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ იანვარში ისრაელში წამიყვანდა გუნდთან ერთად და ჩემს საკითხს ამ ტურნეს შემდეგ გადაწყვეტდა.

— **უკან რატომ გამოემგზავრე?**

— სოხუმის დაცემის შემდეგ წამოვედი. მშობლები ჯერაც იქ არიან. მათი არაფერი ვიცი. ტელევიზორში სი-ენ-ენ-ის ისეთ კადრებს უჩვენებდა, კინაღამ ჭკუიდან გადავედი. ლევანი გვითარგმნიდა ინგლისურიდან. მადლობა ღმერთს, ჩემი და სამშვიდობოსაა.

— **უკან წასვლას არ აპირებ?**

— როგორც კი მშობლების ადგილსამყოფელს დავადგენ და სამშვიდობოს გამოვიყვან, იმწამსვე გავემგზავრები. თან მეუღლეს და ჩემს მიშიკოსაც წავიყვან.

— **ბინით და მანქანით დაგაკმაყოფილებს კლუბი?**

— რა თქმა უნდა, ამ მხრივ პრობლემა არ მექნება.

— **ჯამაგირი?**

— ორი ათასი გერმანული მარკა.

— **ლევანი და მელორი როგორ არიან?**

— კარგად მოეწყვნენ, ყველა მატჩი ითამაშეს, გოლებიც გააქვთ. მელორი მეუღლესთან და პატარა ზურიკოსთან ერთად ცხოვრობს, ლევანი კი უცოლშვილოა. რამდენადაც ვიცი დედამისის და თავისი ძმის, ნიკუშას წაყვანასაც აპირებს გერმანიაში.

— **ვორმსი დიდი ქალაქია?**

— დაახლოებით სოხუმისხელა. მდინარე რეინზე მდებარეობს, მეტად ძველი და ლამაზი ქალაქია. სამოცდაათ კილომეტრშია მაინის ფრანკფურტიდან.

— **ზემოთ ცხადაძე ახსენე...**

— კახა დიდ პატივშია, ტელევიზიით ვუყურე გერმანიის ნაკრებისა და ბუნდესლიგაში მოთამაშე უცხოელთაგან შემდგარი ნაკრების მატჩს. კახა მართლაც შეუდარებელი იყო. ახლა მისი გუნდი პირველ ადგილზეა და ალბათ ბუნდესლიგის ჩემპიონიც გახდება.

— **შენ მსაჯებთან მუდამ კამათობდი ხოლმე ჩვენს ჩემპიონატში და ბარათებიც დაგიმსახურებია, იქ როგორაა საქმე?**

— გერმანიაში მსაჯთან კამათი გამორიცხულია. შეეკამათები და მყისვე აგინთებს წითელ ბარათს, ამიტომ მიყუანია მსაჯი თუ მართალი, მისი სასტვენისთანავე დაღუნავენ თავს ფეხბურთელები და უსიტყვოდ გარბიან.

— **გერმანელები მჭიდრო, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, არ გაგიჭირდა?**

— იქ სულ ფეხზე გაზიან, ვარჯიშებზე ისეთი „ჯახია", ომი გეგონება რას იზამ, ასე არიან გაზრდილები, ოღონდ განზრახ უხეშად არ გეთამაშებიან. ტექნიკურად სუსტები არიან, მაგრამ ფიზიკური მონაცემებით აკომპენსირებენ.

მოკლედ, მშობლების ამბავს მოვაგვარებ და წავალ...



მიხეილ ჯიშკარიანი

# ქართველები პარიზში

დავით მალრაძე ორჯერ ისე ჩავიდა პარიზში და უკან ჩამოვიდა, ახლო მეგობრების გარდა კაციშვილს არ გაუგია, მაგრამ მაინც მოვახერხე მისი „დაჭერა", თუმცა თმის ვარცხნილობა შეუცვლია და როგორც ირაკლი კალუჟა ეხუმრებოდა ოცდაათი დოლარიც მიუცია პარიზელი დალაქისთვის.

დათო თბილისელი ბიჭია, ეროვნულ ჩემპიონატს თელავის „კახეთში" შეხვდა და თუ ფრანგულ ტურნეს არ ჩავთვლით, ოთხი წელია არც უღალატია ამ კლუბისათვის. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, ნაფარეულში პატარა სიამოვნება რომ აჩუქა ფეხბურთის მოყვარულებს, გოლიც შეაგდო

— პირველად პარიზში ამა წლის სამ მარტს ჩავფრინდი. ჩემი ძმაკაცი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე საქართველოს ნაკრების წევრი დათო რჩეულიშვილი რამდენიმე თვეა პარიზში იმყოფება კონტრაქტით და ვარჯიშობს. მან დააინტერესა მესამე დივიზიონის კლუბი „შუაზი ლე რუა" (ქართულად — ამოირჩიე მეფე) რომელიც პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარეობს და მათი მიწვევით გავემგზავრე საფრანგეთს. სამი ამხანაგური მატჩი ვითამაშე, საყრდენ ნახევარმცველად დამაყენეს და ორი გოლი გავიტანე. გუნდის მწვრთნელი დომინიკ ბატენეი, წარსულში „პარი სენ ჟერმენის" კაპიტანი იყო. დამპირდა, უეჭველად ჩაგრიცხავ გუნდშიო. ამ პერიოდში საფრანგეთში ახალი პრემიერ მინისტრი დაინიშნა — ბალადიური, რომელმაც მაქსიმალურად გაამკაცრა კანონი უცხოელი მოქალაქის საფრანგეთში სამუშაოდ დატოვების გამო. ამის გამო ფრანსუა მიტერანთან კონფლიქტიც კი მოსვლია. მოკლედ მივხვდი, რომ ოფიციალურ საბუთს ჩემს დატოვებაზე ვერ აკეთებდნენ. მითხრეს, წადი და დაგირეკავთ, როდის უნდა ჩამოხვიდეო. მართლაც დამირეკეს ორიოდ თვეში. ჩავედი და თითქოს ყველაფერი უნდა მოწესრიგებულიყო, მაგრამ მაინც ვერ გააკეთეს ის საბუთები. ამასობაში მესამე დივიზიონისვე კლუბმა — „ფრანკო ვილიმ" შემომთავაზა თამაში, მაგრამ ის ავადსახსენებელი საბუთი ვერც მათ გააკეთეს და შინ გამოვემგზავრე.

— **რომ დარჩენილიყავი რამდენს მიიღებდი ხელფასს?**

— 1500 დოლარს.

— **გია გურული თუ ნახე?**

— გიას ორჯერ დავურეკე, მაგრამ ოჯახთან ერთად დასასვენებლად იყო წასული [illegible] ჰქონდა. [illegible] და [illegible] ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გატანილი.

— **ბუბა ტყავაძემ მიამბო ფრანგების არნახული სიძუნწის შესახებ...**

— მართალი უთქვამს ბუბას. ასეთი ძუნწი და ცივი ხალხი არსად მინახავს.

— **გიას გარდა ვინმე ქართველთან ხომ არ გიცდია დაკავშირება?**

— გავიცანი თბილისელი კვეხელავების ოჯახი, რომლებიც ადრე საბურთალოზე ცხოვრობდნენ. პარიზში საკუთარი ქართული რესტორანი აქვთ გახსნილი და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობენ. დიდი პატივი მცეს.

— **ახლა რას აპირებ?**

— ახლა გორში მივდივარ „დილასთან" მატჩზე. ჯერ კი ისევ თელავში დავრჩები, მერე კი ვნახოთ...



დათო მალრაძე ეიფელის კოშკის ქვეშ

# ჰოლანდია—მაროკო—კვიპროსი—გერმანია



ვასილ მიქაშავიძე

იმ ფეხბურთელთაგან, ვინც საზღვარგარეთ სცადა თამაში, ერთ-ერთი პირველი ვასილ მიქაშავიძე იყო. იგი ალკმაარში, „აზ-67"-ის შემადგენლობაში გაესინჯა და რამდენიც არ ეცადა ალკმაარელთა მწვრთნელი, კრუიფისდროინდელი ჰოლანდიის ნაკრების წევრი ჰუგო ჰოვენკამპფი, ვერაფრით მოახერხა ჰოლანდიის შრომის სამინისტროსთვის შესაბამისი ნებართვა გამოეტყუა, შემდეგ „ფეინოორდიც" კი [illegible]

რა, მაგრამ ერთხელაც ისე მომაჯდა ბურთი მარჯვენაზე, დაურტყმელობა არ იქნებოდა. დავარტყი, გოლიც შევაგდე, მაგრამ ნაბიჯი ვეღარ გადავდგი. იმწამსვე საავადმყოფოში წამიყვანეს, კონსილიუმმა მენისკი დამიდგინა, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. იქვე შემომთავაზეს ოპერაცია, მაგრამ უარი ვუთხარი... ამ გაწამაწიაში თავს თემურ ქეცბაია დამადგა. თურმე ტელევიზორში ვუნახივარ. გადამყვა თან. მე და თემური ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთ[illegible]

მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი იყო. გაგვისინჯეს, მოვეწონეთ და კონტრაქტებიც შემოგვთავაზეს, მაგრამ შიგ რომ ჩავიხედეთ, უარი ვთქვით. 900 დოლარი ჯამაგირად ძალიან მცირე თანხა იყო. თანაც მაროკო არ მოგვეწონა, ქალები სულ ჩადრებით დადიან, უცნაური ხალხი იყო, ვერაფერი გავუგეთ. თვითმფრინავი ორ კვირაში ერთხელ დაფრინავდა, მყისვე გამოვფრინდით. ორ კვირაში ივანოვიც ჩვენს გზას დაადგა.

— **გერმანიაში როდის ჩამოხვალ?**

[illegible]

ბის დაძლევაში იყო და არც ახლა გამოელია ისინი. შარშან მაროკოში სცადა ბედი, ახლახანს კვიპროსში, მაგრამ კვლავ თბილისში რომ აღმოვაჩინე, ჩავუჯექი და სახელდახელო ინტერვიუც გამოვაცხვეთ.

— **ოციოდე დღის წინ კვიპროსში გაგაცილე და ასე მალე რატომ ჩამოხვედი?**

— ორი კვირა დავყავი კვიპროსში უმაღლესი ლიგის ქალაქ ევაგორასის „ბაფოსში". ჩემმა ფეხბურთისდროინდელმა მეგობარმა, მერაბ ჟორდანიამ ყველაფერი გამიკეთა იმისთვის, რომ საზღვარგარეთ მეცადა ბედი. ჰოდა მეც კვიპროსში აღმოვჩნდი — ეს კლუბი შარშან ძლივს გადაურჩა გავარდნას და შემადგენლობის გაძლიერება სურდა. ქალაქში რომ ჩავედი, ჩემდაგასაკვირად დიდი რეკლამა გამიკეთეს ტელევიზიაში და პრესაში. სანამ წავიდოდი, მარჯვენა ფეხის მუხლი მაწუხებდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, მეგონა მომირჩებოდა. ორმხრივ თამაშზე ვცდილობდი სულ მარცხენა ფეხი მეხმადი პატივი მცა. შემდეგ კახი კაჭარავა „ლასოსო ჭედია მოვნახეთ, „ოლიმპიაკოსში" თამაშობენ. დიმა კუდინოვიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ლიმასოლის „აპოელში" გამოდის, ყიზილაშვილი და გოგრიჭიანიც პოპულარულები არიან. თემური ბევრს მეხვეწა, დარჩიო, მაგრამ მაინც ვერ დამითანხმა.

— **ოპერაცია როდის უნდა გაიკეთო?**

— გერმანიაში მივდივარ, მიუნხენის იმ კლინიკაში, სადაც უკვე გაიკეთეს მენისკის ოპერაცია არჩილ არველაძემ და გოჩა ჯამარაულმა. ოპერაციიდან ორ კვირაში უკვე ვარჯიშებსაც დაიწყებო, მპირდებიან. მოვემზადები ხეირიანად და სადმე ბედს ვცდი.

— **მაროკოს ამბავი მოჰყევი...**

— მაროკოში შარშან დეკემბერში კახი ასათიანის დახმარების შემდეგ აღმოვჩნდით მე, მამუკა ფანცულაია და გია ფირცხალავა. მათ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში — კასაბლანკას „რაჯაში".

# ერთ თვეში ისევ უკან



კახი გოგიჩაიშვილი

კახი გოგიჩაიშვილი („შევარდენი 1906") და გიორგი ღუდუშაური („მეტალურგი") ჩამოვიდნენ გერმანიიდან. კახის გვიან ღამით დავურეკე:

— ქალაქ ოსნაბრიუკში ვიყავით მე და გიორგი, მაგრამ სამი იუგოსლაველი უკვე აეყვანათ. შემდეგ ზაარბრიუკენში გადავბარგდით მერაბ ჟორდანიას დახმარებით. იქ გვითხრეს, რომ ერთ თვეში ჩავსულიყავით, რადგან ამასობაში პირველი წრე დამთავრდება. ქალაქ ზაარბრიუკენს ორი გუნდი ჰყავს — ერთი მეორე ბუნდესლიგაში, ერთიც ობერლიგაში. შელია ალბათ ამ ქალაქში დარჩება, თუ რომელ გუნდში, უახლოეს მომავალში გაირკვევა. კახი ცხადაძეს დუისბურგში თამაში ჰქონდა და ამის გამო ჩვენთან მოსვლა მხოლოდ აეროპორტშიღა მოახერხა, თანაც ცუდ გუნებაზე იყო, „აინტრახტმა" პირველი წაგება იგემა ამ სეზონში — 0:1 „დუისბურგთან". ახლა ჩვენს ჩემპიონატში გავაგრძელებთ თამაშს, ნოემბერში კი მე და გიორგი კვლავ გერმანიას გავემგზავრებით.

კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი გაემგზავრა უცხოეთს: ოთარ კორღალიძე ავსტრიაში, [illegible], თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობის მოთამაშე 15 წლის დათო [illegible] კი — საფრანგეთში, სადაც ერთი წელი [illegible]

გვერდი მოამზადა მამუკა კვარაცხელიამ

**წინა კვირაში ევროტურნირების მორიგი ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. განმეორებითი შეხვედრები კი მომავალ სამშაბათ-ოთხშაბათს შედგება.**

## ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი

„პორტუ" პორტუგალია — „ფეიენოორდი" ჰოლანდია 1:0
დომინგუში (90)
„მონაკო" საფრანგეთი — „სტიაუა" რუმინეთი 4:1
იკნება (50, 75), კლინსმანი (52, 64); დუმიტრესკუ (22 პ)
„ლეხი" პოლონეთი — „სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი 1:5
პოდბროჟნი (42 პ); პისარევი (8, 62), კარპინი (10), ონოპკო (30, 53)
„ლევსკი 1914" ბულგარეთი — „ვერდერი" გერმანია 2:2
იანკოვი (75), გინჩევი (90); ბოდე (50), რუფერი (52)
„კოპენჰაგენი" დანია — „მილანი" იტალია 0:6
პაპენი (1, 71), სიმონე (5, 14), ლაუდრუპი (43), ორლანდო (60)
„სპარტა" ჩეხეთი — „ანდერლეხტი" ბელგია 0:1
ნილისი (74)
„მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისი — „გალათასარაი" თურქეთი 3:3
რობსონი (3), ჰაქანი (13, საკ. კარში), კანტონა (81); არიფი (16), თურქილმაზი (31, 63)
„ბარსელონა" ესპანეთი — „აუსტრია" ვენა, ავსტრია 3:0
კუმანი (37 პ, 68), კიკე ესტებარანი (89)

## თასების თასი

მერვედფინალი

„აიაქსი" ჰოლანდია — „ბეშიქთაში" თურქეთი 2:1
რაიკაარდი (60), რ. დებური (81); მეჰმეთი (41)
„მაკაბი" ხაიფა, ისრაელი — „პარმა" იტალია 0:1
ბროლინი (90)
„ტიროლი" ავსტრია — „რეალი" მადრიდი, ესპანეთი 1:1
შტრაიტერი (69 პ); ალფონსო (15)
„ტორინო" იტალია — „აბერდინი" შოტლანდია 3:2
სერჯო (45), ფორტუნატო (51), აგილერა (88); პაატალაინენი (9), ჯესი (25)
„ბენფიკა" პორტუგალია — ც.ს.კ.ა. ბულგარეთი 3:1
ბაბუნსკი (26, საკ.კარში), რუი კოშტა (37), შვარცი (90); ანდონოვი (63)
„არსენალი" ინგლისი — „სტანდარდი" ბელგია 3:0
რაიტი (39, 63), მერსონი (50)
„პარი სენ-ჟერმენი" საფრანგეთი — „უნივერსიტატია" რუმინეთი 4:0
გერენი (12), ჟინოლა (17 პ), ბიტა (58, საკ. კარში), ვალდუ (71)
„პანათინაიკოსი" საბერძნეთი — „ბაიერი" ლევერკუზენი, გერმანია 1:4
ვარჟიხა (44); პაულუ სერჟიო (42), ტომი (52), კირსტენი (59), ჰაპალი (72)

## უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალი

„ლაციო" იტალია — „ბოავიშტა" პორტუგალია 1:0
ვინტერი (74)
„კონგსვინგერი" ნორვეგია — „იუვენტუსი" იტალია 1:1
ფრიგაარდი (89); კოლერი (61)
„მეხელენი" ბელგია — მ.ტ.კ. უნგრეთი 5:0
ეუენი (44, 80, 83), დე ბუკი (59), ლეენი (72)
„ტენერიფე" ესპანეთი — „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთი 2:1
ლორენტე (38), დელ სოლარი (49); კრისტენსენი (10)
„ატლეტიკო" მადრიდი, ესპანეთი — ო.ფ.ი. საბერძნეთი 1:0
ლუის გარსია (58)
„ბაიერნი" მიუნხენი, გერმანია — „ნორვიჩ სიტი" ინგლისი 1:2
ნერლინგერი (41); გოსი (13), ბოუენი (30)
„ბორდო" საფრანგეთი — „სერვეტი" შვეიცარია 2:1
პაი (35), ვერკრუისი (56); ანდერსონი (55)
„სელტიკი" შოტლანდია — „სპორტინგი" პორტუგალია 1:0
კრინი (9)
„ტრაბზონსპორი" თურქეთი — „კალიარი" იტალია 1:1
[illegible] (79); [illegible] (90)
[illegible] ესპანეთი — „კარლსრუე" გერმანია 3:1
[illegible]ვიჩი (35), პენევი (47, 72); შმიდტი (79)
„ინტერი" იტალია — „აპოლონი" კვიპროსი 1:0
ბერხკამპი (6)
„აინტრახტი" გერმანია — „დნეპრი" უკრაინა 2:0
ფურტოკი (65), ოკოჩა (79)
„კაზინო" ავსტრია — „ანტვერპენი" ბელგია 1:0
იურცევიჩი (67)
„კუუსუსი" ფინეთი — „ბრონდბიუ" დანია 1:4
ლიუსი (13); ოკეჩუკვუ (1), ვილფორტი (59), სტრუდალი (64, 84)
„ბრანიკი" სლოვენია — „ბორუსია" დორტმუნდი, გერმანია 0:0
„ლა კორუნია" ესპანეთი — „ასტონ ვილა" ინგლისი 1:1
პედრო რიესკო (87); სონდერსი (80)

# შეფა იგავს მიუხვდა



ლინდზი მაკქინს ყველა მსაჯი მოსყიდული ჰგონია

უეფა-მ ევროთასების მეორე წრის წინ მონაწილეებს სასჯელები ჩამოურიგა. სანქციები 26 მოთამაშესა და 50 კლუბს შეეხო.

1998 წლის 31 იანვრამდე აუკრძალეს ევროპულ თასებზე თამაში პლოვდივის „ბოტევის" ფეხბურთელ გიორგი დონკოვს. მას პირეოსის „ოლიმპიაკოსთან" შეხვედრაში თანამსაჯისთვის შეუფურთხებია.

1997 წლის იანვრამდე ვერ ითამაშებს „ქოჯაელისფორის" ნევრი ადემით ბიროლი. ამასაც თანამსაჯი შეურაცხჰყვია, ოღონდაც ხელისკვრა უკმარებია ლისაბონის „სპორტინგთან" თამაშში.

მთლად გატუტუცებულა ბელფასტის „ლინფილდის" მწვრთნელის თანაშემწე ლინდზი მაკქინი. თბილისის „დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ მას ყველა მსაჯი მოსყიდული ჰგონებია. ჰოდა, მაკქინმაც საჯაროდ, მატჩის ინსპექტორის რენე ებერლეს თანდასწრებით, ხურდა ფული დაჰყარა „კოპენჰაგენ" — „ლინფილდის" შეხვედრის არბიტრის ფეხებით. უეფა ბელფასტელს იგავს მიუხვდა და 1995-96 წლების სეზონის ბოლომდე დასაჯა.

ანალოგიური სასჯელი ერგო ბუქარესტის „დინამოს" მწვრთნელ ფლორიან ხალაჯიანსაც, სულ კი კლუბს 18 ათას დოლარად დაუჯდა სიცილიის „კალიარისთან" ორი თამაში. პირველ წრეში „დინამო" მატჩის ცუდი ორგანიზაციისათვის დააჯარიმეს, მეორეში კი — ორი მოთამაშის გაძევებისთვის.

რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, გაძევებისთვის ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა ლვოვის „კარპატის" მოთამაშე ანდრეი პოლკადოკოვმა, სამთამაშიანი — „ლაციოს" გერმანელმა ვარსკვლავმა თომას დოლმა.

**გერმანიის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ცხრა ამხანაგურ მატჩს გამართავს: 17 ნოემბერს კიოლნში ბრაზილიას შეხვდება, 15 დეკემბერს მაიამიში — არგენტინას, 18 დეკემბერს სან ფრანცისკოში — აშშ-ს, 22 დეკემბერს მეხიკოში — მექსიკას, 23 მარტს შტუტგარტში — იტალიას, 20 აპრილს ჰამბურგში — ინგლისს, 29 მაისს ჰანოვერში — ირლანდიას, 2 ივნისს ვენაში — ავსტრიას და 8 ივნისს ტორონტოში — კანადას.

**იტალიაში** მაფიასთან ბრძოლის კამპანიის პროგრამით პროკურატურამ გასინჯა ოთხი კლუბის — „იუვენტუსის", „ტორინოს", „მილანისა" და „ინტერის" ოფისები, აგრეთვე დინო ბაჯოსა და ჯანლუიჯი ლენტინის უძრავ-მოძრავი ქონება. კლუბებს ტრანსფერთა სისწორეც შეუმოწმეს.

**გერმანიაში** ახალი სეზონის პირველი მსხვერპლშეწირვა განხორციელდა. უხეიროდ მოთამაშე „შალკეს" მწვრთნელი ჰელმუტ შულტე გადააყენეს და გუნდის ხელმძღვანელობა ჩააბარეს იორგ ბერგერს, რომელიც თავის დროზე გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრებს წვრთნიდა.

**სენეგალმა** წლევანდელი ცუდი შედეგები მოიმიზეზა და თავის კლუბებს საგაისოდ კონტინენტის შეჯიბრებებში მონაწილეობა აუკრძალა. სპორტის სამინისტროსთან შეიქმნა კომიტეტი, რომელმაც სენეგალური ფეხბურთის რეფორმა უნდა განახორციელოს. ქვეყნის ერთადერთი ნუგეში ეროვნული ნაკრებია, რომელიც თუმცაკი გავარდა მსოფლიო პირველობიდან, მაგრამ აფრიკის ეროვნებათა თასის დასკვნის ეტაპზე გავიდა. ეს შეჯიბრება გაისად გაზაფხულზე ტუნისში გაიმართება და 12 გუნდს მოუყრის თავს.

**ბრაზილიის** „გრემიომ" შინ, პორტუ-ალეგრეში 2:0 მოუგო ურუგვაის „პენიაროლს" და სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მეოთხედფინალში გავიდა. ბრაზილიელებს პირველი მატჩი 0:1 წაეგოთ და მეტოქესაც ფიცხლივ ეკვეთნენ, რის შედეგადაც გუნდებს ოთხ-ოთხი (!) მოთამაშე გაუძევეს. ბოლოსდაბოლოს, ჩარლზმა და ჰილსონმა ხუთი წუთის შუალედით ორი ძვირფასი გოლიც გაიტანეს.

**რუსეთის** ნაკრებმა სამშაბათს საწვრთნელი მატჩი ჩაატარა პოლონეთის ქალაქ ლოძში ადგილობრივ „ვიძევთან" და გაიმარჯვა 2:1, თუმცა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მიხალჩუკის მიერ გატანილი გოლის შემდეგ აგებდა. მეორე ტაიმში მოსტოვოიმ (70) და გალიამინმა (88) რუსეთს მოაგებინეს.

**ჰოლანდიის** ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, ამჟამად კი მწვრთნელი არი ჰაანი ორშაბათს გაათავისუფლეს ლიეჟის „სტანდარდის" მწვრთნელობისგან მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა შინ „ანდერლეხტთან" წააგო 0:3 (სამივე ბურთი ლუკ ნილისმა შეაგდო) და მე-13 ადგილამდე ჩამოქვეითდა. ფრანს პრესი ვარაუდობს, რომ ახალ მწვრთნელად [illegible] იოჰანი დაინიშნება. ბელრენე ვანდე[illegible] ჩემპიონატში 12 ტურის [illegible] „ანდერლეხტი" (21 ქულა), „ბრიუგე" (17) და „ანტვერპენი" (16) ლიდერობენ.

**დანიელი** პეტერ შმაიხელი დაასახელა ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 1992-93 სეზონის საუკეთესო მეკარედ. შმაიხელმა 84 ქულა მოაგროვა და 14 ქულით გაუსწრო არგენტინელ სერხიო გოიკოეჩეას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში საქართველოც მონაწილეობდა ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსის დავით პეტრიაშვილის სახით.

**ესტონეთის** ნაკრებმა გუშინწინ გამართულ ამხანაგურ მატჩში სტუმრად ლიხტენშტეინის ნაკრები დაამარცხა 2:0. გოლები ბრაგინმა (56) და რაიალამ (89) გაიტანეს. შეხვედრას მხოლოდ 1200 მაყურებელი დაესწრო. გაცილებით მეტი ხალხი გახდა მოწმე იმისა, თუ იმავე დღეს ამხანაგურ მატჩში როგორ დაამარცხა „ბარსელონამ" დანიის „კოპენჰაგენი" 3:2.

**ბელარუსის** ჩემპიონის, მინსკის „დინამოს" უკვე მეორე ფეხბურთელი ჩაირიცხა ისრაელის კლუბში. ამჯერად სერგეი გერასიმეცი, რომელიც "ბნეი იეგუდაში" ითამაშებს.

# ფეხბურთის რუკასთან



კონტრაქტის პირობები ზუსტად არავინ იცის, თუმცა პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ მინსკელი წელიწადში 60 ათას დოლარს მიიღებს. გერასიმეცამდე ისრაელში ვალერი ველიჩკო თამაშობდა, ახლა კი, როგორც ამბობენ, მათ თანაგუნდელი მიხაილ სმირნოვიც მიყვება.



პეტერ შმაიხელი

**რუმინეთის** ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას სათავეში კლუბ „სპორტულ სტუდენტესკის" ფორვარდი გეორგიუ ჩაუსილუ უდგას. მან უკვე 11 გოლი გაიტანა, თუმცა ნაკრების მწვრთნელს ანხელ იორდანესკუს ცოცხალი თავით არ შეყავს ბომბარდირი ეროვნულ გუნდში. „კი მაგრამ, მაინც რამდენი ბურთი უნდა გავიტანო, რომ ნაკრებში წამიყვანონო?" — იკითხა აღშფოთებულმა ჩაუსილუმ.

**ინგლისის** ნაკრებისა და „ასტონ ვილას" 26 წლის ზანგი გარემარბი ტონი დეილი მალე იტალიის „უდინეზეში" ითამაშებს. ამის შესახებ გამოაცხადა წინა პარასკევს ბირმინგემელთა მწვრთნელმა რონ ატკინსონმა. ტრანსფერი შეფასებულია 2 მილიონ გირვანქა სტერლინგად. დეილი ახალ კლუბში „ასტონ ვილასა" და „ლა კორუნიას" განმეორებითი მატჩის შემდეგ გადავა. საინტერესოა, რომ დეილი „ასტონ ვილას" ერთგული [illegible] იყო 10 წლის გახდა[illegible]ში, მას შემდეგ, რაც 16 წლისა, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, ჩაირიცხა ამ გუნდში.

**შოტლანდიის** ლიგის თასის ფინალში გლაზგოს „რეინჯერსმა" „ჰიბერნიენი" დაამარცხა 2:1. სამივე გოლი გლაზგოელებმა გაიტანეს: ორი მეტოქის კარში (დარანტი, მაკკოისტი), ერთიც — საკუთარში (მაკფერსონი).

**შვედეთის** 1993 წლის ჩემპიონი „გიოტებორგი" გახდა. მან ბოლო ტურში 2:0 მოუგო მთავარ კონკურენტს „ნორჩიოპინგს" და 59 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე გავიდა „ნორჩიოპინგი" 54 ქულით, მესამეზე კი — შარშანდელი ჩემპიონი აიკ-ი 46 ქულით. შვედეთის ჩემპიონატშიც, ჩვენსავით, მოგება სამ ქულადაა შეფასებული.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის მე-11 ტურში ამსტერდამში ერთმანეთს ლიდერები — „ფეიენოორდი" და „აიაქსი" შეხვდნენ. შარშან „აიაქსმა" ოთხივე მატჩი მოუგო მთავარ მეტოქეს: ჩემპიონატში 3:0 და 5:2, თასზე 5:0 და სუპერთასზე 4:0. ამჯერად უკვე მე-18 წუთზე „ფეიენოორდი" ლიდერობდა 2:0, მაგრამ ფინელმა იარი ლიტმანენმა ჰოლანდიის ნაკრების მეკარე დე გუის 21-ე და 87-ე წუთებზე ორი გოლი გაუტანა და როტერდამელებს მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ქულა დააკარგვინა. ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტა" — „ვენლო" 2:2, პსვ — „როდა" 2:0, „ჰერენვეენი" — „ვოლენდამი" 3:1, „გოუ ეჰედი" — „გრონინგენი" 3:0, „მაასტრიხტი" — „ტვენტე" 0:2, „ვილემ II" — „ბრედა" 2:0, „უტრეხტი" — „ვაალვიკი" 3:1, „ვიტესი" — „კამბური" 2:1. „ფეიენოორდს", „აიაქსს" და პსვ „ეინდჰოვენს" 10-10 მატჩი აქვთ ჩატარებული და შესაბამისად 19, 16 და 15 ქულით ლიდერობენ.

**საქართველოში** მიმდინარე ომმა ბევრ ფეხბურთელს დაავიწყა თავისი საქმე და ხელში ავტომატი დააჭერინა. მათ შორის იყო დაურ ახვლედიანი, რომელიც რვა წლის მანძილზე სოხუმის „დინამოს" კაპიტანი იყო, ხოლო წლეულს სექტემბერში სოჭის „ჟემჩუჟინაში" თამაშობდა. მას შემდეგ, რაც აფხაზებმა დაარღვიეს ხელშეკრულება და სოხუმს შეუტიეს, ახვლედიანმა იფიქრა, უჩემოდ ქალაქი არ აიღონო და... 29 წლის ფეხბურთელს ტყვიამ სოხუმის სტადიონის მთავარ შესასვლელთან მიაგნო და ახვლედიანიც სოხუმის „განთავისუფლებას" ველარ მოესწრო. ამასწინათ სოჭში მისი სულის მოსახსენიებლად შეიკრიბნენ აფხაზი ფეხბურთელები: ახრიკ ცვეიბა, საიდ თარბა, ჯემალ გუბაზი, რომან ხაგბა, ჯუმა კვარაცხელია...

**საფრანგეთის** მემარცხენე რადიკალების მოძრაობას მალე სათავეში ბერნარ ტაპი ჩაუდგება, რომელიც მარსელის „ოლიმპიკის" პრეზიდენტის სავარძელს წლის ბოლოსთვის გაათავისუფლებს — ასეთი განცხადება გააკეთა ტაპიმ 26 ოქტომბერს „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ამის უმთავრეს მიზეზად მან ის დაასახელა, რომ ძნელია პოლიტიკისა და ფეხბურთის შერწყმა და იგი ამიერიდან მომავალი წლის ივნისში დანიშნული ევროპარლამენტის არჩევნებზე უფრო იფიქრებს, ვიდრე „ოლიმპიკზე".

**ბრაზილიელი** ჟაირ პერიერა მე-14 მწვრთნელია, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილიმ მოხსნა თავისი მართველობის შვიდი წლის მანძილზე. პრეზიდენტმა პერიერას დააბრალა, რომ ის ვერ ამყარებდა სათანადო კონტაქტს ფეხბურთელებთან. დროებით, სანამ ხილი ვუიადინ ბოშკოვთან აწარმოებს მოლაპარაკებას, „ატლეტიკოს" არგენტინელი რამონ ერედია ავარჯიშებს. ბოლო დროს ერედია პერეირას თანაშემწედ მუშაობდა.

**ჰოლანდიის** ნაკრებთან წაგების შემდეგ მრავალი ჭორი გაჩნდა იმის შესახებ, თუ ვინ შეცვლის ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე გრემ ტეილორს. პირველად ჯეკი ჩარლტონი გაიხსენეს, მაგრამ მან შორს დაიჭირა და თქვა: კიდევ კაი ხანს ირლანდიის ნაკრებს გავწვრთნიო. ასევე იუარა ნაკრების მწვრთნელობა კევინ კიგანმა, რომელმაც „ნიუკასლში" ყოფნა არჩია. ამჟამად ბრიტანული [illegible]ესა სამ კანდიდატურას ასახელებს და სამივეს — შოტლანდიელს. ესენია: [illegible] დალგლიში („[illegible]"), ჯორჯ გ[illegible]ჰემი („არსენალი") [illegible]სონი („მანჩესტერ იუნაიტედი") და ალექს ფე[illegible]. თუ პრესის ვარაუდი გამართლდა, მაშინ ინგლისის ნაკრებს პირველად ისტორიაში არაინგლისელი მწვრთნელი ეყოლება. ისე კი, რაც ყველაზე საინტერესოა, ტეილორი ჯერჯერობით არსად წასვლას არ აპირებს. როგორც ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა ბერტ მილიჩიპმა განაცხადა, ტეილორი 1994 წლის ივნისამდე დარჩება ნაკრებში.

**იაპონიის** ლიგის აუტსაიდერმა „გრამპუს ეითმა", სადაც გარი ლინეკერი თამაშობს, ახალი შენაძენით გაახარა გულშემატკივრები, მითუმეტეს, რომ ამჯერად კლუბის მაისურს არა ვინმე ვეტერანი, არამედ ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი, 22 წლის ჯანლონით სავსე ელიველტონი ჩაიცმევს.

**რუსეთის** ჩემპიონატი 10 ნოემბერს მთავრდება, თუმცა უკვე კარგა ხანია ცნობილია 1993 წლის ჩემპიონი. როგორც მოსალოდნელი იყო, ზედიზედ მეორედ უძლიერესი გახდა მოსკოვის „სპარტაკი". საპრიზო ადგილებისთვის ხუთი გუნდი იბრძვის.

# ევროპა

იმ ორი კვირის მანძილზე, რაც „სარბიელი“ ვერ გამოდიოდა, ევროპის ზონაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, ხოლო ფინალისტთა რიცხვს ევროპიდან ორი სკანდინავიური ქვეყანა — შვედეთი და ნორვეგია დაემატა.

## I ჯგუფი

პორტუგალია — შვეიცარია 1:0

პორტო. „დაშ ანტაში“. 13 ოქტომბერი

პორტუგალია: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ I, პეიშე, სემედუ (ვიტორ პანეირა, 81) ჟორჟე კოშტა, სოუზა, ოსეანუ, რუი კოშტა, ჟოაო პინტუ II, ფუტრე, კადეტე (ნოგეირა, 55)

შვეიცარია: პასკოლო, პოტიგერი, კვენტინი, პერი, გაიგერი, ბრეგი (რუედა, 89), ასუტერი ორელი, კნუპი (გრასი, 81), სფორცა, შაპუიზა.

გოლი: ჟოაო პინტუ II (9)

გაფრთხილება: ჟოაო პინტუ I, სფორცა, შაპუიზა.

იტალია — შოტლანდია 3:1

რომი. ოლიმპიური სტადიონი. 13 ოქტომბერი

იტალია: პალიუკა, ბესი (ლენა, 68), კოსტაკურტა, ბარეზი, ბენარივო, დ.ბაჯო, ერანიო, დონადონი, სტროპა (ძოლა, 90), რ. ბაჯო, კაზირაგი.

შოტლანდია: განი, მაკკიმი, ბოიდი, მაკლარენი, ირვინი, ბოუმენი (მაკსტეი, 70), დურიე, მაკკოლი, ჯესი (დიურანი, 46), მაკალისტერი, გალაპერი.

გოლები: დონადონი (2), კაზირაგი (16), გალაპერი (18), ერანიო (80)

გაფრთხილება: ერანიო, მაკკოლი, მაკალისტერი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | [illegible] | 6 | 2 | 1 | 21-7 | 14 |
| შვეიცარია | 9 | 5 | 3 | 1 | 19-6 | 13 |
| პორტუგალია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-4 | 12 |
| შოტლანდია | 9 | 3 | 3 | 3 | 12-13 | 9 |
| მალტა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 3 |
| ესტონეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-20 | 1 |

დარჩენილი მატჩები: 10.11. პორტუგალია — ესტონეთი, 17.11. მალტა — შოტლანდია, შვეიცარია — ესტონეთი, იტალია — პორტუგალია

## II ჯგუფი

ჰოლანდია — ინგლისი 2:0

როტერდამი. „ფეიენოორდი“. 13 ოქტომბერი

ჰოლანდია: დე გუი, დე ვოლფი, ფ.დე ბური, რ. კუმანი, ე. კუმანი, ვაუტერსი, ოვერმარსი (ვინტერი, 76), რაიკაარდი, რ.დე ბური (ვან გობელი, 89), ბერხკამპი.

ინგლისი: სიმენი, პარკერი, დორიგო, პალმერი (სინტონი, 46), ადამსი, პალისტერი, პლატი, მერსონი (რაიტი, 70), შირერი, შარპი, ინსი.

გოლები: რ. კუმანი (61), ბერხკამპი (69)

გაფრთხილება: დორიგო, რ. კუმანი, ინსი, რაიკაარდი.

პოლონეთი — ნორვეგია 0:3

პოზნანი. „22 ლიპკა“. 13 ოქტომბერი

პოლონეთი: ბაკო, ბაკი, ვეგრჟინი, კოზმინსკი, ვალდოხი (ჩახოვსკი, 80), რ.ვარჟიხა, სვერჩევსკი, კ.ვარჟიხა, ციობერი, კოსეცკი (ბჟეჩეკი, 25), ლესნიაკი.

ნორვეგია: გროდასი, პალე (იაკობსენი, 80), ტ.პედერსენი, ბრატსეტი, ბიორნებიუ, ფლო, მიუკლანდი, ჰ. ბერგი, რეკდალი, ბოჰინენი, ფიორტოფტი (იონსენი, 70).

გოლები: ფლო (61), ფიორტოფტი (63), იონსენი (90).

გაფრთხილება: ვეგრჟინი, ბოჰინენი, ჰ. ბერგი.

27 ოქტომბერი

თურქეთი — პოლონეთი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 7 | 2 | 0 | 24-3 | 16 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 3 | 1 | 26-8 | 13 |
| ინგლისი | 9 | 4 | 3 | 2 | 19-8 | 11 |
| პოლონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-12 | 8 |
| თურქეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 9-18 | 5 |
| სან მარინო | 9 | 0 | 1 | 8 | 1-39 | 1 |

დარჩენილი მატჩები: 10.11. თურქეთი — ნორვეგია, 17.11 სან მარინო — ინგლისი, პოლონეთი — ჰოლანდია. ინგლისის ნაკრებს, 16 ნოემბერს უნდა ეთამაშა, მაგრამ ფიფას გადაწყვეტილებით, ბოლო [illegible] 17 ნოემბერს ერთი [illegible] იგივე დროს ჩატარდება.

## III ჯგუფი

ირლანდია — ესპანეთი 1:3

დუბლინი. „ლენზდაუნ როუდი“. 13 ოქტომბერი

ირლანდია: ბონერი, ირვინი, კერნაგანი, მორანი (შერიდანი, 22), ფილანი, მაკგრატი (კასკარინო, 46), ჰიუტონი, კინი, სთაუნთონი, ვილანი, ქუინი.

ესპანეთი: სუბისარეტა, ფერერი, ვორო, ნადალი, ხიმენი, იერო, გოიკოეჩეა, კამარასა, სალინასი (გვარდიოლა, 67), კამინერო (ბაკერო, 30), ლუის ენრიკე.

გოლები: კამინერო (11), სალინასი (14, 26), შერიდანი (72)

ირლანდიის ნაკრებმა პირველად წააგო შინ ბოლო შვიდი წლის მანძილზე და სულ მეათედ იმ 72 შეხვედრაში, რომლებშიც ჯეკი ჩარლტონი წვრთნიდა. ესპანელთა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ მატჩის შემდეგ თქვა: თუ ფეხბურთში ლოგიკა არსებობს, ამერიკაში ჩვენ და ირლანდიელები წავალთო.

დანია — ჩრდ. ირლანდია 1:0

კოპენჰაგენი „იდროტსპარკი“. 13 ოქტომბერი

დანია: შმაიხელი, ვილფორტი, რიპერი, ოლსენი, ჩელბერგი, კ. ნილსენი, ი. იენსენი, პინგელი (ლარსენი, 87), პოლსენი, მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი.

ჩრდ. ირლანდია: რაიტი, ფლემინგი, უორტინგტონი, თაგარტი, მაკდონალდი, დონაპიუ, კ. უილსონი (ბლეკი, 85), მეგილტონი, დოუი (ჯ. ქუინი, 62), ფ.გრეი, მ. ჰიუზი.

გოლი: ბ. ლაუდრუპი (83).

გაფრთხილება: რაიტი.

მატჩის არბიტრმა ბელარუსმა ჟუკმა 88-ე წუთზე არ ჩათვალა მასპინძელთა კარში გატანილი გოლი. რეიტერმა ამ გადაწყვეტილებას საოცარი უწოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 11 | 7 | 4 | 0 | 15-1 | 18 |
| ესპანეთი | 11 | 7 | 3 | 1 | 26-4 | 17 |
| ირლანდია | 11 | 7 | 3 | 1 | 18-5 | 17 |
| ჩრდ. ირლანდია | 11 | 5 | 2 | 4 | 13-12 | 12 |
| ლიტვა | 12 | 2 | 3 | 7 | 8-21 | 7 |
| ლატვია | 12 | 0 | 5 | 7 | 4-21 | 5 |
| ალბანეთი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-26 | 4 |

დარჩენილი მატჩები: 17.11. ჩრდ. ირლანდია — ირლანდია, ესპანეთი — დანია.

## IV ჯგუფი

რუმინეთი — ბელგია 2:1

ბუქარესტი. „სტიაუა“. 13 ოქტომბერი

რუმინეთი: პრუნია, პეტრესკუ, პროდანი, ბელოდედიჩი, ლუპესკუ, პოპესკუ, მუნტიანუ, საბეუ (შეიმეში, 27), რადუჩოუ, პაჯი (ვლადოიუ, 87), დუმიტრესკუ.

ბელგია: პრიუდომი, გრიუნი, მედვედი, ალბერი, სმიდტსი, ბორკელმანსი (ოლივეირა, 71), ვან დერ ელსტი, სტალენსი, შიფო, ბოფენი, ვილმოტსი (ჩერნიატინსკი, 80).

გოლები: რადუჩოუ (6 პ), დუმიტრესკუ (84), შიფო (88 პ).

უელსი — კვიპროსი 2:0

კარდიფი. „არმზ პარკი“. 13 ოქტომბერი

უელსი: საუთპოლი, ფილიფსი, ჰორნი, საიმონსი, აიზლვუდი, იანგი, ჰიუზი, სპიდი, სონდერსი, რაში, გიგზი.

კვიპროსი: პეტრიდესი, კოსტა, ხრისტოფი, პიტასი, კონსტანტინო, იანგუდაკისი, იოანო, ლარკუ, პაპავასილიუ, სოტილიუ, ხარალამბუსი.

გოლები: სონდერსი (70), რაში (86).

27 ოქტომბერი

ჩეხეთი და სლოვაკეთი—კვიპროსი 3:0

გოლები: დუბოვსკი (11), სკუპრავი (23, 77).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 9 | 7 | 0 | 2 | 16-5 | 14 |
| რუმინეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 27-11 | 13 |
| ჩეხეთსლოვაკ. | 9 | 4 | 4 | 1 | 21-9 | 12 |
| უელსი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-10 | 12 |
| კვიპროსი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-18 | 5 |
| ფარერები | 10 | 0 | 0 | 10 | 1-38 | 0 |

დარჩენილი მატჩები: 17.11. უელსი — რუმინეთი, ბელგია — ჩეხეთსლოვაკეთი

## V ჯგუფი

12 ოქტომბერი

ლუქსემბურგი — საბერძნეთი 1:3

გოლები: მახლასი (31), აპოსტოლაკისი (63), სარავაკოსი (71), ფანელი (82).

27 ოქტომბერი

უნგრეთი — ლუქსემბურგი 1:0

გოლი: დეტარი (20)

## VI ჯგუფი

საფრანგეთი — ისრაელი 2:3

პარიზი. „პარკ დე პრენსი“. 13 ოქტომბერი

საფრანგეთი: ლამა, დესაი, როში (ლიზარაზიუ, 24), ბლანი, პეტი, დეშამი, ლე გუენი, სოზე, პაპენი, კანტონა, ჟინოლა (ჟორკაეფი, 86).

ისრაელი: გინზბურგი, ხალფონი (შვარცი, 88), ა. ხარაზი, კლინგერი, გლამი, ხაზანი, ლევი, ნიმნი (ბერკოვიჩი, 61), ატარი, რ. ხარაზი, როზენტალი.

გოლები: რ. ხარაზი (21), სოზე (29), ჟინოლა (39), ბერკოვიჩი (83), ატარი (90).

გაფრთხილება: გლამი.

შვედეთი — ფინეთი 3:2

სტოკჰოლმი. „რასუნდა“. 13 ოქტომბერი

შვედეთი: რაველი, ნილსონი, ერიკსონი, კამარკი, ლუნგი, ინგესონი (ლანდბერგი, 8), ზეტერბერგი, ლიმპარი, შვარცი, დალინი, ჰ. ლარსონი (მარტინსონი, 80).

ფინეთი: იაკონენი, ერიკსონი (იარვინენი, 46), [illegible] კინუნენი, სუომინენი, ალტონენი [illegible] ჰელმი, ლინდბერგი [illegible] ლიტმანენი.

გოლები: სუომინენი (14), დალინი (27, 46), ჰ. ლარსონი (40), ლიტმანენი (60).

გაფრთხილება: კანერვა, კინუნენი.

ბულგარეთი — ავსტრია 4:1

სოფია. „ვასილ ლევსკი“ 13 ოქტომბერი

ბულგარეთი: მიხაილოვი, კრემენლიევი, ივანოვი, ხუბჩევი, ცვეტანოვი, იანკოვი (ტოდოროვი, 80), ლეჩკოვი, ბალაკოვი, კოსტადინოვი (ბორიმიროვი, 60), სტოიჩკოვი, პენევი.

ავსტრია: ვოლფარტი, ბაური, კოგლერი, პფეფერი, შოტელი, პერცოგი, არტნერი, შტეგერი, შტრაიტერი, ოგრისი, პოლსტერი.

გოლები: პენევი (6, 76), სტოიჩკოვი (32 პ), [illegible] (51), ლეჩკოვი (87).

გაფრთხილება: პფეფერი, კოგლერი.

27 ოქტომბერი

ისრაელი — ავსტრია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-7 | 14 |
| საფრანგეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 16-8 | 13 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-9 | 12 |
| ავსტრია | 9 | 3 | 1 | 5 | 14-15 | 7 |
| ისრაელი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-24 | 5 |
| ფინეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 6-17 | 3 |

დარჩენილი მატჩები: 10.11. ისრაელი — ფინეთი, ავსტრია — შვედეთი, 17.11. საფრანგეთი — ბულგარეთი

პაპენმა მაყურებლების სტვენა დაიმსახურა, ამით აღშფოთებულმა დაურეკა სოზეს და უთხრა, რომ მობეზრდა ნაკრებში თამაში, თუმცა გასულ კვირას განაცხადა, ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მერე დავტოვებო.

# ავსტრალია — არგენტინა

ზეგ სიდნეიში პირველი მატჩია. არგენტინის ნაკრები მარადონას თამადობით უკვე ათიოდე დღეა, რაც ავსტრალიას ჩავიდა და აკლიმატიზაციას გადის. სამშაბათს ნაკრებს ის ხუთი ფეხბურთელი დაემატა, ვინც ევროპაში გამოდის: გაბრიელ ბატისტუტა („ფიორენტინა“), აბელ ბალბო („რომა“), ხოსე შამოტი („ფოჯა“), ფერნანდო რედონდო („ტენერიფე“) და ფერნანდო კასერესი („სარაგოსა“). საინტერესოა, რომ ჩასვლისთანავე დიეგო მარადონამ მიიღო პერსონალური მიწვევა სიდნეის ცნობილი საპოსკიპოს მფლობელის, ქალბატონ ფრენსისის მიწვევა — გვესტუმრე და კმაყოფილი დარჩებიო, თუმცა დიეგოს ბოზებისთვის ნამდვილად არ სცხელა. ის კი არადა, თვითონ შეიძლება უქნან რამე: 26 წლის მეპმეთ დურაკოვიჩი, რომელიც ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა ედი ტომსონმა მოედანზე მარადონას პერსონალურ დარაჯად გაამწესა, მთელი დღეები ტელევიზორს უზის და 1982 წლის იტალია — არგენტინის თამაშის ფირს უყურებს. „კლაუდიო ჯენტილე ჩემი კუმირია და მასავით მარადონას ფეხს არ გავანძრევინებო“ — განაცხადა დურაკოვიჩმა. რაც შეეხება ავსტრალიელთა მეკარე მარკ ბოსნიჩს, რომელიც „ასტონ ვილაში“ თამაშობს და გასულ კვირას „ლა კორუნიასთან“ შეხვედრაში პენალტი აიღო, ბოლო მომენტში დათანხმდა მატჩში მონაწილეობას და სამშაბათს თანაგუნდელებს შეუერთდა. განმეორებითი მატჩი ბუენოს-აირესში 17 ნოემბერს შედგება.

# აფრიკა

ზამბია ვერაფრით შეურიგდა მაროკოსთან განცდილ მარცხს და შეხვედრის მეორე დღესვე ფიფა-ს ტელეფონით აუწყა, რომ კასაბლანკას მატჩს ასაჩივრებს. ზამბიელთა მტკიცებით, გაბონელ მსაჯთა სამეულმა მასპინძლებს გაამარჯვებინა. ფიფა-მ პროტესტი აღრიცხა, მაგრამ კვირა ისე გავიდა, რომ ზამბიელთაგან რაიმე დამატებითი ინფორმაცია ვერ მიიღო.

ეტყობა, მართალი უთქვამთ, ერის განვითარების დონე ფეხბურთზე გადარევის უკუპროპორციულიაო. ჯერ იყო და აპრილში ზამბიელებმა ქვეყნის მთავარი სტადიონის მოედანი ავიაკატასტროფაში დაღუპული ფეხბურთელების კუბოებით მოჰფინეს და ქვეყნის მამასა და მარჩენალს, დოქტორ კენტ კაუნდას მიკროფონით დაატირებინეს, მერე აიკვიატეს, გაბონის მთავრობა თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზთა გარკვევაში საკადრისად არ დაგვეხმარა, რის გამოც იმ ქვეყნის მსაჯიც ჩვენს საზიანოდ გაირჯებაო, ბოლოს კი წაგებით გამოწვეული აღშფ[illegible] [illegible]თების გა[illegible] ლუსაკაში ათკილომეტრიანი მსვლელობაც მოაწყვეს. ამ დროს დუქნებიც დახურულა და ტრანსპორტიც გაქვავებულა.

არადა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მსაჯებმა კაცურად იმსაჯეს. არაბული და ზანგური აფრიკის დაპირისპირების კონტექსტშიც ეს ბრიგადა თურმე მიუკერძოებლობას იცავს. სწორედ მისმა მიუკიბ-მოუკიბავმა პატაკმა გადაათამაშებინა ზიმბაბვეს ეგვიპტეში წაგებული თამაში. ახლა კი ზანგური აფრიკის წარმომადგენლები ამ პატიოსან ხალხს სწამებენ, არაბების მხარეზე არიან, მაროკოს იმიტომ მოაგებინესო.

ისე კი, ფიფა-ს სიჯიუტეც გასაკვირია: თუ ზამბიელთა ზნე უწყოდა, რალას იჯინებდა გაბონელთა მსაჯობას. განა მსოფლიოში მსაჯები გამოილია?

ზიმბაბვემ კამერუნთან წაგების შემდეგ გაათავისუფლა ნაკრების გერმანელი მწვრთნელი რაინჰარდ ფაბიში.

ახალი მწვრთნელი დაინიშნა კამერუნის ნაკრებშიც, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ბოლო მატჩებში ნაკრებს ხუთკაციანი საბჭო ხელმძღვანელობდა და სწორედ ამ ხუთიდან ერთ-ერთი — ჟან-პიერ სადი მოამზადებს გუნდს ფინალური ტურნირისთვის. სადი ხუთი წლის წინ, ვალერი ნეპომნიაშჩის მოსვლამდე უკვე იყო ნაკრების მწვრთნელი.

# აზია

ორი კვირის განმავლობაში ყატარის დედაქალაქ დოხაში მიმდინარეობდა აზიის ქვეყნების ექვსთა ტურნირი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ფინალისტი უნდა გაერკვია.

როგორი ჩასატარებელია ტურნირი, სადაც თითქმის ყველა მეტოქე ქვეყანას ერთმანეთთან, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური კონფლიქტი ჰქონია? პრობლემები თავიდანვე გაჩნდა, თუმცა არა პოლიტიკური: ყატარს იაპონიიდან გულშემატკივართა 15 ათასიანი არმია ესტუმრა, რომლის ნახევარსაც ქალები შეადგენდნენ. აღმოჩნდა, რომ ხალიფას სტადიონზე... ქალთა ტუალეტი არ არსებობდა. თუ როგორ გადაიჭრა ეს პრობლემა, არავინ იუწყება, თუმცა იაპონელი ქალების უმრავლესობა რომ ფეხბურთის ყურებასთან ერთად სექს-ბიზნესსაც აქტიურად ეწეოდა, პრესას არ გამოეპარა. მხარდამჭერნი არც საუდელმა არაბებმა მოისაკლისეს: ყოველ თამაშზე 20 ათასი კაცი ჩამოდიოდა ყატარში და მატჩის შემდეგ უკან მიდიოდა...

ტურნირი ერაყისა და ჩრდილო კორეის მატჩით გაიხსნა. სადამ ჰუსეინის ბიჭებმა შეუტიეს კომუნისტ კორეელებს და მეორე ტაიმის დასაწყისში 2:0 იგებდნენ. აქ კი ჰოლანდიელმა მსაჯმა ულინბერგმა გააძევა ერაყის ნაკრების ლიდერი საად აბდელჰამიდი. ამან აღაფრთოვანა კორეელები, მათ 15 წუთში სამი გოლი გაიტანეს და მატჩიც მოიგეს. ამ დამარცხებამ ერაყელთა მწვრთნელი აღნან დოჯალი შეიწირა, რომელიც იქვე მოხსნეს. სიმწრისაგან დოჯალიმ სკამი დაამტვრია.

თუ პირველ ტურში ინციდენტები ამით ამოიწურა, მესამე ტურში საქმეში პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო: საუდელმა გულშემატკივრები მოედანზე შევარდნენ და 20 წუთით გააჩერეს თამაში — თავიანთ ტრადიციულ[illegible] [illegible] ცდილობდნენ. პოლიციამ მხოლოდ მას შემდეგ ალაგმა ხულიგნები, რაც ფიფას წარმომადგენლებმა მიმართეს თხოვნით. ერაყ-ირანის მატჩი, ყველას გასაოცრად, ხვეჩნა-კოცნით გათავდა. მეოთხე ტურში ერაყის მწვრთნელის გზას ბრაზილიელი ჟოზე კანდიდუც გაუდგა. საუდის არაბეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა პრინცმა სულთან ბინ ფაჰდ ბინ აბდულ აზიზმა იგი ნაკრების მწვრთნელობას ჩამოაშორა.

ბოლო ტურის წინ ხუთი გუნდი ინარჩუნებდა შანსს. გუშინ იაპონია 2:1 იგებდა ერაყთან, მაგრამ ბოლო წუთზე ერაყმა ჰქნა შავი საქმე, გოლი გაიტანა და ამერიკაში კორეა გაამგზავრა. მეორე საგზური საუდელ არაბებს ერგოთ.

ჩრდ. კორეა — ერაყი 3:2, იაპონია — საუდის არაბეთი 0:0, კორეა — ირანი 3:0;

ჩრდ. კორეა — საუდის არაბეთი 1:2, იაპონია — ირანი 1:2, კორეა — ერაყი 2:2;

იაპონია — ჩრდ. კორეა 3:0, ერაყი — ირანი 2:1, საუდის არაბეთი — კორეა 1:1;

ერაყი — საუდის არაბეთი 1:1, კორეა — იაპონია 0:1, ირანი — ჩრდ. კორეა 2:1;

ერაყი — იაპონია 2:2, საუდის არაბეთი — ირანი 4:2, ჩრდ. კორეა — კორეა 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. არაბეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 8-5 | 7 |
| კორეა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 6 |
| იაპონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| ერაყი | 5 | 1 | 3 | 1 | 9-9 | 5 |
| ირანი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-11 | 4 |
| ჩრდ. კორეა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-12 | 2 |

# ამერიკა-94: ფინალისტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 4.07.88 | აშშ |
| 2 | 8.07.90 | გერმანია |
| 3 | 9.05.93 | მექსიკა |
| 4 | 23.05.93 | საბერძნეთი |
| 5 | 2.06.93 | რუსეთი |
| 6 | 5.09.93 | კოლუმბია |
| 7 | 19.09.93 | ბრაზილია |
| 8 | 19.09.93 | ბოლივია |
| 9 | 8.10.93 | ნიგერია |
| 10 | 10.10.93 | მაროკო |
| 11 | 10.10.93 | კამერუნი |
| 12 | 13.10.93 | ნორვეგია |
| 13 | 13.10.93 | შვედეთი |
| 14 | 28.10.93 | ს. არაბეთი |
| 15 | 28.10.93 | კორეა |

# ბორა მილუტინოვიჩი

## სასწაულმოქმედი

ამბობენ, რომ მას თავდავიწყებით უყვარს ფეხბურთი და ამ თამაშის უსაზღვროდ ერთგულია. ამბობენ, რომ მას შეუძლია დასვენების დროსაც საათობით იფიქროს ფეხბურთზე. ამბობენ, რომ იგი ნებისმიერ დროს მზად არის გაემგზავროს თუნდაც ქვეყნის დასალიერს ნიჭიერი მოთამაშის აღმოსაჩენად. ამბობენ, რომ იგი ფეხბურთელების მიმართ მამობრივ ზრუნვას იჩენს. ამბობენ, რომ სტადიონი მისთვის მეორე სახლად იქცა...

— მე არასდროს ვიღლები, როდესაც ფეხბურთზეა საუბარი. ჩემთვის სიცხე და სიცივე არ არსებობს, თუკი საქმე თამაშს ეხება. ვიძინებ თუ ვიღვიძებ, ფეხბურთზე ვფიქრობ, რადგან ფეხბურთი კარგა ხანია ჩემი ცხოვრების საზრისად იქცა. დღეს თუ რამედ ვღირვარ, მხოლოდ ფეხბურთს უნდა ვუმადლოდე — ამბობს აშშ-ის ეროვნული ნაკრების 48 წლის მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი.

მართლაც, ფეხბურთი მის ცხოვრებაში ბავშვობიდანვე შეიჭრა. ბავშვობა კი ბორასთვის მეტად მძიმე გამოდგა. იგი ერთი წლის იყო, როდესაც მეორე მსოფლიო ომის მინუ-



მეკარე ტონი მეოლა

რულს სერბიაში მშობლები დაეღუპა. პანია და მისი ორი ძმა ბიძამ ...ინა-ბასტიდან თავისთან ქალაქ ბორში წაიყვანა. ხუთი-ექვსი წლის ბორა უკვე ფეხბურთით იყო შეპყრობილი და უფროს ძმებთან, მიკლოშთან და მილორადთან ერთად, ტრიალ ადგილებში საათობით, დაბნელებამდე თამაშობდა. მას ვერავინ სწყვეტდა საფეხბურთო მატჩის რადიორეპორტაჟს, როდესაც მისი საყვარელი ბელგრადის „პარტიზანი", კუმირის სტეფან ბობეკის წინამძღოლობით თამაშობდა. მოგვიანებით ბორას ბედმა გაუღიმა, როდესაც სწორედ „პარტიზანში" დაიწყო თავისი საფეხბურთო კარიერა. ამ კლუბთან ერთად მან იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1966 წელს, ეროვნულ ნაკრებში უმცროსი მილუტინოვიჩი სწორედ სტეფან ბობეკმა მიიწვია. მანამდე ბორა 1964 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობდა. ეროვნულ ნაკრებში სხვადასხვა დროს მიკლოში და მილორადიც გამოდიოდნენ. 23 წლის ბორამ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა სპორტული კარიერის უცხოეთში გასაგრძელებლად და საფრანგეთს გაემგზავრა, სადაც „მანტოვაში", „ნიცაში" და „რენში" თამაშობდა, შემდეგ კი შვეიცარიის „ვიტერსპურში" გადაბარგდა. 1972 წელს ბორა მილუტინოვიჩის (სრული სახელია ველიბორი, თუმცა იგი კარგა ხანია შეეგუა, რომ კნინობითი ფორმით მიმართავენ და მოსწონს კიდეც) ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, იგი მექსიკაში დამკვიდრდა და 12 წლის მანძილზე პირველი დივიზიონის კლუბებში ასპარეზობდა. ამ კლუბებს შორის იყო „უნივერსიდადი" (ამ გუნდს ხანდახან უნამ-ს უწოდებენ), რომელსაც მოგვიანებით მწვრთნელობაც გაუწია და ქვეყნის ჩემპიონობა და ცენტრალური ამერიკის ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა. იმ ხანად მისი ხელმძღვანელობით ვითარდებოდა ცნობილი ფორვარდის უგო სანჩესის ტალანტი. მექსიკური ფეხბურთის მესვეურებმა ჯეროვნად შეაფასეს მწვრთნელი-მილუტინოვიჩის საქმიანობა და მას ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ანდეს. მექსიკის ნაკრები 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადებოდა, რომელიც მათ ქვეყანაში უნდა გამართულიყო და მასპინძლებს ბუნებრივია ამ მსოფლიო ფორუმზე თავის ღირსეულად წარმოჩენა სურდათ.

ორ წელიწადში მილუტინოვიჩმა ბევრის გაკეთება მოასწრო: მექსიკურმა ფეხბურთმა საგრძნობი წინსვლა განიცადა, ხოლო ნაკრებმა ჩემპიონატზე ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. ქვეჯგუფში სამ თამაშში ხუთი ქულით პირველ ადგილზე გავიდა, მერვედფინალში ბულგარელებს სძლია 2:0, ხოლო მეოთხედფინალში გფრ-ს ნაკრებთან მხოლოდ პენალტებით წააგო (მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა 0:0).

მაშინ მრავალმა სპეციალისტმა აღიარა მწვრთნელის ნიჭიერება, მაგრამ როდესაც ოთხი წლის შემდეგ მილუტინოვიჩის ხელმძღვანელობით კოსტა-რიკის ნაკრები იტალია 90-ის მერვედფინალში გავიდა, მასზე, როგორც მსოფლიო მასშტაბის მწვრთნელზე ალაპარაკდნენ. ჟურნალისტებმა ბორა მილუტინოვიჩს „სასწაულმოქმედი ადამიანი" უწოდეს. მართლაც, მან ხომ კოსტა-რიკის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორმოცი დღით ადრე ჩაიბარა!

1991 წლის მარტში მწვრთნელის ცხოვრებაში კვლავ დროის ახალი ათვლა დაიწყო. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის, აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციამ ბორა მილუტინოვიჩი ეროვნული ნაკრების საწვრთნელად მიიწვია. ასეთი არჩევანი მოულოდნელი იყო, მითუფრო, რომ ამ თანამდებობაზე მრავალი კანდიდატი ჰყავდათ. მათ შორის ასახელებდნენ სახელგანთქმულ ფრანც ბეკენბაუერს, რომელმაც ბოლო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს გაამარჯვებინა. ამგვარად, ბორა მილუტინოვიჩი 1975 წლიდან მოყოლებული აშშ-ის ნაკრების მეექვსე უცხოელი მწვრთნელი გახდა. მის წინამორბედებს შორის იყო ალკეტას პანაგულიასი, საბერძნეთის ნაკრების დღევანდელი ხელმძღვანელი, რომლის თავკაცობით ბერძენთა გუნდმა პირველად თავის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს შეაღწია.

ბორა მილუტინოვიჩი დიდი ენერგიით შეუდგა საქმეს და თავის გუნდს საკმაოდ მაღალი ამოცანა, მეოთხედფინალში გასვლა (მან იცის, ეს როგორ კეთდება) დაუსახა. „მადა ჭამაში მოდის, ასე რომ ჩვენ უფრო მაღალ ადგილზეც შეგვიძლია ვიფიქროთ" — ხშირად იმეორებს ბორა.

ცხადია, იგი სირთულეების წინაშე დგას. გუნდი შესარჩევი თამაშებისაგან თავისუფალია, ანუ ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას მოკლებულია, მაგრამ მილუტინოვიჩს ასეთ პირობებში მუშაობის გამოცდილება აქვს (ალბათ ამ მიზეზის გამოც მიიწვიეს იგი აშშ-ის ნაკრებში). იგი ხომ თავის დროზე ამზადებდა მექსიკის ნაკრებს, რომელიც ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანას წარმოადგენდა. მაშინ მწვრთნელმა უამრავი ამხანაგური შეხვედრა და საერთაშორისო ტურნირი მოაწყო. მან ახლაც იგივე გაიმეორა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სრული ხელშეწყობით მწვრთნელმა მიაღწია საერთაშორისო ტურნირის, „აშშ-ის თასის" ორგანიზებას. იგი პირველად გასულ წელს გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამერიკელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ირლანდია 3:1 და პორტუგალია 1:0, ფრედ ითამაშეს იტალიასთან 1:1. წლეულს ზაფხულზე კი „აშშ-ის თასის" მეორე გათამაშება შედგა. მასში სხვადასხვა დროის მსოფლიოს ჩემპიონები: ბრაზილია, გერმანია და ინგლისი მონაწილეობდნენ. მილუტინოვიჩის მოთამაშეებმა ღირსეულად იასპარეზეს. მართალია, სასტარტო მატჩი წააგეს ბრაზილიელებთან 0:2, მაგრამ მომდევნო ორი შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს. მათ პირწმინდა ინგლისური სტილით სძლიეს ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს 2:0. ორივე გოლი თაურით გავიდა. ბურთები შეადგეს ტომას დულიმ და ალექს ლალასმა. მესამე მატჩში ტურნირის მასპინძლები დამარცხდნენ გერმანელებთან 3:4. ეს შეხვედრა ჩიკაგოში გაიმართა და 53 ათასმა მაყურებელმა დიდი სიამოვნება მიიღო. დასამახსოვრებელი იყო კიდევ ერთი მატჩი: ბრაზილია — გერმანია 3:3, რომელიც უმაღლესი დონის შეჯიბრებასაც დაამშვენებდა. ამ შეხვედრაში პირველი ტაიმის შემდეგ სამხრეთამერიკელები იყვნენ წინ 3:0, მაგრამ გამარჯვება ვერ შეძლეს. საბოლოოდ 4 ქულით პირველ ადგილზე ბრაზილიელები გავიდნენ, გერმანიის გუნდმა სამი ქულა მოაგროვა, აშშ-მ — 2, ინგლისმა — 1. ამ ტურნირზე ერთი ღირშესანიშნავი მოვლენა მოხდა. აშშ-გერმანიის ...ჩი, ამერიკული სოკერის ისტორიაში (ფეხბურთს აქ ამგვარად უწოდებენ) პირველად, პირდაპირი ეთერით მთელს ქვეყანაში გადაიცა. რაც შეეხება გერმანია-ინგლისის მატჩს, იგიც ფეხბურთის ისტორიაში პირველი იყო, რომელიც პონტიაკის (მიჩიგანის შტატი) შესანიშნავ სტადიონ „სილვერ დოუმიზე" ჭერს ქვეშ... ბუნებრივ ბალახიან მინდორზე გაიმართა. ამ სტადიონზე ჩატარდება 94 წლის ჩემპიონატის თამაშები.

ამის შემდეგ, აშშ-ის ნაკრებმა იასპარეზა ამერიკის თასის გათამაშებაში (ახლა ასე უწოდებენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს), სადაც მექსიკის ნაკრებთან ერთად სტუმრად იყო მიწვეული. მოგვიანებით, მილუტინოვიჩის გუნდი გამოვიდა „ოქროს თასის" გათამაშებაში, რომელიც ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ზონის ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთათვის ტარდება. ფინალში ამერიკელებმა წააგეს მექსიკელებთან 0:4. შეხვედრა მეხიკოში „აცტეკას" სტადიონზე გაიმართა.

ზემოთჩამოთვლილი ტურნირები, ბორა მილუტინოვიჩის აზრით, ხელს უწყობენ ფეხბურთელთა სათამაშო პრაქტიკის გაზრდას. ამ წლის ბოლოს და მომავალი წლის დასაწყისისთვის მწვრთნელმა ბევრი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. დიახ, აშშ-ის ნაკრები ხშირად თამაშობს. შესაძლოა, რომ სწორედ ამიტომაც შეარქვეს ბორა მილუტინოვიჩს „მოთამაშე მწვრთნელი".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: მილუტინოვიჩი ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავისი ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში მოაწყოს. იგი ამ საქმეს კარგადაც ართმევს თავს. მცველი ტომას დული გერმანიის „კაიზერსლაუტერნში" თამაშობს, ნახევარმცველი ჯონ ჰარკსი ინგლისის „შეფილდ უენსდეიში", თავდამსხმელი ტობ რამოსი ესპანეთის „რეალ-ბეტისში", ნახევარმცველი ფრენკ კლოპასი საბერძნეთის აეკ-ში, თავდამსხმელები: რეი ვეგერლა ინგლისის „ბლექბერნში", ერიკ ვინალდა გერმანიის „ზაარბრიუკენში", ერნო სტიუარტი ჰოლანდიის „ვილემში"... ასეთი მასობრივი მიქცევა იმის გამო ხდება, რომ სოკერის ამერიკელი ლიგა ჯერ არ ჩამოყალიბებულა და წამყვან ფეხბურთელებს სამშობლოში ოსტატობის ამაღლება უჭირთ. ექსპერტთა აზრით, ევროპაში მოთამაშე ამერიკელებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს. მრავალმა მათგანმა თამაშით საერთაშორისო დონეს მიაღწია. სხვათაშორის აშშ-ის ნაკრების ბირთვი ძირითადად იგივეა, რაც ოთხი წლის წინ იტალიაში გახლდათ. მაშინ ამერიკის გუნდი 24 მონაწილეს შორის ყველაზე ახალგაზრდული (მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23,5 წელი) იყო. დღეს იგი უკვე [illegible] კოლექტივია, რომელსაც [illegible] მეტოქეებისთვის [illegible] ბის გაწევა. მწვრთნელს მოთამაშეებთან საუბარი უწევს ესპანურად, ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად... ლოს-ანჯელესში დასახლების შემდეგ ბორა ინგლისურსაც ჩაუჯდა. პოლონურს და რუსულსაც კარგად ფლობს, ხოლო სერბიული მისი მშობლიური ენაა.

ახლა ამერიკაში სოკერის პოპულარობა გაიზარდა. ამას ციფრებიც მოწმობენ: გასულ წელს „აშშ-ის თასზე" პორტუგალია-იტალიის თამაშს 41 ათასი მაყურებელი დაესწრო, წლეულს საშუალო მაჩვენებელი 48 ათასზე მეტი იყო. ბორა მილუტინოვიჩი დარწმუნებულია, რომ ქვეყა-



ჯონ ჰარქსი და ინგლისელი პოლ ინსი ამ ზაფხულს გამართულ „აშშ-ს თასის" ტურნირზე აშშ — ინგლისის მატჩში (2:0)

ნას დიდი საფეხბურთო პოტენციალი გააჩნია, მეტადრე იმ რეგიონებში, სადაც ევროპელი და სამხრეთ ამერიკელი ემიგრანტები ცხოვრობენ.

94-ის ჩემპიონატამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ ერთი რეკორდის წინასწარმეტყველება უკვე შეიძლება. თუ რაიმე საგანგებო არ მოხდა (და იმედია არც მოხდება), ბორა მილუტინოვიჩი გახდება ერთადერთი მწვრთნელი, რომელიც სხვადასხვა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სამ სხვა ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა.





გერმანელი კარლ-ჰაინც რიდლე და ერნი სტიუარტი აშშ — გერმანიის მატჩში (3:4) იმავე ტურნირზე

შალვა შალოლაშვილი,
„სარ[illegible] კორესპონდენტი
ნიუ-იორკი, აშშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო!

იგი სამი კვირის წინ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე ომების გამო გადაიდო. ბოლო წუთამდე უცნობი იყო თუ რომელი გუნდები მიიღებდნენ პირველობაში მონაწილეობას. დიშალა სოხუმის გუნდი, გაუქმდა და კვლავ შეკოწინდა გაკოტრებული თბილისის „დინამო", სამტრედიელთა მთავარმა მწვრთნელმა ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს, ფედერაციის სხდომაზე ჩამოღწია და მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. ეს გუნდი, რომელიც ორგანიზატორებს პირველ ჯგუფში ჰყავდათ გაწესებული და შეჯიბრებაში გუშინწინ უნდა ჩართულიყო, მეორეში გადასვეს, ხოლო მისი ადგილი „მერანს" მიაკუთვნეს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა დაასახელა თერთმეტი გუნდი. I ჯგუფი: „ვითა", „კაქტუსი", „ჯიქი", „შევარდენი-2", „მერანი". II ჯგუფი: „დინამო", „აზოტი" (რუსთავი), „ჯიხვი" (ქუთაისი), „თბილისი", ს.ტ.უ.-„თორსი", „სამტრედია". გამარჯვებისათვის გუნდს მიეცემა 2 ქულა, წაგებისათვის — 1. პირველ წრეში, 27-31 ოქტომბერს თამაშობენ I ჯგუფის გუნდები, 4-8 ნოემბერს — II ჯგუფის. 26-30 ნოემბერს გაიმართება საერთო ტური, ანუ I და II ჯგუფის გუნდები ერთმანეთში თამაშობენ. მეორე წრეში: 10-14 დეკემბერი — I ჯგუფი, 15-19 დეკემბერი — II ჯგუფი, 12-18 თებერვალი — საერთო ტური. მესამე წრეში ჩემპიონატი პლეიოფის სისტემით გაგრძელდება; პირველ რვა გუნდს შორის 10-19 მარტს გაიმართება მეოთხედფინალები 2 მოგებამდე, 10-19 აპრილს ნახევარფინალები 3 მოგებამდე, 8-13 მაისს სუპერფინალი 3 მოგებამდე. დამარცხებული გუნდებიც იმავე სისტემით გაარკვევენ ლავიანთ ადგილებს საბოლოო ცხრილში. ფედერაციის ბოლო სხდომაზე ითქვა, რომ „შევარდენის" მთავარი გუნდის მწვრთნელმა სერგო იმხნელმა წინა დღით ვიცე-პრეზიდენტს განუცხადა, რომ იგი გუნდს ვერ გამოიყვანს, რადგან მოთამაშეები აღარ შემორჩა. კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რომელიც სხდომას ესწრებოდა თქვა, რომ ასეთი რამ მას პირველად ესმის. სპორტკლუბ „ვითას" პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ უპრიანი იქნებოდა ჩემპიონატის კიდევ ცოტა ხნით გადადება, რადგან საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუ რომელი მოთამაშე რომელ გუნდშია, მზად არ არიან მსაჯები, პირველობა რეკლამირებული არ არის. დათიკაშვილს მხარი დაუჭირა სტუ-ს მწვრთნელმა გურამ მინაშვილმა, რომელმაც დასძინა: „ჯიბესქელ ადამიანებს არ უნდა მივყიდოთ კალათბურთი. როგორ შეიძლება სახელმწიფო უნივერსიტეტს არ ჰყავდეს გუნდი, მერე რა, რომ მათ რექტორს არ სურს გუნდის გამოყვანა, რექტორები მიდიან და მოდიან, კალათბურთი კი რჩება, მათი შესატანი თანხა სხვა გუნდებმა გავილოთ". მან აგრეთვე თქვა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში არის ტრანსფერების დრო, რასაც მოსამზადებელი პერიოდი მოსდევს, ჩვენც ასე უნდა გვექნაო. უნივერსიტეტის თემას დამსწრეთაგან ცნობილი მსაჯი გიორგი ავალიშვილი გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ რაგინდა ფული ვუგროვოთ, თუ გუნდის გამოყვანა არ უნდათ არც გამოიყვანენო. პირველობა ხვალ უნდა დავიწყოთ — თქვა მან. „თბილისის" მწვრთნელმა ვალერი ჯგერენაიამ ყველას მოუწოდა საკუთარ გუნდზე აგოს პასუხი, ხოლო სხვა გუნდებში ვინ გადავიდა და ვინ არა ეს ჩემი საქმე არ არისო. ტელეკომენტატორმა, იმავდროულად „კაქტუსის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯამლეთ ხუხაშვილმა თქვა, რომ ტელევიზიას უკვე დაგეგმილი აქვს მატჩების ტრანსლიაცია და ამიტომ ჩემპიონატის გადადება არ ეგებისო. საბოლოოდ გაიმართა კენჭისყრა, რომელმაც დაადგინა, რომ პირველობა იწყება. სხდომაზე საგულისხმო იყო „კაქტუსის" პრეტენზია „დინამოს" მიმართ. თურმე, როდესაც „დინამო" იშლებოდა, ამ ისტორიული კლუბის გადასარჩენად მისმა მესვეურებმა მართვეჟოფილს ორი კალათბურთელი სთხოვეს და თანხმობაც მიიღეს. ოღონდ, უთქვამს „კაქტუსის" მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს, ამბობენ რომ „ჯიქი" მთელი შემადგენლობით უნდა გადინამოვდეს, თუ ასე აპირებთ ამ მოთამაშეებს აღარ მოგცემთო. ასეთი რამ არ მოხდებაო, უპასუხნია „დინამოს" ხელმძღვანელობას, სინამდვილეში კი სწორედ ასე მომხდარა. დინამოელთა საქციელი არაჯენტლმენურია, მაგრამ ახლა რაღას იზამთო — უპასუხეს ოქრუაშვილს. საბოლოოდ ეს საკითხი ღიად დარჩა. „ჯიქი" კი ჩემპიონატში მეორე გუნდით გამოდის.

სხდომაზე განიხილეს მსაჯთა ანაზღაურების საკითხი და წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს. მსაჯი ერთ მატჩში 10 დოლარს მიიღებს, გასამრჯელოს ფონდს კი კლუბები შექმნიან. აგრეთვე იმსჯელეს კომისრების დანიშვნისა და თამაშებზე პოლიციის რაზმის მოწვევის შესახებ. გადაწყვიტეს, რომ ჩემპიონატის მატჩები ორ საათზე დაიწყება.

ილია ბაბუნაშვილი



კახა შენგელია („ვითა") „შევარდენთან" გუშინწინდელ მატჩში

## ვაჟთა ჩემპიონატის I ტური

**27 ოქტომბერი**
**„კაქტუსი" — „ჯიქი" 85:48**

კაქტუსი: ა.ულენტი (12), ქართველიშვილი, ნაცვლიშვილი (38), ბერძენიშვილი (6), აბრამიძე (5); ოთიურიძე (8), ს.ულენტი (4), ხუხაშვილი (5), აბულაძე (3), ტეფნაძე (2), ახალაძე (2), ახალკაცი.
ჯიქი: მერკვილაძე (16), ბოლქვაძე (2), შერმადინი (2), ლოლიშვილი (10), დავითაია (3); გოგოლაძე (8), ნივნივაძე (2), ორჯონიკიძე (3), კვეზერელი (2)

„კაქტუსმა" პირველივე თამაშში აამოქმედა ეკლები, რომელთა წინააღმდეგ „ჯიქმა" ვერაფერი გააწყო და საბოლოოდ გვარიანად დასობლეტილი დარჩა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ეკალმა მეცამეტე ნომრით, ვახტანგ ნაცვლიშვილმა, რომელიც შეტევაში სამიდან ორ ნატყორცნს კალათში ათავსებდა და დაცვაშიც საკმაოდ ბევრი გადაცემა ჩაჭრა და ასხლეტილი ბურთი ჩამოხსნა.

**„ვითა" — „შევარდენი" 108:63**

ვითა: კობეშავიძე (12), ჩერქეზიშვილი (5), შენგელია (17), დადიანი (18), ორმოცაძე (4); უძილაური (11), ბერუაშვილი (6), ბეჟანიშვილი (15), მაჭარაძე (3), ჩუბინიძე (17)
შევარდენი: მაჭავარიანი (29), გაფრინდაშვილი (4), ისაკაძე (7), ფიოდოროვი (4), ინაძე (3); ლვინეფაძე (4), სართანია (4), ესიტაშვილი (4), ქავთარაძე (4)

„ვითამ" ითამაშა ისე, როგორც ჩემპიონს ეკადრება. განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ შენგელია, დადიანი, ჩუბინიძე, რომელთა აქტიურობამ განაპირობა კიდეც „ვითას" დიდი ანგარიშით გამარჯვება. „შევარდენიდან" აღნიშვნის ღირსია კახა მაჭავარიანი.

**28 ოქტომბერი**
**კაქტუსი — შევარდენი 110:71**

კაქტუსი: ა. ულენტი (7), ქართველიშვილი (6), ნაცვლიშვილი (37), ბერძენიშვილი (26), აბრამიძე (10); ხუხაშვილი (9), აბულაძე (3), ოთიურიძე (2), ახალაძე (4), ს. ულენტი (2), ტეფნაძე (2), ახალკაცი (2)
შევარდენი: სართანია (3), ლვინეფაძე (4), ისაკაძე (26), კ. მაჭავარიანი (18), ფიოდოროვი; გაფრინდაშვილი (4), ესიტაშვილი (6), ინაძე (6), თაბუაშვილი (2), ქავთარაძე (2)

„კაქტუსის" ეკლებს ვერც შევარდენი გადაურჩა. კვლავ გამოიჩინა თავი ნაცვლიშვილმა, რომლის კარგმა თამაშმა კმაყოფილი დასტოვა მაყურებელი. კარგად ითამაშა ბერძენიშვილმაც, რომელმაც თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა მატჩი. „შევარდნიდან" თავი ისახელა ისაკაძემ.

**ვითა — მერანი 104:58**

ვითა: შენგელია (10), დადიანი (31), ჩერქეზიშვილი (11), კობეშავიძე (17), ჩუბინიძე (10); უძილაური (7), ორმოცაძე (2), ბეჟანიშვილი (12), მაჭარაძე (4)
მერანი: პეტრიაშვილი (17), კობახიძე (4), ანდღულაძე (15), გიგაური (2), გაბრიჩიძე (11); ბერიძე (3), ჩიხლაძე (2), ჯაფარიძე, გურგენიძე (2), ჯალალონია, ბარბაქაძე (2), შუხოშვილი

საგანგებო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ჩემპიონის მეტოქის სახელწოდებით გამოწვეულ გაუგებრობას. მაყურებელთა ერთ ნაწილს „მერანი" შარშანდელი სუპერფინალის მონაწილე ძლიერი გუნდი ეგონა. იმ გუნდს დღეს „თბილისი" ჰქვია, „ვითამ" კი მშვიდად დაამარცხა შედარებით სუსტი გუნდი.

ილია ბაბუნაშვილი
სოსო კოჯლამაზაშვილი

## ქალთა ჩემპიონატის პირველი ტური

**20 ოქტომბერი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — მართვე 79:28
საქართველოს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი — გორის ეკონომიკის ინსტიტუტი 78:48
მეობა (ქუთაისი) — ტანდემი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) 70:41

**21 ოქტომბერი**
მართვე — ტანდემი 37:39
ს.ტ.უ. — გ.ე.ი. 86:35
ს.დ.უ. — მეობა 60:65

**22 ოქტომბერი**
მართვე — ს.დ.უ. 49:71
ს.ტ.უ. — ტანდემი 74:39
გ.ე.ი. — მეობა 47:65

**23 ოქტომბერი**
გ.ე.ი. — მართვე 70:38
ს.ტ.უ. — მეობა 74:8[illegible]
ტანდემი — ს.დ.უ. გადაიდო ს.დ.უ.-ს კალათბურთელის უბედური გამო.

**24 ოქტომბერი**
ტანდემი — გ.ე.ი. 55:80
მეობა — მართვე 65:38
ს.ტ.უ. — ს.დ.უ. 85:64

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მეობა | 5 | 5 | 0 | 346-260 | 10 |
| ს.ტ.უ. | 5 | 4 | 1 | 398-247 | 9 |
| გ.ე.ი. | 5 | 2 | 3 | 280-322 | 7 |
| ს.დ.უ. | 4 | 2 | 2 | 273-247 | 6 |
| ტანდემი | 4 | 1 | 3 | 174-261 | 5 |
| მართვე | 5 | 0 | 5 | 190-324 | 5 |

ჩემპიონატი ხუთ წრედ გაიმართება. II წრე — 20-24 ნოემბერი, III — 20-24 დეკემბერი, IV — 2-6 თებერვალი, V — 20-24 მარტი.

## მესამე ეროვნულ ჩემპიონატს უმსაჯებენ:

ივანე მელაძე (ქუთაისი), ზურაბ აბაშიძე (სამტრედია), გიორგი ავალიშვილი, მურმან ქურიძე, როლანდ გელოვანი, ალექსანდრე როსტომაშვილი, სერგო მალალაშვილი, გია მოლოდინაშვილი, ჯემალ ნინიაშვილი, გიორგი ამბარცუმიანი, ომარ ლებანიძე, ვაჟა ჭოტაშვილი (ყველა თბილისი)

# თორსთა ბანაკი ემზადება



საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადება ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც ახალი მეპატრონე და შესაბამისად სახელწოდებაში ახალი სიტყვა შეიძინა. ახლა გუნდს სტუ-თორსი ჰქვია. გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი

გ უ რ ა მ  მ ი ნ ა შ ვ ი ლ ი.

**— ბატონო გურამ, ორიოდ სიტყვით ახალ მეპატრონეზე გვიამბეთ.**

— წლეულს ჩვენი მეპატრონეობა ისურვა ფირმა „თორსმა". მისი ერთ-ერთი თავკაცი ზაზა თორთლაძე კლუბის პრეზიდენტი გახდა. ქართულ კალათბურთთან თითქმის ყოველთვის იყო დაკავშირებული თორთლაძეების გვარი. ახლაც ასეა: ჩვენი მეცენატის ორი ნათესავი, დათო და ირაკლი თორთლაძეები გუნდის მოთამაშეები არიან. იმედი გვაქვს, რომ „თორსის" შემწეობით სტუ-ს გუნდი ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ფავორიტი გახდება.

**— ბევრი ახალი კალათბურთელი გყავთ?**

— შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ბესარიონ ლუდუშაური შემოგვრჩა. განაცხადში 16 კალათბურთელის შეყვანის უფლება გვაქვს, მაგრამ დღეისათვის მხოლოდ 11 გვყავს. ყოფილი „მერანიდან" გადმოვიდნენ დავით თორთლაძე, ალექსანდრე ფერიაშვილი და დავით ტალაბაძე. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვახტანგ იაშვილმა. დანარჩენები ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ერთი მათგანი, ვლადიმერ სტეფანია, რომლის დიდი იმედიც გვქონდა, კონტრაქტით ლუბლიანის გუნდში გადავიდა. გვაკლია მეორე მწვრთნელი, ვეძებთ ფსიქოლოგს. შევეცდებით მომავალი სეზონისთვის ყველა ვაკინსია შევავსოთ.

**— როგორ ემზადებით?**

— მზადება სექტემბრის პირველ რიცხვებში დავიწყეთ. პირველობას ოქტომბრის დასაწყისში ველოდით, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო იგი გადაიდო და ჩვენც გეგმები აგვერია. ჩავატარეთ ორი თამაში „ჯიქთან" და „კაქტუსთან". პირველი მატჩების კვალობაზე კმაყოფილი დავრჩი. ფიზიკურადაც კარგად ვართ მომზადებული.

**— როგორ ფიქრობთ, ექნება თქვენს გუნდს გამორჩეული სახე?**

— ჯერჯერობით ჩვენი ხელწერა არ გვაქვს, თუმცა მიზანი სწორედ ეგაა. მე, როგორც მწვრთნელი, ვცდილობ თამაშის ეროვნული ხასიათი არ დაიკარგოს. შესაძლოა თანდათან სტილი ჩამოგვიყალიბდეს. საერთოდ, კარგი გუნდის შექმნისთვის რამდენიმე წელია საჭირო.

**— რა სუსტი მხარეები გექნებათ?**

— „მერანიდან" გადმოსული სამეული შეთამაშებულია, მაგრამ დანარჩენი გუნდი მათთან კარგად ჯერ არ არის შეწყობილი. გვაკლია ერთი ტანმაღალი კალათბურთელი, ან თავდამსხმელი, ან ფარქვეშ მოთამაშე. იმისდა მიხედვით, თუ ამ ორიდან რომელი ამპლუისას ვიშოვნით, ფერიაშვილს, რომელსაც ორივე პოზიციაზე შეუძლია თამაში, შესაბამისად გადავაადგილებთ და თუ ასე აგვეწყობა საქმე, მაშინ გარკვეული დროის შემდეგ ჩემპიონობაზე განვაცხადებთ პრეტენზიას. გვაქვს კიდევ ერთი ნაკლი, რომელიც მთელს ქართულ კალათბურთს ახასიათებს და რომელიც შემოქმედებაზე მეტად, დიდ შრომას მოითხოვს: დაცვაში თამაში. მე თავად მცველი ვიყავი და სერიოზული მუშაობის პირობებში ამ ნაკლსაც აღმოვფხვრით.

**— წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელზე უკეთესი იქნება თუ უარესი?**

— თითქოს ექვსი ძლიერი გუნდია გამოკვეთილი, მაგრამ ყველაფერი მაინც მომავალში გამოჩნდება. NBA ავიღოთ. იქ გუნდები სეზონში ოთხმოცამდე შეხვედრას ატარებენ. ჩვენ 60 რომ ჩავატაროთ კარგია, მაგრამ 5-6 გუნდი ამდენჯერ რომ შეხვდეს ერთმანეთს, მოსაბეზრებელი იქნება, 10-12 გუნდი მაინც უნდა იყოს.

**— მეორეს მხრივ რას მოგვცემს ისეთი მატჩების ჩატარება, სადაც ერთი გუნდი მეორეზე გაცილებით ძლიერი იქნება და სულ დიდი სხვაობით მოიგებს?**

— საქართველოში ოთხმოცამდე კარგი კალათბურთელია. მათგან 10-12 თანაბარი ძალის გუნდის შექმნა და დაძაბული პირველობის ჩატარება შეიძლება. მე მქონდა იდეა, რომ სამი წლის განმავლობაში მაინც, ჩვენს გუნდებს სეზონში ორ მოთამაშეზე მეტის შეძენის უფლება არ ჰქონოდათ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფინანსურად ძლიერმა კლუბებმა ყველა წამყვან კალათბურთელს თავისთან მოუყარეს თავი, რამაც რამდენიმე გუნდი დაშალა კიდეც.

**— პროფესიულ ლიგაზე რას იტყვით?**

— საქმე თავისთავად მაქეთ მიდის. ახლა უკვე ლიგა აჯობებს.

**— ახალ სეზონში რა მიზანი გაქვთ?**

— საპრიზო ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

პაპუნა კედია

## საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების განაცხადები

### ქალები

**სდუ თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| ანი იოსელიანი | 1975 | 182 |
| ნინო კურტანიძე | 1959 | 177 |
| ეკა ჭულუხაძე | 1973 | 187 |
| ნონა ვაჩაიშვილი | 1975 | 182 |
| ქეთევან გრიგალაშვილი | 1975 | 186 |
| მანანა მაისურაძე | 1967 | 186 |
| მარიკა ხიდურელი | 1974 | 175 |
| ნათია ჯანჯღავა | 1976 | 168 |
| თეა ცხადაია | 1976 | 168 |
| ეკა გვეხიძე | 1975 | 165 |
| თამარ ხარატიშვილი | 1975 | 175 |
| მაია მაგრაქველიძე | 1976 | 180 |
| თეა უხანეთაშვილი | 1976 | 172 |
| სოფიკო ალლაძე | 1976 | 169 |
| თეა ქუთათელაძე | 1976 | 174 |
| ნინო კავთიაშვილი | 1976 | 172 |

მთ. მწვრთნელი შ. იაქაშვილი
მწვრთნელი ა. მათნაძე

**მეობა ქუთაისი**

| | | |
|---|---|---|
| გუცუნა ფურცელაძე | 1970 | 186 |
| ქეთევან ქერდიყოშვილი | 1971 | 185 |
| ელეონორა კობახიძე | 1972 | 182 |
| ლია ჩეკურიშვილი | 1973 | 184 |
| ია გოგლიჩიძე | 1974 | 186 |
| მარიამ კაკაურიძე | 1977 | 180 |
| მაია კუპრაშვილი | 1970 | 180 |
| ეთერ ბალავაძე | 1976 | 182 |
| გვანცა ომიაძე | 1971 | 170 |
| ქრისტინე ლომიძე | 1976 | 170 |
| მაკა კუპატაძე | 1973 | 180 |
| თამარ კანდელაკი | 1968 | 178 |
| ეთერ კორკოტაძე | 1971 | 172 |

მთ. მწვრთნელი ი. მელაძე
მწვრთნელი ნ. ჭეიშვილი

**ბეი გორი**

| | | |
|---|---|---|
| სოფიო ნუცუბიძე | 1975 | 170 |
| მაკა აბრამიშვილი | 1974 | 180 |
| ნატო გუზიტაშვილი | 1973 | 183 |
| მაია ბუქულაშვილი | 1974 | 176 |
| ლია მშვიდობაძე | 1975 | 169 |
| თეა კეჩხუაშვილი | 1970 | 166 |
| ნათია ბურდული | 1974 | 170 |
| თამარ როსტომოვი | 1971 | 165 |
| ლერა ვაზაგაშვილი | 1971 | 170 |
| ლია ხუციშვილი | 1976 | 173 |
| თამარ ლურსმანაშვილი | 1975 | 165 |
| ნინო მირიანაშვილი | 1969 | 170 |
| ეთერ ნათენაძე | 1978 | 170 |

მთ. მწვრთნელი ვ. შავიშვილი
მწვრთნელი ნ. პაიჭაძე

**სტუ თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| თამარ ბუიღლიშვილი | 1962 | 180 |
| ნინო სირაძე | 1963 | 175 |
| ლია მაისურაძე | 1967 | 184 |
| ირინა ცინცაძე | 1975 | 200 |
| ნათია ჭულუხაძე | 1974 | 201 |
| ლელა ცანავა | 1973 | 173 |
| სოფიკო ლოლიშვილი | 1974 | 181 |
| ლია ქაჯაია | 1969 | 178 |
| ხათუნა გაბედავა | 1970 | 180 |
| ეკა მეგრელიძე | 1971 | 175 |
| მაია აბრამიშვილი | 1973 | 184 |
| თამარ მგალობლიშვილი | 1974 | 175 |

მთ.მწვრთნელი ვ. შეხოვცევი
მწვრთნელი ნ. ლორია

**ტანდემი თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| დალი ვაჭარაძე | 1967 | 173 |
| მაკა ლონლაძე | 1973 | 173 |
| თინათინ სარალიძე | 1974 | 172 |
| ოლღა ავაქიანი | 1974 | 189 |
| ირინე ძიძიგური | 1975 | 175 |
| ლელა ხუჭუა | 1975 | 175 |
| ნანა ადეიშვილი | 1972 | 186 |
| მანანა ბიჩინაშვილი | 1972 | 160 |
| მეგი ტუნტურიშვილი | 1976 | 163 |
| ნინო კახიანი | 1977 | 175 |
| ეკატერინე შეშაბერიძე | 1970 | 170 |
| თამრიკო ჩხიკვაძე | 1964 | 184 |

მთ. მწვრთნელი ა. კაზანჯიანი

**მართვე თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| თამუნა დავითიშვილი | 1979 | 172 |
| ინგა გუდაძე | 1978 | 192 |
| მარინე მელიქიძე | 1981 | 189 |
| მაკა ჭანტურია | 1979 | 174 |
| ლალი ტრაპაიძე | 1978 | 172 |
| ლია ნემსიწვერიძე | 1978 | 181 |
| მაია გაფრინდაშვილი | 1977 | 174 |
| მაკა ნაჭყებია | 1979 | 180 |
| თამრიკო სვანიძე | 1978 | 176 |
| ლალი კახიანი | 1979 | 178 |
| ეკატერინე ბასილაშვილი | 1978 | 174 |
| თამრიკო სამხარაძე | 1977 | 174 |
| ეკატერინე ტუნტურაშვილი | 1980 | 170 |
| მაია ტატიური | 1979 | 178 |
| ნინო ტატიური | 1978 | 177 |

მწვრთნელები ო. ლებანიძე, ნ. ჭეიშვილი

### ვაჟები

**ვიტა თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი | 1964 | 178 |
| მიხეილ კობეშავიძე | 1968 | 194 |
| კახა შენგელია | 1972 | 208 |
| დავით დადიანი | 1969 | 193 |
| გიორგი ბერუაშვილი | 1962 | 204 |
| ამბროსი ორმოცაძე | 1970 | 193 |
| მამუკა ტურაშვილი | 1970 | 193 |
| შოთა უძილაური | 1967 | 188 |
| ზურაბ ჩუბინიძე | 1973 | 200 |
| კახა ბარამიძე | 1974 | 192 |
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 1975 | 204 |
| შოთა მაჭარაძე | 1975 | 205 |

მთ. მწვრთნელი ბ. ლიპარტელიანი
მწვრთნელი ზ. ტომარაძე

**შევარდენი-2 თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| დავით მაჭავარიანი | 1958 | 175 |
| კახა მაჭავარიანი | 1972 | 188 |
| ზაზა ესიტაშვილი | 1968 | 187 |
| კონსტანტინე ისაკაძე | 1968 | 192 |
| მალხაზ ღვინეფაძე | 1960 | 192 |
| თემურ ქავთარაძე | 1973 | 188 |
| ლაშა სართანია | 1968 | 186 |
| ბორის ფიოდოროვი | 1972 | 183 |
| გიორგი მოლოდინაშვილი | 1968 | 192 |
| ზვიად ღაბუაშვილი | 1977 | 198 |
| მამუკა გაფრინდაშვილი | 1972 | 198 |
| დავით ქიტიაშვილი | 1958 | 192 |
| აკაკი მოისწრაფიშვილი | 1977 | 182 |
| დავით მოისწრაფიშვილი | 1979 | 178 |

მთ.მწვრთნელი გ.კოშკელოვი
მწვრთნელი დ.შარაბიძე

**ვიხვი ქუთაისი**

| | | |
|---|---|---|
| ლერი ხუჯაძე | 1956 | 187 |
| მერაბ ნაცვლიშვილი | 1968 | 186 |
| დათო გუმბერიძე | 1970 | 187 |
| ზაზა მაჩალაძე | 1974 | 200 |
| ავთო აფრიდონიძე | 1962 | 183 |
| დათო ბერეკაშვილი | 1973 | 191 |
| თენგო დევიძე | 1971 | 186 |
| ზურაბ ჩიხრაძე | 1975 | 196 |
| გია თურქაძე | 1975 | 188 |
| ლევან გუგუციძე | 1975 | 188 |
| ნიკოლოზ ხაზარაძე | 1977 | 177 |
| დევი დევიძე | 1976 | 178 |
| ამირან ჯალაღონია | 1975 | 203 |
| ლევან გოქსაძე | 1966 | 205 |
| კახა გუბელაძე | 1966 | 193 |

მწვრთნელი შ. ჯავახიშვილი

**აზოტი რუსთავი**

| | | |
|---|---|---|
| აჩიკო აბზიანიძე | 1971 | 182 |
| ზაზა გაბისონია | 1973 | 182 |
| მიხეილ ბერუაშვილი | 1970 | 205 |
| ბადრი კიკვიძე | 1971 | 180 |
| რამაზ გოგობერიშვილი | 1973 | 194 |
| მამუკა აბაშიძე | 1964 | 198 |
| ილია კოქლამაზაშვილი | 1975 | 182 |
| ბერდია ქობულაძე | 1970 | 198 |
| ილია კეჭაყმაძე | 1962 | 198 |
| აჩიკო მიქიაშვილი | 1971 | 204 |
| კოტე ლაფერაძე | 1975 | 180 |
| ზურაბ გონაშვილი | 1975 | 188 |
| თემურ მჭედლიძე | 1974 | 190 |
| თემურ კასრაძე | 1975 | 187 |
| ზაზა მიროტაძე | 1974 | 198 |
| ნიკო გოდერძიშვილი | 1973 | 193 |

მთ. მწვრთნელი ო. ხმელიძე
მწვრთნელი ა. ხაჩიძე

**მერანი თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| ალეკო პეტრიაშვილი | 1968 | 183 |
| ზურაბ კობახიძე | 1967 | 190 |
| მიხეილ გაბრიჩიძე | 1966 | 203 |
| დავით ჩიხლაძე | 1966 | 190 |
| აკაკი ჯაფარიძე | 1968 | 195 |
| რამაზ რაზმაძე | 1969 | 202 |
| დავით ბარბაქაძე | 1970 | 193 |
| თემურ ცაგარეიშვილი | 1963 | 195 |
| ამირან ჯალაღონია | 1975 | 204 |
| პაატა გაბრიჩიძე | 1970 | 193 |
| დავით ნერგაძე | 1963 | 190 |
| თენგიზ ბერიძე | 1970 | 194 |
| დავით ცისკარიშვილი | 1971 | 168 |
| კახა შუხოშვილი | 1974 | 184 |
| მალხაზ ანდღულაძე | 1971 | 194 |

მთ. მწვრთნელი ზ. ბარბაქაძე
მწვრთნ. ლ.ინწკირველი, ლ.მუშტარაული

**თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| ნოდარ ქორქია | 1952 | 190 |
| ნიკოლოზ დერიუგინი | 1959 | 206 |
| პაატა გურასპაული | 1963 | 186 |
| მიხეილ ახვლედიანი | 1968 | 190 |
| ზურაბ ქორფაშვილი | 1970 | 188 |
| გოჩა აბულაშვილი | 1968 | 203 |
| ნუგზარ კოკოლიშვილი | 1971 | 197 |
| რევაზ შავლოხაშვილი | 1964 | 195 |
| თენგიზ ბერიძე | 1970 | 194 |
| გიორგი სანაძე | 1965 | 193 |
| ზაზა ცაგარეიშვილი | 1967 | 185 |
| არჩილ ხელაშვილი | 1971 | 202 |
| ლევან ქარაბაქი | 1977 | 202 |

მთ. მწვრთნელი ვ. ჯგერენაია
მწვრთნელი ნ. ქორქია

**პაქტუსი თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| დავით ბერძენიშვილი | 1976 | 208 |
| ვასილ ოთიურიძე | 1974 | 202 |
| გიორგი ტეფნაძე | 1976 | 203 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 1976 | 205 |
| გულივერ ახალკაცი | 1976 | 202 |
| ვლადიმერ აბულაძე | 1976 | 193 |
| მიხეილ ხუხაშვილი | 1970 | 190 |
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 188 |
| არჩილ ულენტი | 1975 | 185 |
| სერგო ულენტი | 1976 | 186 |
| გიორგი ქართველიშვილი | 1970 | 185 |
| ირაკლი ახალაძე | 1976 | 187 |
| ვასიკო დილმელაშვილი | 1976 | 190 |
| მამუკა აბრამიძე | 1973 | 194 |

მთ. მწვრთნელი თ. ოქრუაშვილი
მწვრთნელი გ. ნაცვლიშვილი

**დინამო თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| ვასილ გოგუა | 1974 | 202 |
| რევაზ ჩხეიძე | 1973 | 197 |
| შალვა ცხვედიანი | 1970 | 200 |
| ამირან სხირელი | 1970 | 202 |
| ვალერიან კილაძე | 1975 | 201 |
| ლევან ბაქრაძე | 1973 | 193 |
| ირაკლი ვაშაკიძე | 1969 | 196 |
| გურამ ვაშაკიძე | 1968 | 200 |
| ლევან სამხარაძე | 1967 | 195 |
| ალექსანდრე დავითულიანი | 1974 | 194 |
| რამაზ რაზმაძე | 1968 | 202 |
| ირაკლი მაისურაძე | 1975 | 188 |
| გელა დარსაძე | 1962 | 187 |

მწვრთნელები ვ. ჭკუასელი, ვ. მაისურაძე

**ჯიქი თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| ზაზა ლოლიშვილი | 1969 | 198 |
| ლევან მერკვილაძე | 1972 | 193 |
| ვალერი ნივწივაძე | 1976 | 200 |
| კობა ლომთაძე | 1972 | 184 |
| გიორგი კოპალეიშვილი | 1972 | 200 |
| ავთანდილ შერმადინი | 1976 | 200 |
| ვეფხია გოგალაძე | 1974 | 192 |
| დიმიტრი ორჯონიკიძე | 1977 | 187 |
| ლევან დავითაია | 1973 | 182 |
| ვასილ კვეზერელი | 1973 | 200 |
| დავით ნიკურაძე | 1970 | 192 |

მთ. მწვრთნელი პ. არჩვაძე
მწვრთნელი გ. ჩრდილელი

**სტუ-თორსი თბილისი**

| | | |
|---|---|---|
| დავით თორთლაძე | 1970 | 183 |
| ალექსანდრე ფერიაშვილი | 1967 | 202 |
| დავით ტალაბაძე | 1967 | 198 |
| ვახტანგ იაშვილი | 1975 | 185 |
| ბესარიონ ლუდუშაური | 1973 | 191 |
| ზურაბ საკანდელიძე | 1971 | 180 |
| ირაკლი თოთრთლაძე | 1974 | 180 |
| მამუკა ფიცხელაური | 1976 | 201 |
| ლუკა ვასაძე | 1969 | 186 |
| გია ლომიძე | 1977 | 193 |
| თემურ ცაგარეიშვილი | 1964 | 193 |
| მამუკა ცაგარეიშვილი | 1969 | 196 |
| ზვიად მიქაძე | 1979 | 175 |
| გიორგი ხარაძე | 1975 | 202 |

მთ. მწვრთნელი გ. მინაშვილი



# „მაკლარენი“ დაეწია „ფერარის“



XV რბოლა
იაპონიის „გრან პრი“,
„სუძუკას“ ავტოდრომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიის „დიდი პრიზის“ გათამაშებას ყოველწლიურად 200 ათასამდე მაყურებელი ესწრება. გამონაკლისი არც წლევანდელი რბოლა იყო. მართალია, ალენ პროსტმა იაპონიაში ჩასვლამდე გაინაღდა ჩემპიონობა, მაგრამ კვირას მაინც უამრავი გულშემატკივარი მიაწყდა „სუძუკას“ ავტოდრომს. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელები „ფორმულაში“ წამყვან როლს არ თამაშობენ და ერთი „გრან-პრიც“ კი არა აქვთ მოგებული, უსწრაფესი ბოლიდების მიმართ მათ ქვეყანაში ისეთ დაინტერესებას იჩენენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ერთი ეტაპის გამართვაც განიზრახეს. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამაც დააკმაყოფილა მათი თხოვნა და გაისად იაპონია წყნარი ოკეანის „დიდი პრიზის“ გათამაშებასაც უმასპინძლებს.

„სუძუკას“ არც თუ სწრაფ და საკმაოდ დახლართულ ტრასაზე რბოლები დიდი ხანი არაა, რაც ეწყობა. თითქმის 6 კმ სიგრძის წრემ პილოტებს პირველად 1987 წელს მოუყარა თავი. აღსანიშნავია, რომ იქ ყოველწლიურად იცვლებიან გამარჯვებულები — ზედიზედ ორჯერ მოგება ვერავინ მოახერხა. „სუძუკა“ ყველაზე ბედნიერია აირტონ სენასთვის: სამჯერ გახდა ბრაზილიელი „ჯადოქარი“ მსოფლიოს ჩემპიონი და სამჯერვე ეს საქმე სწორედ იაპონიაში გადაწყდა. სამაგიეროდ, იქ ვერც ერთხელ ვერ იმარჯვა პროსტმა.

სტარტი უკონფლიქტო გამოვიდა. პირველი პოზიცია ამჯერადაც პროსტის „უილიამსისა“ იყო. მას გვერდს „უმშვენებდა“ სენას „მაკლარენი“, მესამე ხაზზე კი ბრაზილიელის თანაგუნდელი მიკა ჰაკინენი იდგა. „პროფესორი“ უკვე მერამდენედ, წამით შეყოვნდა და ლიდერობა სენამ იგდო ხელთ, მაგრამ სულ რაღაც 60 კმ-ის გავლის შემდეგ მან ბოქსებში შეუხვია საბურავების გამოსაცვლელად. მართალია, „მაკლარენის“ მექანიკოსებმა უსწრაფესად, სულ 5,13 წამში გაართვეს თავი საქმეს, მაგრამ ეს პროცედურა ბრაზილიელს ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. 16 წრის შემდეგ პროსტის უპირატესობამ 11 წამს მიაღწია, მაგრამ სენამ თანდათან შეამცირა სხვაობა და ხელმეორედ გაასწრო „რე-[illegible] „უილიამსს“. ამასობაში ბრძოლას გამოეთიშა გამარჯვების ერთ-ერთი პრეტენდენტი მიხაელ შუმახერი. რთულ მოსახვევში შესვლისას გერმანელის „ბენეტონი“ ოდნავ წამოედო დეიმონ ჰილის „უილიამსს“, რის შედეგადაც „ბენეტონს“ წინა ბორბალი მოსძვრა.

ერთფეროვან, მონოტონურ რბოლაში გამოცოცხლება შეიტანა სადღაც მეოცე წრეზე წამოსულმა კოკისპირულმა წვიმამ. ბოქსებთან რიგი გაიმართა. რამდენიმე პილოტმა სველ ტრასას ალღო ვერ აუღო და გზიდან გასრიალებული, ბარიერს შეასკდა. ამსიტუაციაში ყველაზე უკეთ გრძნობდა თავს სენა. შუა დისტანციაზე იგი თითქმის ნახევარ წუთს უგებდა პროსტს. მალე ისევ მზემ გამოანათა და ტრასაც გაშრა.

სენამ შეინარჩუნა უზარმაზარი უპირატესობა და მეორმოცე „დიდი პრიზი“ მოიპოვა. პროსტი მეორე ადგილს დასჯერდა. „პროფესორმა“, ეტყობა, მართლა დაკარგა ინტერესი „სამეფო რბოლებისადმი“, ვინაიდან ასეთი სრულყოფილი მანქანითაც კი ზედიზედ მეხუთე ეტაპის მოგება ვერ შესძლო. მესამე ადგილზე „მომავლის ჩემპიონი“ ჰაკინენი გავიდა. აშკარად შეცდა „მაკლარენის“ გამოცდილი შეფი რონ დენისი, როცა მხოლოდ 13 ეტაპის შემდეგ ანდო თავისი ბოლიდის საჭე 25 წლის ფინელს, რომელმაც უხეიროდ მოასპარეზე მაიკლ ანდრეტი შეცვალა. ამ უკანასკნელმა იმით გამოიჩინა თავი, რომ რამდენიმე მანქანა ჯართად აქცია და მხოლოდ სამჯერ მოახერხა ექვსეულში შესვლა. ჰაკინენმა კი უკვე მეორე რბოლაში მთელი სამასკილომეტრიანი დისტანცია ოსტატურად გაიარა და დაამტკიცა, რომ მთელი თავით სჯობს ამერიკელს, რომელმაც უკვე თვეზე მეტია აიკრა გუდა-ნაბადი და ისევ თავის „ინდიკარს“ დაუბრუნდა. იმასაც ამბობენ, ანდრეტი საერთოდ აპირებს სპორტიდან წასვლასო.

„სუძუკაზე“ კიდევ ერთმა დებიუტანტმა იყოჩაღა. ესაა 27 წლის ედი ერვინი, რომელიც ედი ჯორდანმა მიიწვია თავის გუნდში. ირლანდიელი მთელი გზა ლიდერთა შორის იყო და ფინიშთან მეექვსე მივიდა.

ამჯერადაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი „ფერარის“ პილოტებმა. ჟან ალეზი დასაწყისშივე გამოეთიშა რბოლას, გერჰარდ ბერგერს კი ფინიშამდე 11 წრით ადრე უმტყუნა მანქანამ. უკვე სამ წელზე მეტია, რაც ამ იტალიური ფირმის ბოლიდებს ეტაპი არ მოუგიათ. 1990 წლის შემოდგომაზე პროსტის გამარჯვება ესპანეთის „დიდი პრიზის“ გათამაშებაში 103-ე იყო სახელოვანი გუნდის ისტორიაში. გასულ კვირას ამ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რეკორდს თანაავტორი გამოუჩნდა — სენას გამარჯვების წყალობით „მაკლარენი“ გაუთანაბრდა „ფერარის“. ამ მაჩვენებელს იტალიურმა გუნდმა 520 რბოლაში მიაღწია, „მაკლარენს“ კი 393 ეტაპი ეყო.

**გია ახალაძე**



**აირტონ სენა**
**ბრაზილია**

დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან-პაულუში.

სიმაღლე 175 სმ, წონა 70 კგ.

ცხოვრობს სან-პაულუში და მონტე-კარლოში. ამჟამად უცოლოა.

ფორმულა 1-ში სენას დებიუტი შედგა 1984 წელს „ტოლმენის“ გუნდში, ბრაზილიის „დიდი პრიზის გათამაშებისას. მომდევნო სამი წელი მან „ლოტუსის“ შემადგენლობაში გაატარა. 1985 წელს პორტუგალიაში, „ეშტორილის“ ავტოდრომზე მოიგო პირველი „გრან-პრი“. 1988 წლიდან მოყოლებული ბრაზილიელი პილოტი „მაკლარენის“ ღირსებას იცავს. სწორედ „პონდას“ ძრავით აღჭურვილი ამ ბოლიდით მიაღწია მან ყველაზე დიდ ნარმატებას — 1988, 90 და 91 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

შარშანდელი სეზონი ბრაზილიელი „ჯადოქრისთვის“ ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი გამოდგა — მან მხოლოდ სამი რბოლის მოგება შესძლო და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. წლეულს სენას კონტრაქტი „მაკლარენთან“ 14,5 მილიონია.

„სუძუკაზე“ გამარჯვება სენას მიერ მოგებული მე-40 „გრან-პრია“. სულ 157 რბოლაში მიიღო მონაწილეობა და დააგროვა 604 ქულა. ამ მაჩვენებლებით მას მხოლოდ პროსტი უსწრებს.

იაპონიის „გრან-პრის“ შედეგები (53 წრე, საერთო სიგრძე 310,792 კმ). საუკეთესო შედეგი წრეზე (5864 მ) აჩვენა მარტინ ბრანდლმა („ლიჟიე“) — 206,72 კმ-სთ.

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“); 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „უილიამსი“); 3. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი“); 4. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი“); 5. რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია, „ჯორდანი“); 6. ედი ერვინი (ირლანდია, „ჯორდანი“).

საერთო ჩათვლა: 1.პროსტი — 93 ქულა; 2. ჰილი — 65; 3. სენა — 63; 4. შუმახერი — 52; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბენეტონი“) — 20; 6. ალეზი — 13; 7. ბრანდლი — 12; 8. ჯონი ჰერბერთი (ბრიტანეთი, „ლოტუსი“) — 11; 9-10. ბერგერი და მარკ ბლანდელი (ბრიტანეთი, „ლიჟიე“) — 10-10.

კონსტრუქტორები: 1. „უილიამსი“ — 158; 2. „მაკლარენი“ — 74; 3. „ბენეტონი“—72; 4. „ფერარი“—23; 5. „ლიჟიე“—22.

# «ფორმულა» და «ინდიკარი»

რაც ალენ პროსტმა ფორმულა-1-ის მეოთხედ ჩემპიონობა დაიბევა, სპორტიდან წასვლაც განაცხადა. გაისად „უილიამსში“ მას შეცვლის მოსისხლე აირტონ სენა, რომელიც გუნდის მეპატრონე ფრენკ უილიამსმა ორი კვირის წინ პირველ პილოტად დაასახელა. მეორე ნომერი კვლავ დეიმონ ჰილი იქნება. ამან წელს ფორმულაში პირველად იასპარეზა და უკვე სამი დიდი პრიზიც მოიგო.

პროსტმა უილიამსს შეუქო არჩევანი, მეტადრე — ჰილის შენარჩუნება, მაგრამ პროფესორად ცნობილმა ფრანგმა ისიც შენიშნა, რომ გაისად გუნდს გაუჭირდება, რაკილა სხვათა წინაშე აღარ ექნება ტექნოლოგიური უპირატესობა — გაისად მანქანებზე ხომ იკრძალება ერთობ ძვირი აქტიური შეკიდების დამონტაჟება. პროსტის თქმით, ჰილი ძალზედ ნიჭიერი მრბოლია, მაგრამ ძველი ყაიდის მანქანით არასოდეს უნავარდია და ამიტომ ზამთრის არდადეგები პასიურშეკიდებიანი ბოლიდების შესწავლას უნდა მოახმაროსო.

გუნდის გეგმების შესახებ უილიამსსა და ჰილსაც ჰკითხეს. მეპატრონის მტკიცებით, გაისად იგი მრბოლებს სრულ თავისუფლებას მიანიჭებს — ჰილს სენას გასწრებას არ აუკრძალავს. ჰილის აზრით, სენა ჭირვეული პარტნიორია, მაგრამ არც პროსტი იყო ჯაბანი. რაც შეეხება სენას მიერ მიტოვებულ „მაკლარენ-პეჟოს“, მან პირველ ნომრად ფინელი მიკა ჰაკინენი დაიმტკიცა, მეორე პილოტი კი ჯერაც არა ჰყავს. გარდა ამისა, ინგლისში დაფუძნებულმა იაპონურმა „ფუტუორკმა“ (დევიდ უორვიკი და აგური სუძუკი) უარყო ჭორები, თითქოს გაისად, წარმოების საყოველთაო შეკვეცის გამო, ფორმულას მიატოვებდა.

ამერიკაში კი დასრულდა „ინდიკარის“ ჩემპიონატი. კალიფორნიაში, მონტერეიში ბოლო რბოლა კანადელმა პოლ ტრეისიმ მოიგო. წელს ეს მისი მეხუთე გამარჯვება იყო. ტრეისიმ ჯამში მესამე ადგილი დაიკავა. პირველი ინგლისელი ნაიჯელ მენსელია, მეორე — ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი. მენსელმა ბოლო რბოლა უცუდესი შედეგით — 25-ე ადგილზე დაასრულა მას შემდეგ, რაც ავარიაში მაჯა იტკინა.

„ინდიკარის“ ოთხგზის ჩემპიონმა, 53 წლის მარიო ანდრეტიმ გამოაცხადა, რომ გაისად უკანასკნელად ირბოლებს, წელს იგი მენსელის მხარდამხარ „ნიუმენ-ჰაასის“ ღირსებას იცავდა. ანდრეტიმ „ინდიკარში“ ბედი პირველად 1969 წელს სცადა, 1983 წლიდან კი ახლანდელ გუნდში უცვლელად გამოდის — სწორედ მაშინ გაიმართა „ნიუმენ-ჰაასის“ დებიუტი. სულ ანდრეტის „ინდიკარში“ 52 შეჯიბრი მოუგო, 1978 წელს კი ფორმულა-1-ის ჩემპიონიც ყოფილა.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ პარიზში გამოაცხადა თავისი საგაისო შეჯიბრებების კალენდარი. ფორმულა-1-ის 45-ე მსოფლიოს ჩემპიონატში ევროპისა და სამხრეთ აფრიკის „გრან-პრის“ ნაცვლად გათამაშდება არგენტინისა და წყნარი ოკეანის რეგიონის „დიდი პრიზები“. სრული კალენდარი ასე გამოიყურება:

20 მარტი — არგენტინის „გრან-პრი“
27 მარტი — ბრაზილიის „გრან-პრი“
17 აპრილი — წყნარი ოკეანის „გრან-პრი“
1 მაისი — სან-მარინოს „გრან-პრი“
15 მაისი — მონაკოს „გრან-პრი“
29 მაისი — ესპანეთის „გრან-პრი“
12 ივნისი — კანადის „გრან-პრი“
3 ივლისი — საფრანგეთის „გრან-პრი“
10 ივლისი — დიდი ბრიტანეთის „გრან-პრი“
31 ივლისი — გერმანიის „გრან-პრი“
14 აგვისტო — უნგრეთის „გრან-პრი“
28 აგვისტო — ბელგიის „გრან-პრი“
11 სექტემბერი — იტალიის „გრან-პრი“
25 სექტემბერი — პორტუგალიის „გრან-პრი“
6 ნოემბერი — იაპონიის „გრან-პრი“
13 ნოემბერი — ავსტრალიის „გრან-პრი“

რალისტთა მსოფლიო პირველობაში შემდეგი ეტაპები გაიმართება:

22-29 იანვარი — მონტე-კარლო
28 თებერვალი — 5 მარტი — პორტუგალიის რალი
31 მარტი — 4 აპრილი — „საფარი“
4-8 მაისი — „კორსიკის ტური“
28 მაისი — 1 ივნისი — „აკროპოლისი“
29 ივნისი — 3 ივლისი — არგენტინის რალი
30 ივლისი — 2 აგვისტო — ახალი ზელანდიის რალი
25-28 აგვისტო — „ათასი ტბის“ რალი
9-13 ოქტომბერი — სან რემო
19-23 ნოემბერი — „რეკ-რალი“

# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 34 5-7 ნოემბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანიის ჩემპიონატი** | | | |
| 1 | მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | 0:0, 2:0 | 4 4 2 | 1 X |
| 2 | კიოლნი — ვერდერი | 0:0, 0:2 | 2 5 : | X 2 |
| 3 | ნიურნბერგი — ბაიერნი | 0:0, 0:1 | 2 3 : | X 2 |
| 4 | აინტრახტი — დორტმუნდი | 4:1, 0:3 | 6 3 1 | 1 |
| | **საფრანგეთის ჩემპიონატი** | | | |
| 5 | მარსელი — კაენი | 2:1, 3:2 | 8 1 1 | 1 |
| 6 | სენტ ეტიენი — ოსერი | 1:0, 0:1 | 5 3 2 | 1 X |
| 7 | ლე ავრი — კანი | — | 4 3 3 | 1 X 2 |
| | **იტალიის ჩემპიონატი** | | | |
| 8 | ინტერი — მილანი | 1:1, 1:1 | 2 6 2 | X |
| 9 | პარმა — იუვენტუსი | 2:1, 2:2 | 4 4 2 | 1 X |
| 10 | ნაპოლი — ლაციო | 3:1, 3:4 | 5 3 2 | 1 X |
| 11 | სამპდორია — კალიარი | 2:0, 2:0 | 7 2 1 | 1 |

№ 24-№ 32 ტირაჟებში სულ შემოსულია 261 960 კუპონი

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში.
ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 29-31 ოქტომბერი | დრეზდენი — ფრაიბურგი | | 1,9 | 1,9 | 2,8 |
| | ჰამბურგი — კიოლნი | | 1,2 | 2,2 | 7,5 |
| | დორტმუნდი — მიონხენგლადბახი | | 1,3 | 2,5 | 4,1 |
| | შტუტგარტი — შალკე | | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | ლევერკუზენი — ვერდერი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | ვატენშაიდი — აინტრახტი | | 3,0 | 2,2 | 1,6 |
| | ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი | | 1,3 | 2,2 | 4,8 |
| | დუისბურგი — ნიურნბერგი | | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | ლაიფციგი — კარლსრუე | | 1,9 | 1,8 | 3,2 |
| | მანჩესტერ იუნ. — ქუინზ პარკი | | 1,2 | 2,5 | 4,5 |
| | ბლექბერნი — ტოტენჰემი | | 2,2 | 2,0 | 2,4 |
| | არსენალი — ნორვიჩი | | 1,4 | 2,1 | 4,6 |
| | რაიო ვალეკანო — რეალ მადრიდი | | 2,6 | 2,2 | 1,8 |
| | ტენერიფე — რეალ სოსიედადი | | 1,6 | 2,0 | 3,7 |
| | ატლეტიკო — ბარსელონა | | 2,0 | 1,8 | 2,8 |
| | ფოჯა — კრემონეზე | | 1,5 | 2,1 | 3,7 |
| | ინტერი — პარმა | | 1,5 | 2,0 | 4,1 |
| | იუვენტუსი — ჯენოა | | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | ლაციო — უდინეზე | | 1,2 | 2,2 | 7,5 |
| | ლეჩე — ატალანტა | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | სამპდორია — მილანი | | 2,1 | 2,1 | 2,4 |
| | ავსტრალია — არგენტინა | | 3,0 | 1,8 | 2,0 |
| 2-4 ნოემბერი | აუსტრია — ბარსელონა | | 3,1 | 2,0 | 1,8 |
| | გალათასარაი — მანჩესტერ იუნ. | | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | ვერდერი — ლევსკი | 0:1 | 1,6 | 2,0 | 3,9 |
| | ფეიენოორდი — პორტუ | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | აბერდინი — ტორინო | | 2,5 | 1,8 | 2,2 |
| | ცსკა — ბენფიკა | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ბეშიქთაში — აიაქსი | | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | იუვენტუსი — კონგსვინგერი | 0:2 | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | ბოავიშტა — ლაციო | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ოლიმპიაკოსი — ტენერიფე | | 1,6 | 2,0 | 3,9 |
| | დნეპრი — აინტრახტი | | 3,4 | 2,0 | 1,7 |
| | ანტვერპენი — კაზინო | | 1,1 | 2,4 | 9,0 |
| | სერვეტი — ბორდო | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ოფი — ატლეტიკო | | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | კალიარი—ტრაბზონსფორი | 0:1 | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | აპოლონი — ინტერი | | 8,3 | 2,1 | 1,2 |
| | სპორტინგი — სელტიკი | | 1,2 | 2,2 | 7,5 |
| | ნორვიჩი — ბაიერნი | | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | კარლსრუე — ვალენსია | | 1,5 | 2,2 | 3,5 |
| | ასტონ ვილა — ლა კორუნია | | 1,6 | 2,0 | 3,5 |

**წინა ტურის შედეგები:**
27 ოქტომბერი. თურქეთი — პოლონეთი 2:1, ჩეხეთსლოვაკეთი — კვიპროსი 3:0, (X), ისრაელი — ავსტრია 1:1

# შედეგთა დაფა

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი. სტოკჰოლმი, შვედეთი. 15-18 სექტემბერი

48 კგ (24 მონაწილე). 1. ვილბერ სანჩესი (კუბა), 2. ზაფირ გულიევი (რუსეთი), 3. კვონ პო სიმი (კორეა)

52 კგ (25). 1. რაულ მარტინესი (კუბა), 2. არმენ ნაზარიანი (სომხეთი), 3. ალფრედ ტერ-მკრტიჩიანი (გერმანია)

57 კგ (34). 1. აგასი მანუკიანი (სომხეთი), 2. ალექსანდრ იგნატენკო (რუსეთი), 3. მიქაელ ლინდგრენი (ფინეთი)

62 კგ (33). 1. სერგეი მარტინოვი (რუსეთი), 2. ენდერ მემეტი (რუმინეთი), 3. ხუან მარენი (კუბა)

68 კგ (29). 1. ისლამ დუგუჩიევი (რუსეთი), 2. კამანდარ მაჯიდოვი (ბელარუსი), 3. გპანი იალუზი (საფრანგეთი). მაჯიდოვი წარმოშობით გარდაბნელია, თუმცა საქართველოს სახელით არასდროს უჭიდავია

74 კგ (31). 1. ნესტორ ალმანსა (კუბა), 2. იუზეფ ტრაჩი (პოლონეთი), 3. ივონ რიმერი (საფრანგეთი)

82 კგ (30). 1. ჰამზა იერლიქაია (თურქეთი), 2. დაულეტ ტურლიხანოვი (ყაზახეთი), 3. მურატ კარდანოვი (რუსეთი)

90 კგ (27). 1. გოგი კოლუაშვილი (რუსეთი), 2. მაიკ ბულმანი (გერმანია), 3. თენგიზ თედორაძე (საქართველო)

100 კგ (23). 1. მიქაელ ლიუნგბერგი (შვედეთი), 2. იბრაჰიმ შავხალოვი (რუსეთი), 3. ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი)

130 კგ (19). 1. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი), 2. სერგეი მურეიკო (მოლდოვა), 3. თომას იუჰანსონი (შვედეთი)

## რაგბი

ამერის ჩემპიონატი

I ჯგუფი. ვაკე. (ხუთ) 21.X: „თბილისი" 12 (7) (2ლ, გ) „ყოჩები" 12 (7) (2ლ, გ); (პარ) 22.X: „ქორები" 17 (3) (2ლ, 2გ, ს) „შევარდენი" 22 (10) (3ლ, 2გ, ს); (სამ) 26.X: „თბილისი" 20 (13) (2ლ, 2გ, 2ს) „ქორები" 22 (11) (2ლ, 3ს, ა)

II ჯგუფი. 20.IX: „ლელო" 98 (32) (16ლ, 9გ) „აკადემია" 3 (3) (ს); (პარ) 22.X. ვაკე: „ლელო" 53 (34) (8ლ, 5გ, ს) „ლავრი" 5 (5) (ლ); ამავე დღეს „უნივერსიტეტი" ვერ ეწვია ხაშურს, რისთვისაც წაგება მიესაჯა

იაპონიის ტურნე უელსში

V თამაში. პონტიპრიზი. (სამ) 12.X. უელსის პირველობის III და IV ჯგუფების ნაკრები 10 იაპონია 39 (5ლ)

VI თამაში. მხოლო ტესტი. კარდიფი, „არმზ პარკი". (შაბ) 16.X. უელსი 55 (35) (9ლ, 5გ) იაპონია 5 (0) (ლ)

ტურნეს შედეგი: 6 თამაში, 3 მოგება, 3 წაგება; ბურთები 111:197

სამხრეთი აფრიკის პროვინციათაშორისი პირველობის — „ქარრის თასის" გათამაშების ფინალი. დურბანი, „კინგზ პარკი". (შაბ) 16.X

ნატალი (შარშანდელი ჩემპიონი) 15 (9) (5ს) ტრანსვაალი 21 (3) (2ლ, გ, 3ს)

ნაას ბოთას სამადლობელო თამაში. „ლოფტუს ფერსფელდი", პრეტორია. (შაბ) 23.X. ჩრდილოეთი ტრანსვაალი 24 მსოფლიოს ნაკრები 26

„სამხრეთაფრიკელი ბარბაროსების" ბრიტანული ტურნე

I თამაში. გლოსტერი. 19.X. „გლოსტერი" 11 „ბარბაროსები" 15 (ნადე-2ლ)

ავსტრალიის „ვოლაბების" ცხრამატჩიანი ტურნე საფრანგეთში

I თამაში. დაქსი. (შაბ) 16.X. აქვიტანია 15 (5ს: პროსპერი) ავსტრალია 30 (3ლ: მერდოკი, ლითლი, ბოუენი; 3გ, 3ს: რობაკი)

II თამაში. აჟონი. (ოთხ) 20.X. სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთი 19 ავსტრალია 20 (ლ: პორანი; 5ს: ლაინაფი)

III თამაში. ნარბონი. (შაბ) 23.X. ლანგედოკ-რუსიიონი 18 ავსტრალია 35

IV თამაში. გრენობლი. (სამ) 26.X. სამხრეთ-აღმოსავლეთი საფრანგეთი 23 ავსტრალია 24

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" 13-მატჩიანი ტურნე ინგლისსა და შოტლანდიაში

I თამაში. თვიქნემი. (შაბ) 23.X. ლონდონი 12 (0) (2ლ: ჯენკინზი, ოთი; გ: ენდრიუ) ახალი ზელანდია 39 (15) (5ლ: ს. ბეშოფი (2), ვილსონი (2), ბარი; 4გ, 2ს: კუპერი)

II თამაში. „ველფორდ როუდი", ლესტერი. (სამ) 26.X. შიდა ინგლისი 6 (6) (2ს: სთილი) ახალი ზელანდია 12 (6) (4ს: ჰოვარდი (2), კუპერი (2))

1995 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი თამაში. ბუენოს-აირესი. (კვი) 10.X. არგენტინა 70 ჩილე 7

ფირა-ს ჩემპიონატი. (კვი) 17.X. „ა1" ჯგუფი. ბრივი» საფრანგეთი 51 (6ლ) რუმინეთი 0. „ბ2" ჯგუფი. უნგრეთი 3 (0) უკრაინა 41 (24)

## ლიგის რაგბი

ახალი ზელანდიის „კივის" 11-მატჩიანი ტურნე დიდ ბრიტანეთში

II თამაში. 6.X. ბრედფორდი, „ოდსალი". „ბრედფორდ ნოზერნი" (ლიგის ლიდერი) 17 „კივი" 10

III თამაში. (კვი) 10.X. ვიგანი, „სენთრალ პარკი". „ვიგანი" (ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი) 18 (12) (3ლ, 3 გოლი) „კივი" 25 (7) (5ლ, 2 გოლი, ა)

IV თამაში. (სამ) 12.X. „კასლფორდი" 16 (3ლ, 2 გოლი) „კივი" 4 (ლ)

V თამაში. პირველი ტესტი. (შაბ) 16.X. ლონდონი, „უემბლი". დიდი ბრიტანეთი 17 (10) (3ლ, 2 გოლი, ა) ახალი ზელანდია 0

VI თამაში. (ოთხ) 20.X. „სენთ-ჰელენსი" 8 „კივი" 14

VII თამაში. (კვი) 24.X. „ლიდზი" 6 (6) (ლ, გოლი) „კივი" 35 (10) (6ლ, 5 გოლი, ა)

## აფროსნობა

„ვითბრედის" გარსაქვეყნო რბოლა. I ეტაპი: საუთჰემპტონი (ინგლისი) — პუნტა-დელ-ესტე (ურუგვაი)

11.X (სტარტიდან მესამე კვირის დამდეგს): ლიდერებმა ეკვატორი გადაკვეთეს. „ენდევორ" (ახალი ზელანდია) სამი საათით უსწრებდა 60-ფუტიან „ტოკიოს" (ახალი ზელანდია); მესამე „მერიტ კაპ" (შვეიცარია) მიდიოდა

12.X: დაუბერა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარმა. წინ იყო „ენდევორი", „ტოკიო" მას 34 საზღვაო მილით ჩამორჩებოდა, „მერიტ კაპი" კი — კიდევ 35 მილით; ერთი საზღვაო მილი 1853 მეტრია

13.X: „ენდევორი", „ტოკიო" (36 მილი), „მერიტ კაპი (32)

14.X: „ენდევორი", „ტოკიო" (50), „მერიტ კაპი" (22)

15.X: „ენდევორი", „ტოკიო" (62), „მერიტ კაპი" (12)

19.X (სამ): „ენდევორი" (სკიპერი გრანტ დალტონი) მიცურდა პუნტა-დელ-ესტეში. მან 5 900 მილის გავლას 24-ნახევარი დღე-ღამე მოანდომა, რაც რეკორდზე დღე-ნახევრით უკეთესია

## კეტბურთი

ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიული ლიგების ფინალური სერიები (ოთხ მოგებამდე)

ამერიკის ლიგა. „ტორონტო ბლუ ჯეიზ" (აღმოსავლეთი) — „ჩიკაგო ვაით სოქს" (დასავლეთი) 4-2 (5:3, 10.X, ტორონტოში; 6:3, 12.X, ჩიკაგოში). ტორონტომ ზედიზედ მეორედ მოიგო ლიგის ტიტული

ეროვნული ლიგა. „ფილადელფია ფილის" (აღმ) — „ატლანტა ბრეივზ" (დას) 4-2 (2:1, 10.X და 4:3, მეათედ შესვლისას, 11.X, ორივეჯერ ატლანტაში; 6:3, 13.X, ფილადელფიაში). ფილადელფია ათი წლის შემდეგ კვლავ გახდა ჩემპიონი

„მსოფლიო სერია" — ლიგების ჩემპიონთა შორის (ოთხ მოგებამდე)

I მატჩი. (შაბ) 16.X. ტორონტოს „სკაიდოუმი". „ბლუ ჯეიზ" „ფილის" 8:5 (ანგარიშის ცვლილება 0:2, 2:2, 2:3, 3:3, 3:4, 8:4)

II მატჩი. (კვი) 17.X. „სკაიდოუმი". „ბლუ ჯეიზ" — „ფილის" 4:6 (0:5, 3:5, 3:6)

III მატჩი. (სამ) 19.X. ფილადელფიის „ვეტერანს სტეიდიუმი". „ფილის" — „ბლუ ჯეიზ" 3:10 ((0:5, 1:8, 2:10). სერია 1-2

IV მატჩი. (ოთხ) 20.X. იქვე. „ფილის" — „ბლუ ჯეიზ" 14:15 (0:3, 6:3, 6:7, 12:7, 12:9, 14:9). სერია 1-3. ამ მატჩში გაუმჯობესდა ჯამური ანგარიშის რეკორდი, რომელიც 1936 წლიდან 22 გარბენს უდრიდა

V მატჩი. (ხუთ) 21.X. იქვე. „ფილის" — „ბლუ ჯეიზ" 2:0 (პირველ და მერვე შესვლებში). სერია 2-3

VI მატჩი. (შაბ) 23.X. „სკაიდოუმი". „ბლუ ჯეიზ" — „ფილის" 8:6 (3:0, 5:1, 5:6). ბოლო შესვლისას ტორონტოელმა ჯო კარტერმა სამმაგი ჰოუმრანი დაარტყა. სერია 4-2

კანადის ტორონტომ ზედიზედ მეორედ მოიგო „მსოფლიო სერია". წინა ჯერზე ეს მოახერხა „ნიუ-იორკ იანკიზმა" 1977-78 წლებში. სერიის უძვირფასეს მოთამაშედ ტორონტოელი პოლ მილიტორი სცნეს

## გოლფი

„ალფრედ დანჰილის თასი" — სამკაციან ეროვნულ ნაკრებთა სამატჩო ჩემპიონატი. შოტლანდია. სენტ-ენდრიუსის გოლფ-კლუბი. „ძველი გზა" (ნორმა — 72 დარტყმა)

14-16.X. წრიული შეჯიბრი ქვეჯგუფებში. „ა": ზიმბაბვე (განთესვის ნომერი 1), ესპანეთი (8), ირლანდია, არგენტინა. „ბ": სამხრეთი აფრიკა (4), ინგლისი (5, შარშანდელი ჩემპიონი), ტაივანი, მექსიკა. „გ": შოტლანდია (3), აშშ (6), უელსი, პარაგვაი. „დ": ავსტრალია (2), შვედეთი (7), კანადა, იაპონია.

კვირა. 17.X. ნახევარფინალები: ირლანდია — ინგლისი 0-3, აშშ — შვედეთი 2

1. ფინალი: აშშ — ინგლისი 2-1 (პეინ სტიუარტი 74 — მარკ ჯეიმსი 70; ფრედ კაპლიზი 68 — ნიკ ფალდო 69; ტონი დეილი 70 — პიტერ ბეიკერი 73)

აშშ-ის სამეულმა გამარჯვებისთვის 300 ათასი დოლარი მიიღო

მსოფლიოს სამატჩო ჩემპიონატი. ლონდონი. ვენთვორსის გოლფ-კლუბი. 12 მონაწილე

(ხუთ) 21.X. მერვედფინალში დევიდ ფროსტმა (სამხრეთი აფრიკა) დაამარცხა სევერიანო ბალესტეროსი (ესპანეთი), სთივ ელკინგტონმა (ავსტრალია) — ჯონ დეილი (აშშ), კორი პეივინმა (აშშ) — პიტერ ბეიკერი (ინგლისი), კოლინ მონტგომერიმ (შოტლანდია) — იოშიმორი მიზიმაკა (იაპონია)

(პარ) 22.X. მეოთხედფინალში ფროსტმა მოუგო იენ ვუზნემს (უელსი), ნიკ ფალდომ (ინგლისი, შარშანდელმა ჩემპიონმა) — ელკინგტონს, პეივინმა — ნიკ პრაისს (ზიმბაბვე), მონტგომერიმ — ბერნჰარდ ლანგერს (გერმანია)

(შაბ) 23.X. ნახევარფინალში ფალდომ მოუგო ფროსტს, პეივინმა — მონტგომერის

(კვ) 24.X. ფინალში პეივინმა სძლია ფალდოს

## ბადმინტონი

პოლანდიის ღია პირველობა. დენ-ბოსხი. ერთეულთა ფინალები (10.X)

ვაჟები: პალ-ერიკ ჰოია-ლარსენი (დანია) — ალან ბუდი კუზუმა (ინდონეზია, ოლიმპიური ჩემპიონი) 11:15, 15:5, 15:11. ქალები: სუზი სუზანტი (ინდონეზია, ოლიმპიური ჩემპიონი) — კამილა მარტინი (დანია) 11:7, 11:1

დანიის ღია პირველობა. ორჰუსი. ერთეულთა ფინალები (17.X)

ვაჟები: ჰოია-ლარსენი (დანია) — იენს ოლსონი (შვედეთი) 15:11, 15:2. ქალები: იუო ჟაოინი (ჩინეთი) — ლუ იუხონი (ჩინეთი) 11:8, 11:1

## კალათბურთი

ამხანაგური შეხვედრა. ბრინდიზი (იტალია). 14.X. ვაჟები. იტალია — ლატვია 100:70 (44:34)

MCDONALDS OPEN — მსოფლიოს არაოფიციალური საკლუბო ჩემპიონატი. მიუნხენი, „ოლიმპიაჰალე". 6 მონაწილე

(ხუთ) 21.X. მეოთხედფინალები: „ბოლონია" (იტალია) — „ოლ სტარზ ფრანკო" (ბრაზილია, სამხრეთი ამერიკის ჩემპიონი) 129:88; „რეალ მადრიდი" (ესპანეთი) — „ბაიერ ლევერკუზენი" (გერმანია) 85:75 (42:45)

(პარ) 22.X. მეხუთე ადგილისათვის: „ფრანკო" — „ბაიერი" 104:97. ნახევარფინალები: „ბოლონია" — „ლიმოჟი" (საფრანგეთი, ევროპის ჩემპიონი) 101:85; „ფინიქს სანზ" (აშშ, ნბა-ს მეორე გუნდი) — „რეალი" 145:115 (70:66)

(შაბ), 23.X. მესამე ადგილისთვის: „რეალი" — „ლიმოჟი" 123:119 (62:48, 106:106 დამ. დრ.). პირველი ადგილისათვის: „ფინიქსი" — „ბოლონია" 112:90 (64:49). „ფინიქსში" ითამაშა მომჯობინებულმა ჩარლზ ბარკლიმ, „რეალში" — ლიტველებმა საბონისმა, ჯო არლაუსკასმა და კურტინაიტისმა

## ჩოგბურთი

11-17.X

„სეიკოს" ჭერქვეშა შეჯიბრება. ტოკიო. საპრიზო ფონდი — მილიონი დოლარი მერვედფინალი: ივან ლენდლი (აშშ, 9) — ალექსანდრე ვოლკოვი (რუსეთი, 8) 6:7, 6:2, 6:4; პაულ ჰაარხუსი (ჰოლანდია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 5) 6:3, 6:2; გრეგ რუსეცკი (კანადა) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 6) 6:4, 6:7, 7:6; ტოდ მარტინი (აშშ, 10) — პეტერ კორდა (ჩეხეთი, 7) 6:3, 6:3. მეოთხედფინალი: ლენდლი — ბორის ბეკერი (გერმანია, 2) 6:3, 1:6, 7:6; ჰაარხუსი — ანდრეი მედვედევი (უკრაინა, 4) 7:5, 6:1; რუსეცკი — მაიკლ ჩანგი (აშშ, 3) 4:6, 6:3, 7:6; მარტინი — სტეფან ედბერგი (შვედეთი, 1) 6:4, 6:4. ნახევარფინალი: ლენდლი — ჰაარხუსი 3:6, 6:4, 7:6; მარტინი — რუსეცკი 7:6, 6:3. ფინალი: ლენდლი — მარტინი 6:4, 6:4. ლენდლმა წელს მეორე ტურნირი მოიგო

18-24.X

პეკინში, „სეილემის" ღია პირველობის ფინალში მაიკლ ჩანგმა (აშშ) დაამარცხა გრეგ რუსეცკი (კანადა) 7:6, 6:7, 6:4

ჰონკონგში, ფინალში რიხარდ კრაიჩეკმა (ჰოლანდია) მოუგო სტეფან ედბერგს (შვედეთი) 6:1, 6:4

1994 წლის დევისის თასის გათამაშების წილისყრა

მსოფლიოს ჯგუფი. პირველი წრე. 25-27 მარტი

ინდოეთი — აშშ, ჰოლანდია — ბელგია, საფრანგეთი — უნგრეთი, დანია — შვედეთი, ისრაელი — ჩეხეთი, ესპანეთი — იტალია, ავსტრია — გერმანია, რუსეთი — ავსტრალია

საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს მხატვრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის. აღსაზრდელებთან იმუშავებენ გამოცდილი მწვრთნელ-მასწავლებლები, ქორეოგრაფები, აკრობატები.

მსურველებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №95 სპორტკომპლექსი „განთიადი" ტელ: 95-36-01 დირექცია. ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე.

ციგურებით რბოლაში მსოფლიოს თასის გათამაშებაზე (ჰამარი, ნორვეგია, 4-6 დეკემბერი 1993) და ევროპის ჩემპიონატზე (ჰამარი, ნორვეგია, 7-9 იანვარი 1994) აკრედიტაციის მსურველებმა მიმართეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას.

# ...ვინ მოგვცა გუნდი დასაკარგავი

ხუთკვირიანი საომარი პაუზის შემდეგ განახლდა ამერის ჩემპიონატი. რაკილა საქართველო 31 ოქტომბერს სტუმრად ლუქსემბურგს უნდა ეთამაშოს, ნაკრებში მოთამაშეთა მიმავლინებელი გუნდები დარჩენილ თამაშებს ნოემბერშილა გამართავენ. ამასობაში ლატვიასთან ვაკეში მოსაწყობი მატჩიც კარს მოგვადგება.

მიუხედავად იმისა, რომ იმერში სარაგბოდ ვერა აქვთ საქმე, სეზონის ბოლოს ამერ-იმერის ორ-ორი საუკეთესო კლუბის მონაწილეობით მაინც უნდა გაიმართოს საქართველოს ჩემპიონატი. ვინაიდან „აია" - II და „აიეტი" სათვალავში ჩასაგდები არც არიან, ისე გამოდის, რომ იმერი საფინალოდ „აიას" მეტს ვერავის გამოიყვანს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოს რაგბის კავშირი ცდება „ძე ცთომილის" — „ერქვანის" შემორიგებას, ვინძლო ლიგის რაგბში გადასული გუნდი ისევ ქართული რაგბის წიაღში დააბრუნოს. კავშირის ქმედება ამ შემთხვევაში ყოველმხრივ გამართლებულია: ერთი, რომ ვინ მოგვცა დასაკარგი გუნდი, და მეორეც, დღეს ესლა გვაკლდა ქართველებს — იმაზე ვიდავოთ, რაგბის გუნდში 15 კაცი გვყავდეს თუ 13!

ვაკე. 26 ოქტომბერი

**თბილისი 20 ქორები 22**

„თბილისი" — 2ლ: დგებუაძე (11:11), ცქიტიშვილი (18:16); 2გ: ქ. სვანიძე (13:11, 20:16); 2ს: კ. სვანიძე (3:0, 6:3)

„ქორები" — 2ლ: ჯოხია (6:11), ამირხანაშვილი (13:16); 3ს: ძამიაშვილი (3:3, 6:6, 20:19); ა: ძამიაშვილი (20:22)

მსაჯი გოჩა აბაშიძე

## დროშებიც, არეკნიც...

ბოლო მსგეფსის საუკეთესო მატჩში ყველაფერი ვიხილეთ: ლალი, თავზეხელალებული ბურთაობაცა და ლაზათიანი მუშტი-კრივიც, ბრძნული ქმედებანიცა და მიამიტური შეცდომებიც.

წინ ხან ერთი გუნდი იყო და ხან მეორე. მერე და მერე, ანგარიშის ზრდის კვალად, ლამის იყო ფარული ნალმი აფეთქდა. საქმე ისაა, რომ თამაშის ახალი წესების შემოღების შედეგად მოლაზღანდარე მაყურებლებისა და თავგადაკლული მოთამაშეებისათვის ანგარიშის თვლა გართულდა, რაკილა ლელოს გამშვები გუნდი გარდასახვის შედეგისდა მიუხედავად თამაშს მოედნის შუაგულიდან არეკნით აახლებს.

ჰოდა, თამაშის ბოლოს ვაკეში იმ დღეს შეკრებილი საზოგადოების ნაწილს ეგონა, რომ „ქორები" ერთი ქულით იგებდნენ მაშინ, როცა სინამდვილეში ერთი ქულით აგებდნენ — რაშიც, სხვათა შორის, მსაჯიცა და ოქმიც დაგვეთანხმებიან. ამ დროს ერთწუთიანი გუნდური ცემა-ტყეპა ატყდა, რომლის დროსაც თანამსაჯისა და კიდის დროშებიც, მეტადრე კი მათი ტარები აამოქმედეს. საბედნიეროდ, საქმე ტყვიის სროლამდე არ მისულა — მსაჯმა თითო მოჩხუბარი გააძევა და თამაშიც მშვიდობიანად დასრულდა გელა ძამიაშვილის დიდებული არეკნით, რის შედეგადაც სადაო ალარაფერი დარჩა: ყველამ სცნო „ქორების" პირველი გამარჯვება.

სხვა ანგარიშები იხილეთ „დაფაზე"

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 9 | 8 | 0 | 1 | 0 | 215-146 | 16 |
| აზოტი (რუს) | 9 | 7 | 0 | 2 | 0 | 172-119 | 14 |
| ვესტა | 9 | 7 | 0 | 2 | 1 | 258-105 | 13 |
| ამირანი | 9 | 5 | 0 | 4 | 0 | 115- 87 | 10 |
| თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 0 | 181-243 | 5 |
| ქორები | 9 | 1 | 0 | 8 | 0 | 100-263 | 2 |
| ყოჩები | 9 | 1 | 1 | 7 | 2 | 129-217 | 1 |
| **II ჯგუფი** | | | | | | | |
| ლავრი | 11 | 10 | 0 | 1 | 0 | 245-101 | 20 |
| ლელო | 12 | 10 | 0 | 2 | 0 | 626-161 | 20 |
| რაში | 10 | 7 | 0 | 3 | 0 | 267-123 | 14 |
| ხაშური | 10 | 5 | 0 | 5 | 0 | 105-207 | 10 |
| უნივერსიტ. | 11 | 3 | 0 | 8 | 1 | 125-323 | 5 |
| აკადემია | 10 | 3 | 0 | 7 | 3 | 100-210 | 3 |
| მარაო | 12 | 0 | 0 | 12 | 5 | 27-410 | -5 |

## ლუქსემბურგი — საქართველო

ვესტელი თემურ ბენდიაშვილის წინამძღოლობით საქართველოს ნაკრები ახალ სარბიელზე გადის — ზვალ გაემგზავრება ლუქსემბურგს, სადაც იქაურ ნაკრებს ფირა-ს პირველობის C1 ჯგუფის მატჩი უნდა გაუმართოს.

ფირა-ს ჩემპიონატის რაობა საგანგებო გარჩევას იმსახურებს. ამიტომ ჩვენების დებიუტის კვირაძალს იმის შენიშვნა ვიკმაროთ, რომ C1 ჯგუფი იერარქიული კიბის მეოთხე საფეხურზე ხვდება და 1993-94 წლების სეზონში საქართველოსა და ლუქსემბურგის გარდა შვეიცარიასა და [illegible] მოიცავს.

ჩვენების პირველი მეტოქე იმდენად სუსტია, რომ საგანგებოდაა მოსაძიებელი, ოდესმე ვინმესთან თუ გაუმარჯვნია. უეჭველია, მას არათუ საქართველოს ნაკრები, არამედ ამერის პირველობის პირველი ჯგუფის უკლებლივ ყველა გუნდი და მეორე ჯგუფის პირველი სამეულიც მოერევა. ამიტომ ჩვენების მოგებას უნდა ველოდოთ ასე 30, 50, 70, 90,... ქულით!

მწვრთნელმა ბორჯომში სავარჯიშოდა და ლუქსემბურგში სათამაშოდ წასაყვანად შემდეგი წინასწარი შემადგენლობა გამოაქვეყნა:

| | ასაკი | კლუბი | ამპლუა | კეპი |
|---|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | | |
| კახა მაჩიტიძე | 24 | ერქვანი | მცველი | 2 |
| მამუკა მინდორაშვილი | 22 | აზოტი | მცველი | 0 |
| ემზარ ძაგნიძე | 23 | აია | გარემარბი | 4 |
| ლაშა ვაშაძე | 26 | ვესტა | გარემარბი | 3 |
| სპირიდონ ლიპარტელიანი | 27 | ამირანი | გარემარბი | 1 |
| არჩილ ქავთარაშვილი | 21 | ვესტა | გარემარბი | 0 |
| დემირ ძნელაძე | 25 | შევარდენი | შუამარბი | 1 |
| პაატა ტყაბლაძე | 24 | აია | შუამარბი, გარე ნახ. | 0 |
| მიხეილ ჩაჩუა | 20 | ამირანი | შუამარბი | 0 |
| კახა ალანია | 20 | ამირანი | შუამარბი | 0 |
| დავით ჩავლეიშვილი | 30 | ვესტა, პოლონეთი | გარე ნახევარმცველი | 5 |
| შოთა მოდებაძე | 19 | შევარდენი | გარე ნახევარმცველი | 0 |
| გუჯა იოვაძე | 20 | ვესტა | უნივერსალი | 0 |
| დავით იობიძე | 23 | აია | შერკინ. ნახევარმცველი | 2 |
| ზაზა ხუციშვილი | 26 | აზოტი | შერკინ. ნახევარმცველი | 0 |
| **მორკინალები** | | | | |
| კახა გიუნაშვილი | 25 | ვესტა, საფრანგეთი | ბურჯი | 6 |
| გუგა ბაბუნაშვილი | 29 | აია, პოლონეთი | ბურჯი | 4 |
| გიორგი ბერიაშვილი | 32 | ამირანი | ბურჯი, კვაჭი | 2 |
| ირაკლი ჩიქავა | 23 | შევარდენი | ბურჯი, კვაჭი | 1 |
| მევლუდ მთიულიშვილი | 23 | აზოტი | ბურჯი, კვაჭი | 1 |
| აკაკი მაჭუტაძე | 19 | ამირანი | ბურჯი | 0 |
| ტიხონ ხახალეიშვილი | 27 | აია | ბურჯი | 0 |
| პაატა ნიკურაძე | 25 | ამირანი | ბურჯი, კვაჭი | 0 |
| თამაზ ხუადე | 28 | ვესტა | მიმწოლი | 7 |
| ბადრი შვანგირაძე | 31 | აია, პოლონეთი | მიმწოლი | [illegible] |
| ალეკო ლიბრაძე | 20 | ვესტა | მიმწოლი | 6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] დიდებულიძე | 23 | ამირანი | მიმწოლი | 1 |
| თამაზ ოდიშარია | 29 | აია | მიმწოლი | 1 |
| ვანო ნადირაძე | 21 | შევარდენი | მიმწოლი | 0 |
| თამაზ ფხაკაძე | 27 | აია | ფრთა | 5 |
| დიმიტრი ობოლაძე | 24 | ვესტა | ფრთა | 2 |
| ზაზა ლეჟავა | 26 | ყოჩები | ფრთა | 1 |
| ნუგზარ მგელაძე | 24 | შევარდენი | ფრთა | 0 |
| მიხეილ წეველ[illegible]ძე | 20 | ვესტა | ფრთა | 0 |
| გია გიუ[illegible]შვილი | 28 | ვესტა | შემკვრელი | 8 |
| რეზო [illegible] | 26 | ვესტა, ესპანეთი | შემკვრელი | 3 |
| [illegible] ჯაფარაშვილი | 23 | შევარდენი | შემკვრელი | 0 |
| [illegible]მუკა ტყეშელაშვილი | | | | |

### ექს-თბილისელი ავსტრალიელი

ბოლო ჟამს თბილისელმა ჭეელობამ საემიგრაციოდ თვალი ავსტრალიას მიაპყრო. ერთი კვირის წინ „ქორების" ძლევის შემდეგ „შევარდენის" მარჯვენა ბურჯი, 24 წლის მირიან თავზარაშვილიც იმ შორეთს გაემგზავრა სამუშაოდ. როგორც მირიანის მწვრთნელყოფილმა რამაზ სანებლიძემ გვითხრა, თავზარაშვილი კლუბსა და ქართულ რაგბს არ დაივიწყებს და ეკვატორს ქვემოდან ინფორმაციის რეგულარული მოწოდებით შეგვეწევა. მართლაც, ავსტრალიაში ხომ ოვალურ ბურთს სამ განსხვავებულ ყაიდაზე თამაშობენ და თითოეულ მათგანში [illegible] ერთი სიტყვით, მორაგბისათვის იქ ნამდვილი სამოთხეა.




**„ქარრის თასის" მფლობელი ბობოლა პროვინციები**

| პროვინცია | ცენტრი | დაარსდა |
|---|---|---|
| ჩრდ. ტრანსვაალი | პრეტორია | 1938 |
| | 1973, 74, 75; 77, 78, 79, 80, 81; 87, 88, 89; 91; | |
| დას. კონცხი | კეიპტაუნი | 1883 |
| | 1982, 83, 84, 85, 86; | |
| ნატალი | დურბანი | 1890 |
| | 1990; 92; | |
| ტრანსვაალი | იოჰანესბურგი | 1889 |
| | 1972; 93 | |
| ნარინჯი | ბლუმფონტეინი | 1895 |
| | 1976; | |
| ალმ. კონცხი | პორტ-ელიზაბეთი | 1888 |
| | ; | |

# ტრანსვაალის «ჰეთ-თრიქი»

ნავსი გატყდა: ძლევამოსილმა ტრანსვაალმა, რომელიც დღესდღეობით სამხრეთი აფრიკის უდიდესი ქალაქის იოჰანესბურგისა და მისი შემოგარენის სარაგბო თემს აერთიანებს, 21-წლიანი ლოდინის შემდეგ როგორც იქნა დაიბრუნა უმთავრესი საშინაო ჯილდო — „ქარრის თასი" მას შემდეგ, რაც დურბანის „კინგზ პარკზე" მასპინძელს, თასის შარშანდელ მფლობელს ნატალს 21:15 მოუგო.

„ქარრის თასი" ოქროსგანაა დამზადებული. იგი ცნობილ ქველმოქმედს, გემების მეპატრონე სერ დონალდ ქარრის 1891 წელს საუთჰემპტონში გადაუცია ვინმე მაკლაგლანისთვის, რომლის წინამძღოლობითაც ბრიტანელი მორაგბეები სატურნეოდ პირველად მიემგზავრებოდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან კოლონიაში — სამხრეთ აფრიკაში, სადაც იმ დროს ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი არსებობდა, რაგბი კი ახლად დანერგილი იყო. ქარრიმ დელეგაციას დაავალა, რომ ოქროს თასი იმ სამხრეთაფრიკული გუნდისთვის გადაეცათ, ვინც სტუმრებს ყველაზე მედგრად შეერკინებოდა. მართლაც, ბრიტანელებმა ამ ტურნეზე ყველა — 19-ვე (!) მატჩი მოიგეს, გაიტანეს 224 ლელო, თავად კი ერთადერთი გაუშვეს: ჰოდა, ამ ლელოს გამტან პროვინციას — დასავლეთ გრიკვალენდს ერგო თასი, რომელიც ამ პროვინციამ ერთი წლის შემდეგ დიდსულოვნად გადასცა ქვეყნის რაგბის საბჭოს, რათა მისით ამიერიდან უძლიერესი პროვინცია დაეჯილდოებინათ.



ტრანსვაალისა და „ქურციკების" კვაჰი ული შმიტდი პედიატრია. იმის გამო, რომ საფრანგეთის შარშანდელ ტურნეზე სამხრეთი აფრიკის ჰიმნი არ შესრულდებოდა, ულიმ ნაკრებში თამაში იუკადრისა. კვაჰობის კვალობაზე შმიტდი ზესწრაფია და ყველა მნიშვნელოვან თამაშშიც გააქვს ლელო. მამამისიც „ქურციკი" ყოფილა, რის გამოც ულის უხუმრია, ეტყობა, გენებით გადმომეცა მოედანზე მუშტი-კრივისადმი მიდრეკილებაო.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. სამხრეთაფრიკული რაგბი მსოფლიო ძალად იქცა, „ქარრის თასი" კი — მისი ძლევამოსილების სიმბოლოდ. მის წიაღში ბოლო ხანებში დიდ[illegible] და განხეთქილებაც მოხდა — ექვსმა ბობოლა პროვინციამ, უდიდესი ქალაქების შემოგარენს რომ მოიცავს, უგანაშ[illegible] და „ქარრის თასის" გათამაშება შინაურ საქმედ გაიხადა. (იხ. ცხრილი და თანდართული რუკა)

ბოლო ორი ათწლეულია, „ქარრის თასი" მეტწილად ბურული ნაციონალიზმის ბუდეს — ჩრდილოეთ ტრანსვაალს ეპყრა. ეს არც იყო გასაკვირი, რაკილა „ლურჯ ხარებს" გენიალური 10 ნომერი ნაას ბოთა ჰყავდათ. ბოთას წელს „ქარრის თასზე" [illegible] უთამაშია, თუმცაკი ბევრად ვერც შარშან შეეწია თანაგუნდელებს — იტალიის ჩემპიონატში თამაში ირჩია.

ბოლო ორი წელია, სამხრეთაფრიკულ სარბიელზე ტრანსვაალი და ნატალი გაბატონდნენ. შარშანდელი ფინალი ნატალმა მეტოქეს 14:13 მოუგო, მაგრამ წელს ტრანსვაალმა „ლომის თასზე" რევანში აიღო 20:11, ოღონდაც ამას შინ, 104-ათასიან „ელის პარკზე" მიაღწია.

სულ სხვა საქმე იყო „კინგზ პარკზე" ნატალის ძლევა. მართლაც, მეორე ნახევრის დასაწყისისთვის ნატალისა და ქვეყნის ნაკრების — „ქურციკების" 10 ნომერს ჟოელ სტრანსკის ოთხი საჯარიმოს შეგდება მოესწრო 12:3, „ქურციკების" ტრანსვაალელი კაპიტანი, ფრთის მორკინალი ფრანსუა პინარი კი დაშავებულიყო. მაგრამ ამ დროს აიწყვიტა სტუმართა ახალმა მცველმა გევინ ჯონსონმა. მას თავიდან სამი საჯარიმო გასცუდებოდა, მაგრამ 50-ე წუთიდან მოყოლებული ჯერ გოლი გაიტანა, მერე ლელო, რომელიც თავად გარდასახა, მერე კიდევ გოლი. ერთი სიტყვით, 16-ვე ქულა ჯონსონის ანგარიშზე იყო და ტრანსვაალი უკვე იგებდა 16:12.

ნატალი გადაირია. 72-ე წუთზე სტრანსკიმ მეხუთე საჯარიმოც გაიტანა, მერე კი გუნდი მეტოქის ლელოს მიაწყდა, მაგრამ ერთ მომენტში სტუმრებმა კობუს ფანდერვესტჰოიზენი მისსავე 22-მეტრიან მოედანზე გამოიჭირეს და ვეტერანმა კვაჭმა ული შმიტდმაც ბურთი ლელოსკენ გაიგორა, ხოლო მერე დასწვდა და დაამიწა კიდეც. ტრანსვაალმა მოიგო და „ქარრის თასიც" შემატა წლევანდელ მონაგარს, რომელშიც „ლომის თასის" გარდა სამხრეთ [illegible] ხევარსფეროს პროვინციათა პირველ[illegible] — „ზე-ათის სერიის" გამარჯვებულის თასიც ითვლება.

# „ოლ ბლექსიც" „კივის" კვალდაკვალ

აშშ-სა და კანადაში შევლის შემდეგ ავსტრალიელი „ვოლაბები" საფრანგეთს ჩავიდნენ, სადაც მათ 9-მატჩიანი ტურნეს პროგრამით ორი ტესტიც ელით: 30 ოქტომბერს ბორდოში, 6 ნოემბერს კი — პარიზში. სტუმრებმა სამხრეთ პროვინციებში ოთხი მოსამზადებელი თამაში უკვე გამართეს და ყველაც მოიგეს, თუმცაკი შუა კვირაში ორჯერვე თითო ქულით გაიმარჯვეს. ამასთან, „ვოლაბებს" უხეშმა ფრანგებმა ორი მორკინალიც დაუმტვრიეს: მესამე შეხვედრაში 8 ნომერ გევინისთვის ლოყაზე 14 ნაკერი დაადებინეს, მეოთხე მატჩში კი ფრთის მორკინალ დემფსის მოსტეხეს ყბა.

როგორც ყოველთვის, საპატიო სტუმრებს ტურნეს ბოლოსთვის მასპინძელ „ბარბაროსებთან" შეხვედრაც დაუნიშნეს. ფრანგები „ვოლაბებს" კლერმონ-ფერანში წაეთამაშებიან. „ფრანგმა ბარბაროსებმა" სეირის მოსაწყობად ოთხი ვარსკვლავი აიმატეს, მათ შორის ორი ექს-კაპიტანი: დიდი 9 ნომერი ნიკ ფარჯოუნზი (ავსტრალია) და ულვაშა მეორეხაზელი გერი ვითონი (ახალი ზელანდია), აგრეთვე სხარტი მულატი შუამარბი ჯერემი გასკოტი („ბასი", ინგლისი და „ბრიტანელი ლომები") და ინგლისელი ფრთის მორკინალი რიჩარდ პულჯოუნზი, რომელიც სერჟ ბლანკოს კლუბ „ბიარიცში" თამაშობს. უცნობი მოთამაშის წარმოჩენა ყველა ქვეყნის „ბარბაროსთა" წესია!

თუ ფრანგი „ბარბაროს[illegible]" „ვოლაბებს" ელიან[illegible], სამხრეთაფრიკელები ბრიტანეთს ეწვივნენ. მათ შემადგენლობაში ეროვნულნაკრებგამოვლილი ათი მოთამაშეა: შვიდი მათგანი სამხრეთაფრიკელი „ქურციკია", ორი — ნამიბიელი და ერთიც — ზიმბაბველი.

თავად სამხრეთ აფრიკაში შაბათს დიდი ნაას ბოთა გააცილეს დიდი რაგბიდან. ბოთას პროვინციამ — ჩრდილოეთმა ტრანსვაალმა 24:26 კი წააგო მსოფლიო ნაკრებთან, რომელშიც შოტლანდიელი მცველის გ.ჰესტინგსის წინამძღოლობით რვა ქვეყნის ვარსკვლავები თამაშობდნენ, მაგრამ იუბილარმა სამი საჯარიმო და თითო არეკნი და გარდასახვა მაინც გაიტანა, თუმცაკი ბოლო წუთზე საჯარიმო რომ არ გასცუდებოდა, თავისს უკანასკნელ თამაშშიც გაამარჯვებინებდა გუნდს.

საფრანგეთი განვითარებადი სარაგბო ქვეყნების გაერთიანების — ფირა-ს პირველობას პერსპექტიულთა პოლიგონად იყენებს ხოლმე. გამონაკლისია რუმინეთთან თამაშები. აი, ახლაც, ქალაქ ბრივში საფრანგეთმა უპირველესი გუნდი შეახვედრა რუმინეთს და 51:0 მოუგო. გარემარბმა ბერნასალმა სამი ლელო გაიტანა, სელამ, მერლმა და ზანგმა ლოპიმ — თითო, შუამარბმა ლაკრუამ კი გოლებით 21 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ რუმინეთი ცვალებადი წარმატებით ეთამაშება ფრანგებს: კარპატელმა „მუხის ფოთლებმა" ასეთივე მარცხი, ოღონდ 3:49, წინა ჯერზე ექვსი წლის წინ, აჟონში იწვნიეს.

წინა კვირას ბრიტანეთს ჩაფრინდა ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი", რომელიც იქ თვენახევარს დაჰყოფს. სტუმრებს მიზეზთა და მიზეზთა გამო არა ჰყავთ ოთხი ვარსკვლავი: გარე ნახევარმცველი ფოქსი, გარემარბი კერვინი, ფრთა მ.ჯოუნზი და შუამარბი ვოლტერ ლითლი. ეს უკანასკნელი [illegible] გამო გამო[illegible] გუნდს.

„ოლ ბლექსი" მეტ მოთამაშესაც მოისაკლისებდა, რაგბის მამების გულმ[illegible]წყალება რომ არა. 10 ოქტომბერს ოკლენდთან წაგებულ საშინაო ფინალში ოტაგოს მესამეხაზელებმა — პენემ და ჯოზეფმა იჩხუბეს, მაგრამ მამებმა ჩხუბისთავებს გაფრთხილება აკმარეს, აქაო და მეტად რომ დავსაჯოთ და სატურნეო გუნდიდან გავრიცხოთ, ჩვენს ქმედებას უცხოეთის მას-მედია ცხოვლად გამოეხმაურება (!), ეს კი „ოლ ბლექსს" განწყობილებას გაუფუჭებსო (?)

სტუმრებმა ტურნე რიხიანად დაიწყეს. შაბათს, პირამდე სავსე თვიქნემში ლონდონის ნაკრებს 39:12 მოუგეს. მასპინძელთა უკანა ხაზში კარლინგი, ოთი და ენდრიუ თამაშობდნენ, მაგრამ მათ ვერაფერი გააწყვეს უშუალო მეტოქეებთან, რომლებსაც შერკინება ისე ამარაგებდა ბურთით, რომ თავისუფლად ნავარდი შეძლებოდათ. რაც შეეხება შიდა ინგლისთან სამშაბათის მატჩს, იგი ულელოოდ დასრულდა. „ოლ ბლექსი" პირველად 78-ე წუთზეღა დაწინაურდა, სამი წუთით ადრე კი მასპინძლებს საჯარიმო გაუცუდდათ, თორემ წინ თავად გაიჭრებოდნენ. თამაშისათვის წამატებულ დროში შემცვლელად შესულმა კუპერმა ერთი საჯარიმოც შეაგდო და „ოლ ბლექსს" 12:6 გაამარჯვებინა.

„ოლ ბლექსი" ბრიტანეთში ლიგის რაგბის „კივის" კვალად ჩავიდა. პროფესიონალებმა უელსისა და „ვიგანის" ძლევის მერე საფეხბურთო და სალიგისრაგბო „უემბლიზე" პირველი ტესტი გამართეს დიდ ბრიტანეთთან. „კივიმ" ამ თამაშისთვის ათი სიდნეელი მამლუქი, სამი ბრიტანელი ლეგიონერი და ოდენ ოთხი მკვიდრი ახალზელანდიელი გამოიყვანა, დიდმა ბრიტანეთმა კი მოისაკლისა გადამდგარი კაპიტანი და 13 ნომერი (მესამე ხაზელი) ელერი ჰენლი. მიუხედავად ამისა, „კივი" ერთობ დააბეჩავა „უემბლისა[illegible]" ძალვამ და 0:17 წააგო. ბრიტანელებს ამ თამაშში ორი უელსელი [illegible] მოყვარული ჰყავდათ [illegible] და ხელი ორივემ გამოი[illegible] ჯონათან დევისმა, ვინაც ნაკრებში პირველად ითამაშა 1 ნომრად (მცველად), არეკნი და ორი გოლი შეაგდო, შუამარბმა ჯონ დევრომ პროფესიულ სარბიელზე 99-ე ლელო გაიტანა, მაგრამ ყველაზე მეტად თავი მაინც დებიუტანტმა, „ვიგანის" 19 წლის გარემარბმა ჯეისონ რობინსონმა გამოიჩინა. ხალხის რჩეულმა მე-17 და 27-ე წუთებზე ლელოსკენ გაგორებული ბურთისათვის დოლი ორჯერ მოუგო მეტოქე შონ ჰოპის და „ჰენლის ეპოქის" დამთავრებისთანავე „რობინსონის ხანის" დადგომა აუწყა საზოგადოებრიობას.

ქალთა მსოფლიო პირველობის მატიანიდან

# 2. ქართული ფენომენი




1978 წელი. ბიჭვინთა. გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისთვის

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებას მატჩში ელისაბედ ბიკოვასთან დიდი რეზონანსი მოჰყვა. ტიგრან პეტროსიანი ამბობდა: „ჩემპიონი რომ 21 წლისაა, ეს იმის სრული გარანტიაა, რომ ქალთა ჭადრაკის განვითარება სწორი გზით მიდის. ასეც უნდა იყოს — ახალგაზრდამ და ნამდვილად უნიჭიერესმა უნდა ზიდოს მსოფლიო ჩემპიონის მძიმე უღელი".

ჭადრაკის სამყარო დიდი იმედებით შეხვდა ნონას ჩემპიონობას. ნონამ შთამბეჭდავად გაიმარჯვა ბევერვიიკის ქალთა 1963 წლის საერთაშორისო ტურნირში (9-დან 9 ქულა), 1964-1965 წლების ჰასტინგსის ტრადიციულ ვაჟთა საშობაო ტურნირში ისახელა თავი. იმდროინდელი მიმომხილველები აღტაცებით ამბობდნენ: ახალი ვერა მენჩიკი გვყავსო!

ახალგაზრდა ჩემპიონის მიღწევებმა ხელი შეუწყვეს საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების გამოცოცხლებას. მაგალითად, 1963 წელს აღდგა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადების გამართვა, გახშირდა ნონას მიწვევა ვაჟთა ტურნირებში.

ნონა გაფრინდაშვილი ზედიზედ სამჯერ (1965, 1969, 1972) ამარცხებს მატჩებში პრეტენდენტს ალა კუშნირს, იგებს თითქმის ყველა ქალთა ტურნირს. 1964 წელს იგი პირველად ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. 60-იანი წლები, წერს იუგოსლაველი ჟურნალისტი დიმიტრი ბელიცა, ნონას ეპოქაა ჭადრაკში.

ამ დროს ახალგაზრდა ჩემპიონის კვალს მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკე ქალი გაჰყვა, მათ შორის საქართველოშიც. 1966 წელს 17 წლის ნანა ალექსანდრიამ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მერე კიდევ ორჯერ (1968, 1969) დაეუფლა მას. 1967 წელს იგი ჩაება ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. სწორედ მაშინ იწინასწარმეტყველა მისმა მწვრთნელმა, ვახტანგ ქარსელაძემ, რომ ნანა აუცილებლად შეეცილება ნონას ჩემპიონობას. 1975 წელს ეს სინამდვილედ იქცა, მაგრამ გამოცდილმა ჩემპიონმა ტიტული არ დათმო.

სწორედ მათი მატჩის საზეიმო დახურვაზე 1975 წლის 1 დეკემბერს ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა, ქალბატონმა ინეკა ბაკერმა (ჰოლანდია) საჯაროდ გამოუცხადა მადლობა საქართველოს, რომ მან მსოფლიოს აჩუქა უნიჭიერესი მოჭადრაკეები. ბოლოს დასძინა, რომ საქართველო ქალთა ჭადრაკის სამშობლოა.

70-იან წლებში საგრძნობლად ამაღლდა ქალთა ჭადრაკის რეიტინგი. 1976 წელს ფიდე-მ შემოიღო საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ქალთათვის. 1978 წელს ქალთაგან პირველს ნონა გაფრინდაშვილს მიენიჭა ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. ეს აღიარება მოუტანა ნონას აშშ-ის ვაჟთა ღია ჩემპიონატში და სხვა ტურნირებში თავმოსაწონებელმა წარმატებებმა. მის კვალს ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე დაადგა. ქალთა მონაწილეობა ვაჟთა პაექრობებში [illegible] ტურნირისადმი ინტერესს. ამ მოსაწონრხის [illegible] აუბეს, პირველ ყობელ საქმეში მას [illegible]. ჭავლისა, ქართველმა მოჭადრაკე [illegible] დრაკის ცის კაბადონზე მეტეორივით შემოიჭრნენ მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი. მათგან მაია პირველი ჩაება ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. 1975-1978 წლებში მან სასწაულებრივი წარმატებები მოიხვეჭა. სძლია ყველა პრეტენდენტს: ნანა ალექსანდრიას, ელენა ახმილოვსკაიას, ალა კუშნირს და ბოლოს თვით ნონა გაფრინდაშვილი დაამარცხა. 17 წლის მაია მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონად მოევლინა.

ჭადრაკის მემატიანეს არ ახსოვს უფრო ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი. მაიას გამარჯვებას ლაზათს მატებდა ის, რომ მან სძლია ნონას, მისი შემოქმედების მწვერვალზე ყოფნის დროს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ტიტულის დაკარგვის შემდეგ ნონამ სამჯერ (1981, 1983, 1985) მოიგო სსრკ ჩემპიონის ტიტული, ორჯერ საზონათშორისო ტურნირი (1982, 1990) და პირველმა მიიღო ახალდაწესებული საჭადრაკო „ოსკარი" (1982).

მაიამ გააგრძელა უშელავათო ჩემპიონის გზა. უკვე მისი თავკაცობით სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც მთლიანად ქართველი დიდოსტატებისაგან შედგებოდა, გაიმარჯვა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში (1980, 1982). მან მრავალი თვალსაჩინო ტურნირი მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბანია-ლუკის დიდოსტატ ვაჟთა 1986 წლის საერთაშორისო ტურნირი, სადაც დაუმარცხებლად პირველი ადგილი დაიკავა. ამ დროს მას უკვე ჰქონდა მიღებული (1984) ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. მაიამ ნონასავით ოთხჯერ დაიცვა ჩემპიონის ტიტული.

80-იან წლებში მსოფლიო პირველობის სარბიელზე გამოჩნდა ქართველი მოჭადრაკეების ახალი, ნიჭიერი თაობა ქეთევან არახამიას და ქეთევან კახიანის სახით.

ქართველთა ჰეგემონია სადავოდ არავის გაუხდია, თუმცა სარბიელზე გამოჩნდნენ უნიჭიერესი უნგრელი დები ჟუჟა, სოფი და იუდით პოლგარები, რომლებიც კაცებთან თამაშს ამჯობინებენ.

და მაინც, მოხდა გაუთვალისწინებელი. 1991 წლის შემოდგომაზე მაია ჩიბურდანიძემ დაკარგა ჩემპიონობა ჩინელ დიდოსტატ სე ცზიუნთან მატჩში.

### ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

ჩვენმა ქალებმა მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლა XIII ციკლიდან დაიწყეს

**XIII (1959-1962)**
ზონალური ტურნირი (რიგა, 1960). 4. ნ.გაფრინდაშვილი 11,5 18-დან. პრეტენდენტთა ტურნირი (ვრნიაჩკა-ბანია, 1961). 1. გაფრინდაშვილი 13 (+10=6--0).
გაფრინდაშვილი — ე. ბიკოვა (მოსკოვი, 1962) 9:2 (=,1,1,1,=,1,1,=,=,1,1).

**XIV (1962-1965)**
გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი (რიგა, 1965) 8,5:4,5 (1,0,=,1,1,=,1,1,=,0,1,0,1).

**XV (1965-1969)**
ზონალური ტურნირი (კიევი, 1966) 1. ნ. ალექსანდრია 14 19-დან. პრეტენდენტთა ტურნირი (სუბოტიცა, 1967). 1. კუშნირი 13 17-დან... 7-9. ალექსანდრია 10 (+8=4--5).
გაფრინდაშვილი — კუშნირი (თბილისი, მოსკოვი, 1969) 8,5:4,5 (0,=,1,0,1,1,=,1, =,1,=,1,=).

**XVI (1969-1972)**
ზონალური ტურნირი (გორი, 1969). 1. ალექსანდრია 15 19-დან საზონათშორისო ტურნირი (ოხრიდი, 1971). 1. ალექსანდრია 13 17-დან. პრეტენდენტთა მატჩები. ალექსანდრია — მ. ლაზარევიჩი (ნახევარფინალი. ბლედი, 1971) 5,5:4,5; ალექსანდრია — კუშნირი (ფინალი. კისლოვოდსკი, 1971) 2,5:6,5.
გაფრინდაშვილი — კუშნირი (რიგა, 1972) 8,5:7,5 (1,1,0,1,=,1,=,0,1,=,0,=,=,0,=,=).

**XVII (1972-1975)**
საზონათშორისო ტურნირი (მენორკა, 1973). 2-5. ალექსანდრია 13 19-დან. დამატებითი მატჩ-ტურნირი. 1. ალექსანდრია 8,5 12-დან. პრეტენდენტთა მატჩები. ალექსანდრია — ლიტინსკაია (ნახევარფინალი. რიგა, 1974) 5,5:2,5. ალექსანდრია — ლევიტინა (ფინალი. მოსკოვი, 1975) 9:8.
გაფრინდაშვილი — ალექსანდრია (ბიჭვინთა, თბილისი, 1975) 8,5.3,5 (1,0,1,1,=,1,1,0,1,0,1,1).

**XVIII (1975-1978)**
ზონალური ტურნირი (ფრუნზე, 1975). 7-11. მ. ჩიბურდანიძე 8 16-დან. საზონათშორისო ტურნირი (თბილისი, 1976. ჩიბურდანიძე დაუშვეს ლ. შჩ[illegible]რბინას მაგიერ) 2-3. ჩიბურდანიძე 6,5 10-დან. პრეტენდენტთა მატჩები. ჩიბურდანიძე — ალექსანდრია (მეოთხედფინალი. თბილისი, 1977) 5,5:4,5. ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია (ნახევარფინალი. ტალინი, 1977) 6,5:5,5. ჩიბურდანიძე — კუშნირი (ფინალი. ბად-კისინგენი, 1978) 7,5:6,5.
გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძე (ბიჭვინთა, 1978) 6,5:8,5 (=,=,=,0,0,=,1,=,0,=,1,=,0,=,=).

**XIX (1978-1981)**
ზონალური ტურნირი (ფრუნზე, 1978) 1. ნ. გურიელი 11 15-დან,... 5. ნ. იოსელიანი 9,5. საზონათშორისო ტურნირები. (რიო-დე-ჟანეირო, 1979) 1. იოსელიანი 14,5 16-დან; (ალიკანტე, 1979) 3. გურიელი 12 17-დან. პრეტენდენტთა მატჩები. გაფრინდაშვილი — გურიელი (მეოთხედფინალი. თბილისი, 1980) 6:3, იოსელიანი — ჟ. ვერეცი (მეოთხედფინალი. დონი-მილონოვაცი, 1980) 6:3, ალექსანდრია — ახმილოვსკაია (მეოთხედფინალი. კისლოვოდსკი, 1980) 5,5:3,5. გაფრინდაშვილი — იოსელიანი (ნახევარფინალი. თბილისი, 1980) 7:7 (იოსელიანმა ერთით მეტი პარტია მოიგო შავებით, ამიტომ ფინალის საგზური მას გადაეცა), ალექსანდრია — ლიტინსკაია (ნახევარფინალი. ვილნიუსი, 1980) 7:5, ალექსანდრია — იოსელიანი (ფინალი. თბილისი, 1981) 6,5:2,5.
ჩიბურდანიძე — ალექსანდრია (ბორჯომი. თბილისი. 1981) 8:8 (=,=,=,=,0,1,1,=,1, 0,0,=,=,=,1,0, ჩიბურდანიძემ ტიტული შეინარჩუნა).

**XX (1981-1984)**
ზონალური ტურნირი (ლენინგრადი, 1982). 5-6. თ.ხუგაშვილი 7,5 13-დან. საზონათშორისო ტურნირები. (ბად-კისინგენი, 1982). 1. გაფრინდაშვილი 12 15-დან; (თბილისი, 1982) 4-6. გურიელი 8 14-დან. პრეტენდენტთა მატჩები. ლევიტინა — გაფრინდაშვილი (მეოთხედფინალი. ლვოვი, 1983) 6:4; ალექსანდრია — ლემაჩკო (მეოთხედფინალი. ალიკანტე, 1983) 5,5:4,5; იოსელიანი — ლიუ შილანი (მეოთხედფინალი, ფელდენი, 1983) 6:3. სემიონოვა — იოსელიანი (ნახევარფინალი. დაგომისი, 1983) 5,5:4,5; ლევიტინა — ალექსანდრია (ნახევარფინალი, დუბნა, 1983) 7,5:6,5. ლევიტინა — სემიონოვა (ფინალი. სოჭი, 1983) 7:5.
ჩიბურდანიძე — ლევიტინა (ვოლგოგრადი, 1984) 8,5:5,5 (=,=,0,1,=,=,=,0,1,1,=,1,1,=).

**XXI (1984-1986)**
ზონალური ტურნირი (ჩერნიგოვი, 1985). 2-4. გურიელი 7,5 12-დან,... 11-12. ქ. არახამია 4,5. საზონათშორისო ტურნირები. (ჟელეზნოვოდსკი, 1985). 5-6. გაფრინდაშვილი 9,5 15-დან, 7. გურიელი 9. (ჰავანა, 1985). 1. ალექსანდრია 10 13-დან, 3-5. იოსელიანი 8,5. დამატებით მატჩ-ტურნირში იოსელიანი მეორე იყო 4,5 8-დან. პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი (მალმიო, 1986). 1. ახმილოვსკაია 9,5 14-დან, 2. ალექსანდრია 9.
ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია (სოფია, ბორჯომი,1986) 8,5:5,5 (1,=,=,=,1,=,1,1, 0,=, =,=,=,=).

**XXII (1986-1988)**
ზონალური ტურნირი (ფრუნზე, 1986). 1. იოსელიანი 11,5 16-დან,... 6-7. გურიელი 9. საზონათშორისო ტურნირები. (ტუზლა, 1987) 1. იოსელიანი 13 17-დან, 2. არახამია 12. (სმედერევსკა-პალანკა, 1987) 2-4. გაფრინდაშვილი. დამატებითი მატჩ-ტურნირი (თბილისი, 1987) 1. გაფრინდაშვილი 3 4-დან. პრეტენდენტთა ტურნირი (წყალტუბო, 1988) 1-2. იოსელიანი, ახმილოვსკაია 10-10 12-დან, 5. ალექსანდრია 6,5; 7. გაფრინდაშვილი 4,5; 8. არახამია 3,5. დამატებითი მატჩი. იოსელიანი — ახმილოვსკაია (წყალტუბო, 1988) 3:2.
ჩიბურდანიძე — იოსელიანი (თელავი, 1988) 8,5:7,5 (=,1,=,0,=,=,1,=,=,=,1,=,=,=,0,=).

**XXIII (1988-1991)**
ზონალური ტურ[illegible]ნირი (ალმა-ათა, 1988) 5-6. ქ. კახიანი 9,5, 7-10. ალექსანდრია, გურიელი 9. საზონათშორ[illegible] ტურნირები. (აზოვი, 1990) 1-2. კახიანი 11,5 17-დან; (კუალა-ლუმპური, 1990) 1. გაფრინდა[illegible]შვილი 13,5 8-დან, 2. სე ცზიუნი 12,5 3-4. ა. მარიჩი, გურიელი 12 (დამატებითს მატჩ[illegible] გაიმარჯვა მარიჩმა — 3:2)... 9-10. ალექ[illegible]სანდრია 9,5. პრეტენდენტთა ტურნირი (ბორჯომი, [illegible] 1990). 1-2. სე ცზიუნი, მარიჩი 4,5 7-დან; 3-4. იოსელიანი 4,... 5. გაფრინდაშვილი [illegible] 6. კახიანი 2,5; დამატებითი მატჩი: სე ცზიუნი — მარიჩი 4,5:4,5, დამატებითი მაჩვენებლით გაიმარჯვა სე ცზიუნმა
ჩიბურდანიძე — სე ცზიუნი (მანილა, 1991) 6,5:8,5 (=,=,0,1,1,=,=,0,=,=,0,=,0,=,=).

**XXIV (1991-1993)**
საზონათშორისო ტურნირი. (სუბოტიცა, 1991, შვეიცარული სისტემა 13 ტურად) 1-2. გაფრინდაშვილი, ზ. პენგი 9; 3-4. იოსელიანი, ლევიტინა 8,5; 5-7. პ. ვანგი, კ. ცინი, არახამია 8. არახამია ვერ მოხვდა პრეტენდენტთა ტურნირში კოეფიციენტთა ცხრილით. პრეტენდენტთა ტურნირი (შანხაი, 1992). 1. ჟ. პოლგარი 12,5 16-დან; 2-3. იოსელიანი, ჩიბურდანიძე 9,5 (კოეფიციენტთა ცხრილით მეორე იყო იოსელიანი); 4-5. მარიჩი, ცინი 8; 6. ლევიტინა 6,5; 7-9. გაფრინდაშვილი, ვანგი, პენგი 6. მატჩი პრეტენდენტის საგზურისთვის (მონტე კარლო, 1993): ჟ. პოლგარი — იოსელიანი 4:4 (1,1,=,=,=,=,0,=,0). დამატებითი მინი-მატჩები: 1:1 (1,0), 1:1 (1,0). კენჭისყრით პრეტენდენტობა იოსელიანს ერგო.



სე ცზიუნი
ჩინეთი

მონტე კარლო
24.10.93 — 29.11.93

უნდა გათამაშდეს 16 პარტია. სე ცზიუნს სჭირდება 8 ქულა, ჩემპიონად რომ დარჩეს. კვირაში სამი პარტია შედგება. პარტიები გაიმართება 25, 27, 29, 31 ოქტომბერს, 2, 5, 7, 9, 11, 14, 16, 18, 20, 22, 25, 27 ნოემბერს. მომდევნო დღეებში გადადებული პარტიების დამთავრებაა ნავარაუდევი. 4, 13, 24 ნოემბერი დასვენების დღეებია. პარტიების დაწყების დრო — 16.30 თბილისის დროით, თამაშობენ 6 საათს.



ნანა იოსელიანი
საქართველო

# 3. მძიმე მისია

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვამ ააფორიაქა ქართველი გულშემატკივრები. ამიტომ ყველა გაახარა ნანა იოსელიანის მიერ პრეტენდენტის საგზურის მოპოვებამ. ყველას იმედი მიეცა, რომ იგი დაუბრუნებს ქართულ ჭადრაკს „მის ტიტულს". ეს იმედი უსაფუძვლო როდია. მეორე ათეული წელია, ნიჭიერი დიდოსტატი რაინდული შემართებით იბრძვის მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის მოსაპოვებლად.

ფართო საზოგადოებრიობამ ნანა იოსელიანი (დაიბადა 1962 წ. 12 თებერვალს თბილისში) 1978 წელს გაიცნო, როცა იგი ევროპის ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის. იმავე წელს ნანამ მოიპოვა საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლება. ამ შეჯიბრებაში კი მან აბსოლუტური რეკორდი დაამყარა, როცა ზედიზედ 12 პარტია მოიგო! ცხადია, პირველობაც მას დარჩა. ეს იმდენად შთამბეჭდავი მიღწევა იყო, რომ, მაგალითად, გამოჩენილმა ინგლისელმა მოჭადრაკემ და მიმომხილველმა გარი გოლომბეკმა უწინასწარმეტყველა ნანას მსოფლიო ჩემპიონის მწვერვალის დაპყრობა.

ნანა იოსელიანი თავგამოდებით იბრძოდა. 1988 წელს გაიმარჯვა პრეტენდენტთა ტურნირში, მაგრამ დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონთან ორთაბრძოლაში.

ახლახან ნანამ კვლავ წარმატებით დაძლია შესარჩევი შეხვედრები. შარშან შანხაიში პრეტენდენტთა ტურნირში ნანამ მეორე-მესამე ადგილები გაიყო მაია ჩიბურდანიძესთან, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით მეორე ადგილი და ჟუჟა პოლგართან დამატებითი მატჩის თამაში უფლება მოიპოვა. ნანამ საოცარი შეუპოვრობა და მიზანსწრაფვა გამოავლინა: თითქოსდა უიმედო მატჩი საბოლოოდ ყაიმით დაამთავრა. კენჭისყრაში ბედმა ისევ ნანას გაუღიმა: პრეტენდენტის საგზური მას დარჩა. როგორც იტყვიან, ახლა განგებაც მის მხარეზეა. და აი, 24 ოქტომბერს ქალაქ მონტე-კარლოში (მონაკო) დაიწყო მსოფლიო პირველობის მატჩი სე ცზიუნსა და ნანა იოსელიანს შორის, სადაც, თქმა არ უნდა, უკიდურესად მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი.

30 ოქტომბერს სე ცზიუნი 23 წლის გახდება. მან სწრაფად განვლო მოწაფეობის პერიოდი. 20 წლის უკვე პრეტენდენტი იყო. ჩიბურდანიძესთან ორთაბრძოლაში შესაშური მზადყოფნა და მისწრაფება გამოავლინა. ქართველმა ჩემპიონმა ვერ შეაფასა მისი შესაძლებლობები და ამიტომაც იწვნია მარცხი. ცხადია, ჩინელი დიდოსტატი ახლა უკეთ თამაშობს, ვიდრე 1991 წელს. მან მრავალ თვალსაჩინო ტურნირში დახვეწა ოსტატობა.

იოსელიანი და სე ცზიუნი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს — 1990 წელს ბორჯომში, პრეტენდენტთა ტურნირში. ეს შეხვედრა დასკვნით ტურში შედგა და მასზე იყო დამოკიდებული პრეტენდენტის ვინაობის საკითხი. ნანამ წააგო.

არ დაგიმალავთ: ერთი გარემოება მაფიქრებს. იოსელიანმა თქვა, რომ იგი არ იცნობს სე ცზიუნის ბოლო პარტიებს, არ იცის ვინ ჰყავს მას სეკუნდანტებად, როგორ ემზადება მატჩისთვის. ეს ინფორმაცია „სახელმწიფოებრივ დონეზეა გასაიდუმლოებული", ამბობს ნანა. მაფიქრებს იმიტომ, რომ სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო ჩიბურდანიძე — სე ცზიუნის მატჩის წინ. მაიაც გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. მინდა ვიფიქრო, რომ ნანა მეტ წინდახედულობას და, რაც მთავარია, შეუპოვრობას გამოავლენს, მით უმეტეს, რომ ევროპაში (ესე იგი [illegible] პირობებში, ნაცნობ გარემოში) უწევს თამაში. მას სეკუნდანტობას გაუწევენ საერთაშორისო დიდოსტატები კონსტანტინე საკაევი (სანქტ-პეტერბურგი) და ელმარ მაგერამოვი (ბაქო).

ვუსურვოთ ნანა იოსელიანს გამარჯვება მძიმე, დამღლელ და დამქანცველ მაჩტჩში. თუ ნანას მსოფლიოს ჩემპიონობა სურს, შესაძლებლობების ზღვარზე უნდა იბრძოლოს. გვჯერა, რომ ასეც მოიქცევა.

თენგიზ გიორგაძე, საერთაშორისო არბიტრი

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

# შალამბერიძე ჩემპიონია



კახა შალამბერიძე

დაიბადა 4.12.1969 თბილისში.
რეიტინგი 2330
თბილისის ჩემპიონი (1984)
საქართველოს ჩემპიონი (1993)
დაამთავრა თსუ (1993). ეკონომისტი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა 53-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). გთავაზობთ განვლილი ტურების შედეგებს:

IV ტური (12.X): შალამბერიძე — გელაშვილი 1:0, კვირიაშვილი — ხურციძე 1:0, სიჭინავა — ვეფხიშვილი 0:1, ცქიტიშვილი — სუპატაშვილი 0,5:0,5, იგრიაშვილი — დგებუაძე 0:1. ისვენებდა დადიანი.

V ტური (13.X): ვეფხიშვილი — შალამბერიძე 0,5:0,5, გელაშვილი — კვირიაშვილი 0,5:0,5, სუპატაშვილი — სიჭინავა 1:0, დგებუაძე — ცქიტიშვილი 0,5:0,5, დადიანი — იგრიაშვლი 0:1. ისვენებდა ხურციძე.

I ტურიდან გამოტოვებული პარტია (14.X): ხურციძე — ცქიტიშვილი 0,5:0,5.

VI ტური (15.X): შალამბერიძე — სუპატაშვილი 1:0, კვირიაშვილი — ვეფხიშვილი 0:1, ხურციძე — გელაშვილი 0:1, სიჭინავა — დგებუაძე 1:0, დადიანი — ცქიტიშვილი 0:1. ისვენებდა იგრიაშვილი.

VII ტური (16.X): დგებუაძე — შალამბერიძე 1:0, სუპატაშვიილი — კვირიაშვილი 1:0, ვეფხიშვილი — ხურციძე 0:1, დადიანი — სიჭინავა 0:1. იგრიაშვილი — ცქიტიშვილი 0:1. ისვენებდა გელაშვლი.

VIII ტური (17.): შალამბერიძე — დადიანი 0,5:0,5, კვირიაშვილი — დგებუაძე 0,5:0,5, ხურციძე — სუპატაშვილი 0:1, გელაშვილი — ვეფხიშვილი 1:0, სიჭინავა — იგრიაშვილი 1:0. ისვენებდა ცქიტიშვილი.

IX ტური (18.X): იგრიაშვილი — შალამბერიძე [illegible] 0:1, დადიანი — კვირიაშვილი 0:1, დგებუაძე — ხურციძე [illegible] 0,5:0,5, სუპატაშვილი — გელაშვილი 0,5:0,5, ცქიტიშვილი — სიჭინავა 0:1. ისვენებდა ვეფხიშვილი.

X ტური (19.X): შალამბერიძე — ცქიტიშვილი 1:0, კვირიაშვილი — იგრიაშვილი 1:0, ხურციძე — დადიანი 1:0, გელაშვილი — დგებუაძე 0:1, ვეფხიშვილი — სუპატაშვილი 0:1. ისვენებდა სიჭინავა.

XI ტური (20.X): სიჭინავა — შალამბერიძე 0:1, ცქიტიშვილი — კვირიაშვილი 0,5:0,5, იგრიაშვილი — ხურციძე 0:1, დადიანი — გელაშვილი 0,5:0:5, დგებუაძე — ვეფხიშვილი 1:0. ისვენებდა სუპატაშვილი.

საბოლოო მდგომარეობა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | კახა შალამბერიძე | თბილისი | 7 |
| 2. | ალექსანდრე დგებუაძე | თბილისი | 7 |
| 3. | ხვიჩა სუპატაშვილი | ქუთაისი | 6,5 |
| 4. | ნინო ხურციძე | თბილისი | 5,5 |
| 5. | [illegible] გელაშვილი | რუსთავი | 5,5 |
| 6. | [illegible] სიჭინავა | სენაკი | 5,5 |
| 7. | რომან [illegible]შვილი | თბილისი | 5 |
| 8. | გიორგი ცქიტიშვილი | თბილისი | 4,5 |
| 9. | ვარლამ ვეფხიშვილი | თბილისი | 4,5 |
| 10. | სოსო კვირიაშვილი | [illegible] | 3 |
| 11. | რევაზ დადიანი | სოხუმი | 1 |
| | ზურაბ იგრიაშვილი | რუსთავი | |

# ჩემი მიშა

ასე ჰქვია მიხეილ ტალის ერთ-ერთი მეგობრის, პოლანდიელი დიდოსტატის გენადი სოსონკოს სტატიას, რომელიც პოლანდიის ინგლისურენოვან საჭადრაკო ჟურნალ „New in Chess“-ში (1993 წ.) დაიბეჭდა. ეს მოგონება, რომელიც ჟურნალ „64-შახმატნოე ობოზრენიედან“ №5-6, (1993 წ.) ვთარგმნეთ მცირე შემოკლებით, მართალი და გულწრფელია. მიხეილ ტალს ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ მათი უმრავლესობა თითქმის არ იცნობდა გენიალური მოჭადრაკის პირად ცხოვრებას. ამიტომ ბევრი რამ ამ მოგონებაში მათთვისაც ნამდვილი აღმოჩენა იქნება.

თენგიზ გიორგაძე, საერთაშორისო არბიტრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

50-იანი წლების შუახანებში ჭადრაკის მკაცრ პოზიციურ სამყაროში შემოიჭრა ახალგაზრდა კაცი, ფაქტობრივად ბიჭუნა, ანთებული შავი თვალებით და თამაშის მანერით, რომლითაც ყველას აოცებდა. მანერით, რომელიც ზოგს აკვირვებდა, ზოგს შოკში აგდებდა. ის, რასაც იმ დროს ერთ-ერთი პოლანდიური გაზეთი წერდა, იყო მთელი საჭადრაკო სამყაროს საერთო რეაქცია: „მსოფლიო კლასის მოჭადრაკისთვის ტალი თამაშობს საოცარი უდარდელობით, რომ არა ვთქვათ საძაგლად და უპასუხისმგებლოდ. ჯერჯერობით მას თან სდევს წარმატებები იმიტომ, რომ ყველაზე გამოცდილი დამცველნიც ვერ უძლებენ ამ ტერორს საჭადრაკო დაფაზე. უპირველეს ყოვლისა, იგი იერიშისკენ მიისწრაფვის და მის პარტიებში ხშირია ერთი ან რამდენიმე ფიგურის შეწირვა. ამ შეუპოვარი მანერის თაობაზე არსებობს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული აზრები. ზოგი ტალში მხოლოდ ავანტიურისტს ხედავს, რომელსაც ბედი სწყალობს, ზოგიც გენიოსს, რომელიც ჭადრაკის უცნობი მხარეების აღმოჩენას აკეთებს“.

„თავი სავსეა მზით“, — ეს არის 23 წლის მიხეილ ტალის პირველი სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა მოსკოვში, ქომაგებით გაჭედილ დარბაზში, იუგოსლავიაში 1959 წლის პრეტენდენტთა ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ. შეკითხვაზე: როგორ აპირებს დაიწყოს ბრძოლა გვირგვინისთვის, პასუხი დაახლოებით ასე გაისმა: „მოვდივარ, დამიდექით“. ბოტვინიკთან მატჩის პირველ პარტიაში ჩემი პირველი სვლა 1.e2-e4 იქნებაო! თქვენ გახსოვთ ეს პარტია? (იგი ტალმა ბრწყინვალედ მოიგო.) ტალი უკვე პრეტენდენტი იყო, პირველად რომ ნახა მსოფლიო ჩემპიონი მიუნხენში 1958 წელს (ისტორია იმაზე, რომ თითქოს რიგის სანაპიროზე დასასვენებლად მყოფმა ბოტვინიკმა არ მიიღო ილლიაში ამოჩრილი ჭადრაკით მოსული პატარა მიშა, რა თქმა უნდა, ჟურნალისტების მონაგონია). მაგიდებს შორის სეირნობის დროს, ვიდრე მეტოქე სვლაზე ფიქრობდა, მსოფლიო ჩემპიონმა ჰკითხა ახალგაზრდა პრეტენდენტს: „რისთვის შეწირეთ პაიკი?“ და, თავად მიშას თქმით, ხულიგნური პასუხი მიიღო: „იგი უბრალოდ ხელს მიშლიდა“. მას უყვარდა ეს სიტყვა და ხშირად ანალიზის დროს, რომელიმე გაურკვეველი შეწირვის მომენტში, იტყოდა: „ცოტა ხომ არ ვიხულიგნოთ?“

მიშა გავიცანი 1966 წლის შემოდგომაზე. იგი რამდენიმე დღით ჩამოვიდა ლენინგრადში და საერთო მეგობრის პატარა ოთახში უამრავი ბლიცპარტია ვითამაშეთ, რომელთაგან ერთი მოვიგე და რამდენიმე ყაიმით დავამთავრე. მერეც რამდენჯერმე ჩამოვიდა. ჩვენ დავმეგობრდით და მოულოდნელი არ იყო, როცა რიგაში მიმიწვია, რათა ერთად გვემუშავა მის ქალაქში. მალე უნდა შემდგარიყო მისი მატჩი სვეტოზარ გლიგორიჩთან. რა თქმა უნდა, მაშინ ჩემთვის თავმოსაწონებელი იყო ეს წინადადება. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში და მერეც, რიგაში რომ ჩავდიოდი, საერთო ჯამში მასთან დაახლოებით ნახევარი წელი გავატარე. თერთმეტი საათისთვის მივდიოდი მასთან, რიგის ცენტრში, დიდ ბინაში. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ უკვე საჭადრაკო მაგიდას ვუსხედით. ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ვხვდები, რომ მას მაინცდამაინც არ სჭირდებოდა ვარიანტები — ჩვენ, ცხადია, დებიუტებს ვაანალიზებდით, მაგრამ მისთვის მთავარი იყო დაფაზე ისეთი სიტუაციის შექმნა, რომ ეცოცხლათ მის ფიგურებს (ამაში მთლიანად ვეთანხმები სპასკის) და იგი მათ ისე აცოცხლებდა, როგორც არავის შეეძლო. მისთვის უმთავრესი იყო შეექმნა დაძაბულობა, დაუფლებოდა ინიციატივას, მიეღო ისეთი პოზიცია, რომელშიც მატერიალურს ღირებულებებს სჭარბობს სულიერი მომენტი — შამათის გამცხადების მუქარა.

ჩვენ ბევრ დროს ვანდომებდით შემდეგი ტიპის ვარიანტებს: 1. a4 a5 2. c4 e6 3. მc3 მf6 4. კg5 c5, ან პაიკის შეწირვას ახალინდურ დაცვაში, რომელიც გამოიყენა ხოლმოვთან სანვრთნელი მატჩის ნაკლებად ცნობილ პარტიაში. იგი აანალიზებდა ნიმცოვიჩის დაცვას და ესპანურს, რომელიც ძირითადი აღმოჩნდა გლიგორიჩთან მატჩში.

საკმაოდ ხშირად გვაკითხავდა მიშას მუდმივი მწვრთნელი ალექსანდრე კობლენცი (მეგობრებისთვის — „მაესტრო“). მიშაც თითქმის ყოველთვის ასე მიმართავდა მას. ისინი თავისებურად ხუმრობდნენ — ირონიული საუბრის მანერაში იკითხებოდა მრავალწლიანი და გულწრფელი ურთიერთობა. „დღეისთვის საკმარისია, — ამბობს მიშა — ახლა კი ბლიცი, ბლიცი“. რიგრიგობით გვწირავდა ფიგურებს (უმეტესად არაკორექტულად) და თან დასძენდა: „არა უშავს, ახლა მე მას ალამს ჩამოვუგდებ“... ანდა უმწვავეს სიტუაციაში, როცა თვითონაც წამები რჩებოდა, თავის საყვარელ გამოთქმას მოიშველიებდა: „წყნარად, ჩემო მეგობარო“. არ მახსოვს შემთხვევა, რომ არ სიამოვნებოდა ბლიცის თამაში, მოსკოვის ან ლენინგრადის ჩემპიონატი იქნებოდა, რომლებიც მრავლად მოუგია, თუ მსოფლიო ჩემპიონატი სენტ-ჯონსში 1988 წელს, ან ჩვეულებრივი ხუთწუთიანი პარტია სასტუმროს ფოიეში რომელიმე გულშემატკივართან, რომელიც თამაშს სთხოვდა.

„იქნებ ცოტა დავისვენოთ?“ — ისმის მიშას დედის, ენერგიული, მომხიბლავი ქალბატონი იდას ხმა. იგი გახლდათ უფროსი შვილი რიგის ბურჟუაზიული ებრაული ოჯახიდან, რომელიც ბედმა მთელ მსოფლიოში გაფანტა. მის დას რივას, რომელიც 30-იანი წლებიდან პარიზში ცხოვრობს და რომელსაც ხშირად აკითხავდა ტალი პოლანდიაში სტუმრობის დროს, შარშან აგვისტოში 90 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდა რომ იყო, იგი ნახევარი წლით პარიზს გაემგზავრა, ფრანგულის დასახვეწად, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ინება... დეიდა რივამ თავისი სახელგანთქმული დისწული პირველად 1959 წელს, ციურიხში ნახა, როცა იქ დიდი ტურნირის გამართვის ამბავი შეიტყო. „იგი სიცოცხლით სავსე, ბრწყინვალე იყო და ის გამხდარი, მაღალი ამერიკელი, ჯერ მხოლოდ ყმაწვილი, პირდაპირ იჭერდა მიშას თითოეულ სიტყვას,“ — იხსენებს დეიდამისი. მასზე ორი წლით უმცროსი და განია, რომელიც კარგად მახსოვს ჯერ კიდევ რიგიდან, ახლა ბრუკლინში, ნიუ-იორკში ცხოვრობს.

მიშას დედა (1979 წელს გარდაიცვალა) გვარად ტალი იყო, როგორც მამამისი: იგი ცოლად გაჰყვა თავის ბიძაშვილს. დიდ ბინაში (ჩემი იმდროინდელი წარმოდგენით) მის გარდა ცხოვრობდნენ: თვითონ მიშა და მისი მეგობარი ქალი, რომელიც 1972 წელს წავიდა ემიგრაციაში და რამდენადაც ვიცი, ახლა გერმანიაში ცხოვრობს. მიშას პირველი მეუღლე — სალი, რომელმაც 1980 წელს დატოვა რიგა და ახლა ანტვერპენში ცხოვრობს. მათი შვილი გერა, მომხიბლავი, თმახუჭუჭი ყმაწვილი, ახლა ორი შვილის მამაა და ისრაელში, ბეერ-შევეში მუშაობს კბილის ექიმად.

მახსოვს, 12 წლის წინათ, ამსტერდამში, ჩემს ბინაში ტალი რამდენჯერმე შეხვდა თავის ვაჟს, რომელიც საგანგებოდ ჩამოდიოდა გერმანიიდან მამის სანახავად. მაშინ არ იყო ასეთი ვეგეტარიანული დრო, რომ მამის და შვილი-ემიგრანტის ლია შეხვედრას, თუნდაც მხოლოდ კოლეგა-დიდოსტატების დასწრებით, არ მოჰყოლოდა რაიმე უსიამოვნება. — მაგალითად, ერთი-ორი, ან მეტი წლით საზღვარგარეთ გამგზავრების აკრძალვა, რაც კიდეც გამოცადა მიშამ.

იქვე ცხოვრობდა მიშას უფროსი ძმა იაშა, რომელსაც დედის სიკვდილის მერე დიდხანს არ უცოცხლია. თითქმის ყოველ დღე მოდიოდა ძია რობერტი, როგორც მას ეძახდნენ, მიშას მამის მეგობარი. მიშას მამა, ნაცნობების თქმით, შესანიშნავი ექიმი, 1957 წელს გარდაიცვალა. ძია რობერტს, 20-იან წლებში პარიზელ ტაქსის შოფერს, ომის დროს უოჯახოდ დარჩენილს, საკმაოდ სუსტ მოჭადრაკეს, შეეძლო საათობით ედევნებინა თვალი ჩვენი ანალიზისა და ბლიც-პარტიებისთვის. იგი შეყვარებულის თვალებით უცქეროდა მიშას. ზოგჯერ უსაყვედურებდა ხოლმე. მიშა სუსტ წინააღმდეგობას უწევდა მას. ქალბატონი იდა ყოველთვის ბიძია რობერტის მხარეზე იყო და ეუბნებოდა შვილს: „მიშა, ნუთუ არ შეგიძლია ნორმალურად უპასუხო, ბოლოს და ბოლოს იგი შენი მამაა...“ ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, როცა აღარავინაა ცოცხალი, კარგად ვხედავ ძია რობერტის ნიკოტინით გაყვითლებულ თითებში გაჩრილი სიგარეტით, ხშირად კონიაკის სირჩით ხელში და მიშას, განსაკუთრებით ბოლო წლებისას, ასე რომ ჰგავდა იერით, საუბრის მანერით, თავის დაჭერით...

მათ პიკირებას თვალს ვაცილებდი, მაგრამ არავინ მაქცევდა ყურადღებას, რაკი თავისიანად მივაჩნდი.

და აი, დადგა საღამო და საჭირო სადმე წასვლა სავახშმოდ. გამოვიძახეთ ტაქსი და ერთ-ერთ რესტორანს მივაშურეთ, სადაც, მიშას, რა თქმა უნდა, ყოველთვის ცნობდნენ. ტალი მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, „ვოლგა“ აჩუქეს — იმ დროს საუკეთესო მარკის საბჭოთა მანქანა, მაგრამ მანქანა ძმას მისცა: ტალი გულგრილად ეკიდებოდა ნებისმიერ ტექნიკას და, ცხადია, აზრადაც არ მოსვლია მანქანის ტარება ესწავლა. მხოლოდ ცხოვრების ბოლო პერიოდში გაიჩინა ელექტროსაპარსი და მისი ნაკვალევი აქა-იქ დაეტყო სახეზე. ჩემს დროს მას უფროსი ძმა პარსავდა. ხშირად დალაქთან დადიოდა. არ უყვარდა ჰალსტუხი. მას მხოლოდ მაშინ იკეთებდა, როცა გარემოება აიძულებდა. რა თქმა უნდა, არასოდეს უსწავლია მისი გამონასკვა. საათიც არასოდეს უტარებია. „ეს კიდევ — რაღაც წიკწიკებს ხელზე!“. საერთო გაგებით მისთვის დრო არ არსებობდა. მახსოვს მატარებელზე დაგვიანების მრავალი შემთხვევა, აგრეთვე მისი ახალგაზრდობისდროინდელი ცდა, ტაქსით დასწეოდა თვითმფრინავს (სამსაათიანი საშუალედო დაფრენის გამოყენებით), რომელიც, თვითმხილველთა თქმით, სრული წარმატებით დამთავრდა.

ვახშმობისას და ხშირად შემდეგაც ვსვამდით. მიშას არ უყვარდა და არ სვამდა ღვინოს, ამჯობინებდა მაგარ სასმელებს: არაყს, კონიაკს, მაგალითად რომ-კოლუს... ცუდად რომ არ გამიგოთ, აქვე ვიტყვი: ეს არ იყო წრუპვა ჩალის ღეროთი. დღემდე მახსოვს ბარმენის სახე, როცა მას ერთ სასმისში კონიაკის 5 სირჩა უნდა ჩაესხა. ეს მოხდა ჩემი და მიშას საზღვარგარეთ პირველი შეხვედრის დროს, 1973 წლის იანვარში ვეიკ-ან-ზეეში. რამდენიმე წლით ადრე მიშას უბრალოდ ჩაეძინა ბანკეტის შემდეგ რეიკიავიკში, რაკი ველარ უძლებდა „სიმაგრეს“. ასე უფრო და უფრო ხშირად მოსდიოდა, განსაკუთრებით — ბოლო წლებში. იმ ტურნირში კორჩნოი და სპასკიც თამაშობდნენ. მათ ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ რა ექნათ, გადახედეს ერთმანეთს... „რა ვქნათ?“ — იკითხა ერთმა. „წავიყვანოთ“ — უპასუხა მეორემ. გზა შორი იყო, მაგრამ მისი ჭაბუკობის მეგობრებმა ამოცანას შესანიშნავად გაართვეს თავი; ხოლო სასტუმროს გაოცებულ პორტიეს გამართეს, რომ მოჭადრაკე დიდხანს ფიქრობდა და ძალიან დაიღალაო...

მშვენივრად მახსოვს მისი ხალისიანი, ყოველთვის მსუბუქი იუმორი, მისი გადამდები, ზოგჯერ ცრემლიანი სიცილი. საუბარში მისი სწრაფი რეაქცია, მისი საფირმო, ჩვეულებრივ შუაღამის გამოთქმა: „ოფიციანტ! შემიცვალეთ მოსაუბრე“. მგონი შარიდანი ამბობდა, რომ ჭეშმარიტი გონებამახვილობა უფრო ახლოა გულკეთილობასთან, ვიდრე ჩვენ გვგონიაო. მიშას გონებამახვილობა ყოველთვის ჭეშმარიტი იყო.

ფიზიკური ნაკლის მიუხედავად — მარჯვენა ხელზე მხოლოდ სამი თითი ჰქონდა, — იგი უკრავდა ფორტეპიანოზე, და არცთუ ურიგოდ. მისი პირველი მეუღლე — სალი იხსენებს, რომ იმ საღამოს, როცა გაიცნეს ერთმანეთი, მიშა შოპენის ეტიუდს უკრავდა. ბოტვინიკთან თავის პირველ მატჩამდე რამდენიმე თვით ადრე მან ჰკითხა ცნობილ პიანისტ ქალს ბელა დავიდოვიჩს, რომელთანაც განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა, აქვს თუ არა რეპერტუარში რახმანინოვის „ელეგია“. რა შეიტყო, რომ არა აქვს, უთხრა: „დამპირდით, რომ ბოტვინიკთან ჩემი გამარჯვების შემდეგ მას შეასრულებთ საზეიმო კონცერტზე“. მაშინ საბჭოთა კავშირში არსებობდა ჩვეულება, რომ საჭადრაკო ტურნირისა თუ მატჩის საზეიმოდ გახსნის შემდეგ იმართებოდა კონცერტი. მე-17 პარტიის შემდეგ, როცა მატჩის ანგარიში 10:7 გახდა ტალის სასარგებლოდ, დავიდოვიჩების ოჯახში გაისმა სატელეფონო ზარი: „შეგიძლიათ დაიწყოთ „ელეგიის“ სწავლა“... და ახლა, 32 წლის შემდეგ, ბელა დავიდოვიჩი, რომელიც უკვე კარგა ხანია ამერიკაში ცხოვრობს, როცა კი რახმანინოვის „ელეგიას“ უკრავს, იხსენებს ტალს და იმ საღამოს პუშკინის თეატრში, სადაც იგი პირველად აჟღერდა. ტალის საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ ჩაიკოვსკი, შოპენი, რახმანინოვი...

ზაფხულში ჩემი ჩასვლისას კორჩნოისთან მატჩისთვის მზადების პერიოდში ჩვენ ხშირად მივემგზავრებოდით ზღვის ნაპირზე, სადაც მას გამოუყვეს აგარაკი, უფრო სწორად, სამი ოთახი პლაჟის გვერდით ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე. ახლა ძნელია დაიჯერო, მაგრამ კარგად ვხედავ მიშას პლაჟზე, მზიან ამინდში, მაისურით და საპლაჟო ჩანთით სახელდახელოდ მოწყობილ კარში, აზარტულად რომ იგერიებდა ჩემს დარტყმულ ბურთებს. იგი მეკარედ თამაშობდა უნივერსიტეტის გუნდში და ფეხბურთისადმი სიყვარული სამუდამოდ შეჰყვა...

ტალი არასოდეს არ გამოირჩეოდა ჯანმრთელობით — მაშინაც, რიგაში, ზღვის ნაპირზეც მოსვლია თირკმლების შეტევა, არაერთხელ გამოგვიძახია „სასწრაფო დახმარება“. იგი ხშირად იწვა საავადმყოფოში, ცხოვრების მანძილზე დაახლოებით 12 ოპერაცია გადაიტანა. შუბლზე ნაიარევი ემჩნეოდა — თავში ბოთლის საშინელი დარტყმისა ჰავანის ღამის ბარში, რაც 1966 წელს კუბაზე ოლიმპიადის დროს შეემთხვა. ცნობილია პეტროსიანის იმდროინდელი ხუმრობა: მხოლოდ ტალის რკინისებურ ჯანმრთელობას შეეძლო ასეთი დარტყმის გადატანაო. სწორედ იმ დროზე, 60-იანი წლების ბოლოზე მოდის პერიოდი ტალის ცხოვრებისა, როცა იგი მორფს მიეჩვია. როგორც ცხადს, ისე ვხედავ მის დანემსილ, თითქოს ჭიანჭველების მიერ დაკბენილ ხელს და ექთნებს, რომლებიც ამაოდ ეძებენ ხელუხლებელ ადგილს. ვიცი, რომ მერე უკვე მოსკოვში „სასწრაფო დახმარებას“ აკრძალული ჰქონდა გასვლა ტალის გამოძახებაზე. ამის შესახებ ხმა მაშინ მთელ ქალაქს მოედო.

მახსოვს შეკითხვა ერთ ლექციაზე: „მართალია თუ არა ამხანაგო ტალო, რომ თქვენ მორფინისტი ხართ?“ და ტალის ელვისებური რეაქცია: „როგორ გეკადრებათ, მე ჩიგორინელი ვარ!“ ჩემი აზრით, ეს პერიოდი ტალის ცხოვრებაში მხოლოდ ორიოდე წელი გრძელდებოდა. როგორ განიკურნა მისგან, არ ვიცი. ვარაუდობენ, რომ როცა ნარკოტიკების შოვნა ლეგალურად უკვე შეუძლებელი იყო, მისი სულის არაადამიანურმა ძალამ და ნებისყოფამ თავად დაუსვა მას წერტილი.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

(იხილეთ მე-13 გვერდი)

რატომ თამაშობდა იგი ასე და, რატომ იგებდა? რა თქმა უნდა, ადვილია მოიშველიო სიტყვები „ტალანტი“ ან „გენიოსი“. როცა ტოლუშმა მისთვის საუკეთესო 1957 წლის ტურნირში წააგო მასთან პარტია, სპასკის უთხრა: „იცი, ბორია, დღეს გენიალურ მოთამაშესთან დავმარცხდი“. მეორე დარბაისელი დიდოსტატი ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე მეუბნებოდა ტასკოში, საზონათშორისო ტურნირზე: „ჩვენ ყველა მიშას ნეკად არ ვღირვართო“. თვით პეტროსიანიც, ქების ძუნწი, ამბობდა, რომ ჭადრაკში ის მხოლოდ ერთ ცოცხალ გენიოსს იცნობს... მაგრამ საქმე როდია ამაში, ან ყოველ შემთხვევაში, არა მხოლოდ ამაშია. მე არ შემიძლია ყველაფერი კორჩნოისებურად ავხსნა: „მახსოვს ერთხელ რესტორანში მითხრა: გინდა, შევხედავ იმ ოფიციანტს და ჩვენთან მოვა“. ანდა ბენკოს არასაკმარისი დაცვა შავი სათვალით კანდიდატთა ტურნირზე 1959 წელს. მაგრამ ის, რომ მისი გარეგნობა, განსაკუთრებით ახალგაზრდულ წლებში, როგორღაც ენერგიას გამოასხივებდა — ეს უდავოა. აქ ჩვენ მივუახლოვდით, ჩემი აზრით, მიხეილ ტალის ფენომენის გამოცნობას. ესაა დაფაზე დახრილი სახე, ესაა ანთებული თვალების გამოხედვა, რომელიც განმსჭვალავს დაფასა და მეტოქეს, ესაა ცქმუტავი ტუჩები, ესაა ღიმილი, რომელიც ჩნდება ზემთაგონებულ სახეზე, როცა ნაპოვნია კომბინაცია, ესაა აზრის უმაღლესი კონცენტრაცია, ასე ვიტყოდი, აზრის დაწოლა — ქმნიდნენ იმას, რასაც ვერ უძლებდნენ სულით სუსტნი. როდესაც ეს სული უერთდებოდა 50-იანების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისის ახალგაზრდულ ენერგიას — იგი დაუმარცხებელი იყო. „მიშიკო, — ეუბნებოდა მას ან გარდაცვლილი ძმ[illegible]ინი რიგაში 1969 წელს, — ჩვენს შორის ყველაზე ძლიერი სულისა ხარ“. იგი სულით ძლიერი იყო, როგორც არავინ. მაშინაც კი, როცა დაერღვა ორგანიზმი, მისი სული უკანასკნელ დღემდე უდრეკი რჩებოდა.

1979 წელს მონრეალის დიდი ტურნირის მოგების შემდეგ (კარპოვთან ერთად) 43 წლის ტალმა, დადინჯებულმა და ჭადრაკის ბევრად უკეთესად გამგებმა, ვიდრე თავისი ჩემპიონობის წლებში, თქვა: ახლა მე იმ ტალს ნოლზე გავანადგურებდიო. ამაში ეჭვი მეპარება. არა იმიტომ, რომ მისი საყვარელი უჯრები, მისი თქმით დღეს უფრო სერიოზულად არის დაცული. საქმე ისაა, რომ აკადემიურსა და ყველაფრის მცოდნე ტალს მოუწევდა აზრის კონცენტრაციისა და ახალგაზრდული დაწოლის გაძლება, რასაც საუკეთესოთა შორის. საუკეთესონი ვერ უძლებდნენ.

მახსენდება 1968 წლის ზაფხულის მოსკოვი. მაშინ ტალის სეკუნდანტი ვიყავი მის მატჩში კორჩნოისთან, მისთვის მეტად უხერხულ მეტოქესთან. ტალმა წააგო 4,5:5,5. მახსოვს დასკვნითი პარტია, რომელშიც მიშამ შავებით ჰოლანდიურში იერიში ააწყო, შეეძლო გაემარჯვა, მაგრამ დაყოვნდა და გადადებული პოზიცია მხოლოდ ყაიმს ჰპირდებოდა. უძილო ღამე ანალიზში, თამაშის გაგრძელება, დახურვა, ხანგრძლივი ხეტიალი მოსკოვის ქუჩებში, სადაც მას ბევრი მეგობარი ჰყავდა. მისი ენერგია, მისი დაუშრეტელი ენერგია...

მახსოვს ხის სახლი მოსკოვის ცენტრში, მთავარი ფოსტამტის გვერდით. იქ ცხოვრობდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი მხატვარი, ჯვარად იგინი, მრავალი მოჭადრაკის მეგობარი, რომლებიც ნებისმიერ დროს, დღისით და ღამით აკითხავდნენ. მასთან იკრიბებოდნენ მხატვრები, პოეტები, ახალგაზრდა მსახიობი ქალები, 60-იანი და 70-იანი წლების მოსკოვის ბოჰემა. თავად თვალწარმტაცი მასპინძელი, რომელიც საკუთარ თავზე ამბობდა მოკლედ: „მე ძველი კონიაკის მსმელი ვარო“. და ბოლოს, უკანასკნელი თვითმფრინავი მოსკოვი — რიგა, ბილეთები არ არის, მაგრამ იცნეს ტალი, და აი, პილოტების კაბინაში მივფრინავთ რიგაში. ღამე, მიშას ბინა, და აი, ვერაფერს ვგრძნობ, ვიძინებ. როცა გავიღვიძე დილით, ოთახი ცისფერი იყო სიგარეტის კვამლისგან. საიდანღაც შორიდან, დივანიდან მიცქერდა მიშა. სქელტანიანი წიგნი თითქმის წაეკითხა... კითხულობდა საოცარი სისწრაფით, და ვიცოდი, ჩემი ცხოვრების უკვე დასავლურ სეგმენტში, რომ სადმე ტურნირზე გამგზავრებისას, უნდა წამეღო რაც შეიძლება ბევრი წიგნი, რომლებიც მაშინ აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში. მახსოვს, ოლიმპიადაზე, ნიცაში, 1974 წელს საღამოს მივეცი სოლჟენიცინის ახლადგამოსული „არქიპელაგი გულაგი“ და რუსული ემიგრანტული გაზეთის ახალი ნომერი. დილით ყველაფერი წაკითხული რომ დამიბრუნა, მითხრა: „აი, გაზეთში, კროსვორდში ერთი სიტყვა ვერ ვიპოვე“. „წიგნზე რას იტყვი?“ — „ძალიან საშინლად წერს“. მაშინ, პასუხით გაკვირვებულს, ბუნდოვნად წარმომესახა მიხეილ ტალის პიროვნების გახსნის კიდევ ერთი ასპექტი. საქმე ისაა, რომ მას დიდად არ აინტერესებდა ეს, იგი თითქოს თავს არიდებდა მას.

მას სრულებით არ აინტერესებდა მატერიალური ფასეულობა. მაგონდება, ტილბურგის ერთი ტურნირის შემდეგ საყიდლებზე გავყევი. მას არ უყვარდა ეს პროცედურა. ხუთგულდენიანი ბანკნოტები ჯიბეში ედო (რა თქმა უნდა, საფულე არასოდეს ჰქონია) ათასიანებში არეულად. მახსოვს მისი გულწრფელი გაკვირვება, როცა ერთ გვერდით ჯიბეში ერთი ასეთი აღმოაჩინა. რამდენი ყოფილა დაკარგული პრიზი, რამდენი პასპორტი, სასტუმროში დავიწყებული ან უბრალოდ სადღაც დატოვებული... მახსოვს ერთი მისი ჩემს ზემოთ მიმართული გამოხედვა, როცა ვუსაყვედურებდი ტასკოს სასტუმროში, როცა ნიუ-იორკთან სამნუთიან საუბარში 70 დოლარი გადაიხადა. ალბათ არ ესმოდა ჩემი ნათქვამი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მით უმეტეს სასტუმროდან, უნდა გაურბოდე სატელეფონო ლაპარაკს. ბელიავსკიმ მიამბო, როგორ უსაყვედურა მან მიშას სენ-ჯონსში ბლიცში მსოფლიო ჩემპიონატის მოგებისთვის მიღებული მრავალათასიანი პრიზის თითქმის მთლიანად სპორტკომიტეტში გადაცემისთვის. იგი უბრალოდ პასუხობდა: „აბა, მთხოვეს, და მეც მივეცი“... მას, რა თქმა უნდა, არ აინტერესებდა წოდებები და ჯილდოები. ვფიქრობ, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც დიდად არ აინტერესებდა. და სავსებით არ აინტერესებდა კარიერა, ძალაუფლება და სარგებელი (ან ის, რაც ამ სიტყვაში ესმით ბოლო წლების ჩემპიონებს). მათგან განსხვავებით ძნელია წარმოიდგინო ტალი რომელიმე პარტიის წევრად...

თუმცა ბოლო დროს იგი იყო ისრაელში. ვფიქრობ, ებრაელობა მას აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც... მაგონდება, ერთი ოლიმპიადის წინ „პრავდა“ წერდა, რომ საბჭოთა გუნდში თამაშობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: სომეხი პეტროსიანი, რუსი სმისლოვი, ესტონელი კერესი, რიგელი ტალი...



თვით მას ნაკლებად აღელვებდა ჯანმრთელობა, გარეგნობა, კიდევ უფრო ნაკლებად, თუ როგორ და რას იფიქრებდნენ სხვები. იგი სხვა პლანეტის ადამიანი იყო, მას ნამდვილად აღელვებდა და აინტერესებდა მხოლოდ ერთი რამ — ჭადრაკი.

იგი მიეკუთვნებოდა იმ იშვიათ კატეგორიას, რომლებმაც უარყვეს ყველაფერი, საითკენაც მიისწრაფოდა უმრავლესობა. ამ ადამიანებმა მსუბუქი ნაბიჯებით განვლეს ცხოვრება, იყვნენ ბედის რჩეულნი, დედამიწის მშვენება. ფერფლავდა რა ცხოვრებას, მან იცოდა, რომ ეს არ იყო გენერალური რეპეტიცია, რომ სხვა აღარ იქნებოდა. მაგრამ არ სურდა და არ იცოდა სხვა ცხოვრება.

20 წლის წინათ ვთამაშობდი ჩემს პირველ ტურნირში რუსეთიდან გამგზავრების შემდეგ ვეიკ-ან-ზეეს ოსტატთა ჯგუფში. მიშა, რომელიც მთავარ ტურნირში თამაშობდა, ყოველ დღე ჩნდებოდა საერთო დარბაზში (მაშინ დიდოსტატთა ჯგუფი ცალკე თამაშობდა). ჩემს პარტიას რომ დახედავდა, მერე სხვა პარტიებსაც ათვალიერებდა. მაშინ ხშირად ვსაუბრობდით შუაღამემდე. ზოგჯერ ფეხით მიწევდა ვეიკ-ან-ზეედან ბევერვეიკში დაბრუნება. (ვისაც ჰოოგოვენის ტურნირში უთამაშია, გამიგებს, რა მაქვს მხედველობაში). იმიტომ, რომ ავტობუსი აღარ მუშაობდა, უფრო სწორი იქნება, მუშაობა არ ჰქონდა დაწყებული. მახსოვს, ერთ თავისუფალ დღეს მოეწყო დიდი ბლიცტურნირი ყველა მსურველისთვის, რომელიც მთელ დღეს მიმდინარეობდა და რომელიც მიშამ მოიგო. (თანამედროვე პროფესიონალების საყურადღებოდ: პირველი პრიზი 100 გულდენი იყო...).

უყვარდა გამოთქმა: „გემრიელ ჭადრაკს თამაშობსო“. თავადაც ასეთს თამაშობდა. საკუთარი პარტიების მისეულ კომენტარებში ჭარბობდა კეთილმოსურნეობა, რასაც ახლა ნაკლებლად შეხვდებით, მეტოქისადმი პატივისცემა და ირონია საკუთარ თავზე. პარტიის კომენტარებისას (წერა არ უყვარდა) ერჩივნა ჩვენება და მისი ტექსტის მაგნიტოფონზე ჩაწერა. ძველად კი უბრალოდ კარნახობდა. ასე გაეცნო თავის მეუღლე გელიას 1970 წლის შემოდგომაზე, როცა რაღაც ფორმალური მიზეზებით არ დაუშვეს ქვეყნის ჩემპიონატში, რომელიც რიგაში ტარდებოდა. გელია ტალის კომენტარებს ბეჭდავდა.

სვლას ყოველთვის შოკლე ნოტაციით იწერდა, თანაც ვიდრე გააკეთებდა. იშვიათად, როცა მეტოქე ძალიან ცნობისმოყვარე აღმოჩნდებოდა, მოურიდებლად იცქირებოდა მის ბლანკში, სვლას კალმით ფარავდა. თუ სვლა არ მოეწონებოდა, წაშლიდა და ახალს დაწერდა. ბოლო წლებში, ვაი, რომ სულ უფრო ხშირად ამბობდა: „მე ბლანკზეც კი ჩავიწერე მოსაგები სვლა, მაგრამ გადავშალე ბოლო მომენტში“.

პარტიამდე ერთნახევარი-ორი საათით ადრე ჭამდა, უფრო მოსაჩვენებლად, უკვე ცოტას ლაპარაკობდა, თავის სამყაროში ეფლობოდა. ასე იყო, მაგალითად, კორჩნოისთან მატჩის დროს. მესმოდა, ასეთ მომენტებში [illegible] უნდა შეგეწუხებინა. ვსადილობდით სხვადასხვა ადგილას; მატჩებამდე, სადაც ყველაფერი გათვლილია ნუთებამდე და კალორიებამდე, ჯერ კიდევ შორს იყო... რასაკვირველია, აღმერთებდა ყველაფერს, რაც არ ეჭმეოდა: მწარეს, მჟავეს, ნამცხვარს. როგორც მახსოვს, მიშა ყოველთვის ბევრს ეწეოდა (ორსამ დღეში კოლოფს), მაგრამ როცა თამაშობდა, მათ კიდევ ორს უმატებდა.

ბოლოს მიშა ვნახე შარშან შემოდგომაზე ტილბურგში. იგი გერმანიიდან ჩამოვიდა, სადაც ცხოვრობდა ბოლო დროს მეუღლესა და ქალიშვილ ჟანასთან ერთად, რომელიც ძალიან უყვარდა. საშინლად გამოიყურებოდა, ბევრად უფროსად თავის ასაკზე, მაგრამ ისევ ის ტალი იყო. ერთ-ერთი ნაცნობი რომ მიესალმა, მადლობა გადაუხადა. ის გაოცდა: „რისთვის?“ — „იმისთვის, რომ მიცანით“. ჩვეულებრივ, იგი პრეს-ცენტრში იჯდა განუშორებელი სიგარით, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველი მისი საჭადრაკო შენიშვნა არსებითი იყო. უჩვენებდა ჩვეული მანერით ერთ-ერთ ბოლო პარტიას — პანოს წინააღმდეგ ბუენოს-აირესის ტურინიდან. 90-იანი წლების ახალგაზრდები შესცქეროდნენ მას როგორც სტაუნტონს ან ცუკერტორტს. ის კი არ უკვირდათ, რომ ცოცხლობდა, არამედ ის, რომ აქამდე არ გარდაცვლილიყო.

მან ბოლო საკავშირო ჩემპიონატშიც ითამაშა და მერე დაგვიწერა ვაპანიანთან ერთად, (რომელთანაც განსაკუთრებით ახლოს იყო ბოლო წლებში) ჩვენი ჟურნალისთვის დიდი წერილი. თებერვალში, როცა კანში ვიყავი, მთხოვეს დამერეკა მიშასთვის. „მისმინე, — მეუბნება მიშა, — ახლა გკითხულობ მსოფლიო პირველობის [illegible] ... [illegible] არ იყო ... [illegible] ჩამოვიდა ... [illegible] დავპირდი, მაგრამ როგორღაც სულ ვდებდი...

თავისი ბოლო ტურნირი მიშამ ბარსელონაში ითამაშა. იყვნენ ახალგაზრდა და იმედისმომცემი მოჭადრაკეებიც. თავის დროზე ასე ხუმრობდა პერსპექტიულთა მისამართით: „ამ ასაკში მე უკვე მსოფლიოს ექსჩემპიონი ვიყავი“. ნახევარი ტურნირი მთლად ავადმყოფმა, სიცხიანმა ითამაშა. ბოლო პარტიაში, სწრაფი ყაიმის მოლოდინში, სიცილიურ დაცვაში 3. კb5 გააკეთა და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. მაგრამ უარი მიიღო. წაგებულ პოზიციაში, უკვე იერიშის ქვეშ, მისმა ახალგაზრდა მეტოქემ თავად შესთავაზა ყაიმი. ეს იყო ტალის ბოლო მოგებული სატურნირო პარტია.

ჩვენ ხშირად ვურეკავდით ერთმანეთს, ხოლო მანილაში ოლიმპიადაზე ჩემს გამგზავრებამდე ორი დღით ადრე მიშას წერილში მივიღე. აი, იგი: „ძვირფასო გენა! სამწუხაროდ, ჯერ ვერ დავწერე ტურნირზე დაპირებული წერილი — ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. ორშაბათს მივფრინავ მოსკოვში მედიკოსებთან განმეორებით გამოკვლევაზე. მოსალოდნელია ოპერაცია. როგორც უნდა იყოს, თავისუფალი დრო, აგრეთვე ჩამწერი მოწყობილობა საკმაოდ მექნება... ყოველ შემთხვევაში, გისურვებ ყოველგვარ წარმატებებს შენ და მთელს თქვენს ნაკლებად რუსულ გუნდს.

გულითადი სალმით. მიშა“.

ეს იყო უკანასკნელი სალამი, რომელიც მისგან მივიღე. მაგრამ არა, მანამდე, ვიდრე საავადმყოფოში დაწვებოდა, მოსკოვში ბლიცტურნირში [illegible] პარტია მოუგო კასპაროვს [illegible]-სამე ადგილი დაიკავა კასპაროვის და ბარეევის შემდეგ, მაგრამ გაასწრო სმისლოვსაც, დოლმატოვსაც, ვიუმანავინსაც, ბელიავსკისაც. რამდენიმე დღის შემდეგ — 1992 წლის 28 ივნისს — მიშა ტალი გარდაიცვალა მოსკოვში, საავადმყოფოში. მისი გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი: სისხლჩაქცევა საყლაპავ მილში. მაგრამ ფაქტობრივად მოიშალა მისი ორგანიზმის ფუნქციონირება. იგი დაკრძალეს რიგაში — ქალაქში, სადაც დაიბადა, ებრაელთა სასაფლაო შმერლიზე მისი ნათესავების საფლავების გვერდით. იგი 55 წლის იყო. ბოლო წლებში იგი უფრო ხნოვანი ჩანდა თავის ასაკთან შედარებით, მაგრამ არასოდეს წარმომედგინა ხანდაზმულ ადამიანად, ყოველთვის მიშად რჩებოდა.

ზოგჯერ ვეკითხებოდი საკუთარ თავს: საიდან აქვთ ევროპის ზრდილობიანი ებრაული ოჯახებიდან გამოსულ ამ ბიჭუნებს, გარეგნობითაც ერთმანეთს რომ ჰგვანან — მოდილიანს, კაფკას, ტალს — ყოვლისშემძლე თვითგამოაშკარავების ენება? სადაა აქ საიდუმლოება? არ ვიცი.

გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ვილჰელმ სტეინიცმა თქვა: „მე არა ვარ ჭადრაკის ისტორიკოსი, მე თავად ვარ ჭადრაკის ისტორიის ნაწილი, რომელსაც ვერავინ აუვლის გვერდს“. ის, ვინც შეხებია ან შეეხება ჭადრაკის საოცარ სამყაროს, ვერ უგანებს ნათელ სახელს — მიშა ტალს.

ვიცი, რომ არის დიდი სხვაობა გენიოსს შორის ხელოვნებაში და ცხოვრებაში. მე, რომელსაც ბედმა მარგუნა, ახლოს მენახა მიშა ტალი, შევეცადე ცოტა მაინც მეამბნა ამის შესახებ. ჭადრაკის გენიოს მიხეილ ტალზე მისი პარტიები ლაპარაკობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგზაურის ბედი და შემდოგა

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დედამიწის გარშემო ველოსიპედით მარტოდმარტო სამოგზაუროდ წასული ჯუმბერ ლეჟავას შესახებ „სარბიელის" მკითხველს ინფორმაცია მივაწოდეთ. მაშინ მოგზაურის მიერ ტელეფონით გადმოცემული ინფორმაციის თანახმად ჩვენი თანამემამულე პირველ სერიოზულ სიძნელეს წააწყდა. მას შემდეგ, რაც მან უკან მოიტოვა საქართველოს, თურქეთისა და კვიპროსის ტერიტორიები, მოგზაურობა ლიბანსა და სირიაში უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ პირველ ქვეყანაში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციისა და მეორეში წარმოქმნილი გართულებების გამო ამ სახელმწიფოების შესაბამისმა სამსახურებმა მისი უსაფრთხოების თაობაზე პასუხიმგებლობა ვერ აიღეს. ამიტომ ჯუმბერ ლეჟავა იძულებული გახდა კვლავ თურქეთში დაბრუნებულიყო და ისრაელში ჩასვლის გრაფიკისთვის მოეცადა. მერე იყო ისრაელიც, იქიდან მოღწეული სატელეფონო ზარიც. ბოლოს კი ველომოგზაური აფხაზეთის ოკუპაციამ, იქაურ ლტოლვილთა გასაჭირმა და სხვა ათასმა უბედურებამ ლამის სულ დაგვავიწყა.

და აი, ჯუმბერ ლეჟავამ საკუთარი თავი ისევ თვითონ გაგვახსენა. ყურმილში მისი ხმა რომ გავიგონეთ, ვიფიქრეთ, იორდანიიდან ან საუდის არაბეთიდან გვირეკავსო, მაგრამ თქვენც არ მოგკვდეთ... თბილისიდან, საკუთარი ბინიდან გვირეკავდა.

საქმე ის ყოფილა, რომ ისრაელში თბილისიდან უნდა ჩასულიყვნენ და ჯუმბერ ლეჟავასთვის დაეხვედრებინათ მარშრუტით გათვალისწინებული მომდევნო შვიდი ქვეყნის ვიზა და შესაბამისად გაფორმებული პასპორტი (ერთ პასპორტში მხოლოდ შვიდი ქვეყნის აღნიშვნა კეთდება), მაგრამ, სამწუხაროდ, თელ-ავივში მას არავინ ჩააკითხა. არ ჩააკითხა იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ



მომდევნო შვიდი ქვეყნიდან მხოლოდ ნახევარმა გაუფორმა ვიზები, დანარჩენს კი, როგორც თავად ჯუმბერ ლეჟავამ გვითხრა, მოსკოვიდან ამ დღეებში ჩამოუტანენ.

ჯუმბერ ლეჟავასთვის თელ-ავივში არა მხოლოდ პასპორტი და ვიზები, არამედ, როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, „მერსედესის" მიერ ბოძებული ველოსიპედიც უნდა დაეხვედრებინათ. სამწუხაროდ, „გინესის წიგნის" თერთმეტგზის რეკორდსმენს ეს იმედიც გაუცრუვდა. როგორც თავად გვითხრა, შინ დარჩენილი მისი მოგზაურობის ორგანიზატორებისა და ხელისშემწყობთა მოლაპარაკება საქვეყნოდ ცნობილ ფირმასთან რატომღაც ჩიხში მოექცა.

გაჭირვებულს ქვა ალმართში დაეწევაო და, ის ველოსიპედიც, რომლითაც მოგზაურმა ისრაელის მერე ნახარიაც შემოიარა, კვლავ თელ-ავივში დაბრუნდა და 9 000 კილომეტრი [illegible] მოიტოვა, თურმე თბილისში ჩამოფრენისთანავე თვითმფრინავშივე, ბარგის მისალებში თუ ამ





განყოფილებაში მიტანამდე მოპარეს.

პო, თელ-ავივში ჯუმბერ ლეჟავასთვის ორგანიზატორებს ვიდეოკამერა და ფოტოაპარატიც უნდა დაეხვედრებინათ, რათა მოგზაურს მათი საშუალებით თავისი დიდი ოდისეა ჩვენთვისაც გაეცნო, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ხუთი ქვეყნის გზათა დამპყრობი თავის შთაბეჭდილებებს მხოლოდ კალმით აღწერს და უკვე ორასი თაბახის დაწერა მოუსწრია. ამ შთაბეჭდილებებიდან ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი, ეტყობა, 64 ღამისთევიდან ბუნებაში ღია ცის ქვეშ გატარებული, 23 ღამე აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მან უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს ღამეები გაიხსენა, განსაკუთრებით კი თურქეთის მთებში, მარილის ტბის სანაპიროებთან კოკისპირულ წვიმაში გატარებული ღამე. არადა, ლეჟავას გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გაახსენდათ, რომ მოგზაურს კარავი უთუოდ დასჭირდებოდა, მაგრამ შესაფერისი ვერსად იშოვეს. მერე გადაწყვიტეს, რომ კარავს იგი თურქეთში შეიძენდა, მაგრამ ჯერჯერობით ლეჟავა კვლავ „საკუთარი ჭერის" გარეშეა.

არ იფიქროთ, რომ ჯუმბერ ლეჟავას ამ მოგზაურობაში მხოლოდ უბედობა ადევნებია. პირიქით, ფორტუნა ხშირად უმართლებს. მაგალითად, თურქეთში, ერთ-ერთ რესტორანში იგი მოკვლას თუ არა, თურმე ერთ კარგ მიბეგვას გადაურჩა. თურმე თურქი შოფრები ახირებულან ეს კაცი თუ მართლა გურჯია, აქვე მივასაკლავებთო. ის შოფრები საქართველოში დაუყაჩაღებიათ, უცემიათ და ახლა ჯავრის ამოყრა პირველსავე შემხვედრ ქართველზე განუზრახავთ. პირველი მაინცდამაინც ეს ჩვენი დედამიწის გარშემო მოგზაური აღმოჩნდა, მაგრამ ლეჟავას სხვა თურქების დახმარებით ფორტუნამ ზურგი არ შეაქცია.

ისიც ბედი იყო, რომ საქართველოს ავიაკომპანია „ორბმა" მას ხელი გაუმართა და თელ-ავივიდან თბილისში უფასოდ გადმოაფრინა, რათა ისრაელის დედაქალაქში ვიზების მოლოდინში უქმად არ ეყურყუტა. თან „ორბი" დაპირდა, უკანაც უსასყიდლოდ დაგაბრუნებო.

ჯუმბერ ლეჟავას ბედი იმაშიც ჰქონია, რომ, როგორც იტყვიან, შავი დღისთვის ახალი ველოსიპედი შემოუნახავს. მომავალ კვირას თავის ველოსიპედიანად მას კვლავ თელ-ავივში ჩააფრენენ და მოგზაურობასაც იქიდან გააგრძელებს.

კვირას ჯუმბერ ლეჟავა ესტუმრა საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II, რომლის რჩევა-დარიგებითა და ლოცვა კურთხევით მან მოგზაურობა დაიწყო.

დღეს საქართველოში იმდენი პრობლემებია, ასეთ დროს თქვენი მოგზაურობა მაინც ფუფუნებად მიმაჩნია. იქნებ ჯობდა მოგზაურობა მაშინ დაგეწყოთ, როცა საქართველოში ყველაფერი დალაგდებაო, უთხრა ილია II.

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ მოგზაურობისას ხშირად მეუბნებოდნენ, ქართველები მცირერიცხოვან ერებს ჩაგრავთო, მე კი სულ საწინააღმდეგოს მტკიცებაში ვიყავი და ამის შემდეგ ბევრმა ჩვენი სიმართლე ირწმუნა. იქნებ ამისთვისაც ღირდა მოგზაურობის დაწყება. — იყო პასუხი.

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტო

გარდაიცვალა სახელგანთქმული მოჭიდავე

## შოთა ლომიძე

„სარბიელი" პატივს მიაგებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ხსოვნას



## საჯილდაო

### მეშვიდე წრის პასუხები

(1) რა განსხვავებაა ბიათლონში ჯარიმებს შორის 10 და 20 კილომეტრებზე რბენის დროს? — 10 კმ-ზე რბენისას ყოველი აცილებისათვის 150-მეტრიანი საჯარიმო წრე ემატება, 20 კმ-ზე კი — ორი წუთი საჯარიმო დრო

(2) ვინ იყვნენ „პტიცა", „ფარჩო", „სიომა" და „ვობლა"? ბურთაობის რომელ სახეობებში მონაწილეობდნენ? რომელ გუნდებში? — „პტიცა" — ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი, „დინამო"); „ფარჩო" — თამაზ ანთაძე (ხელბურთი, „ქარიშხალა"); „სიომა" — ვლადიმერ ბარქაია (ფეხბურთი, „დინამო"); „ვობლა" — ზურაბ ხარშილაძე (რაგბი, „ლოკომოტივი")

(3) ვის და როდის ეთამაშა მაია ჩიბურდანიძე მსოფლიო პირველობის ფინალებში? ვის ვერ მოუგო? — 1978 წელს გაფრინდაშვილს, 1981 — ალექსანდრიას, 1984 — ლევიტინას, 1986 — ახმილოვსკაიას, 1988 — იოსელიანს, 1991 — სიჟუნს; ვერ მოუგო ალექსანდრიასა და სიჟუნს

(4) რა ჰქვია რაგბის სახალისო ნაირსახეობას? რით განსხვავდება დიდი რაგბისაგან? სად ეწყობა უთვალსაჩინოესი ტურნირი ჩვენში და საზღვარგარეთ? ტრადიციულად ვის მიიჩნევენ ამ თამაშის ჯადოქრებად? — შვიდკაცას შვიდ-შვიდი კაცი სრულ მოედანზე ორჯერ შვიდ წუთს თამაშობს; ჩვენში — ვაკეში, საზღვარგარეთ — ჰონკონგში; ფიჯელები

(5) რომელ საბჭოურ გუნდში თამაშობდნენ ჩვანსა, მვანზა და მაკინკა? რომელი ქვეყნიდან იყვნენ ეს ფეხბურთელები? — სამი ზამბიელი ზანგი დუშანბეს „პამირში" თამაშობდა

(6) ვინ იყო რადივოე კორაჩი? რა დამსახურება მიუძღვის კალათბურთის წინაშე და რით დაუფასდა ამაგი? — იუგოსლავი კალათბურთელი; ევროპული ტურნირის ერთ მატჩში კვიპროსელებს 99 ქულა ჩაუგდო, მაგრამ ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ფიბა-მაც მისი სახელობის თასის გათამაშება დააწესა

(7) ვინ იყო პირველი ნომერი ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაციის შემოღებისას? როდის? ვისი ზეობა გაგრძელებულა ყველაზე მეტხანს? — რუმინელი ილიე ნასტასე, 1973 წელს; ივან ლენდლისა

(8) ოვალური ბურთის ოჯახი რომელ ბურთაობებს აერთიანებს? რომლის გუნდში რამდენი მობურთალია? — ამერიკულ ბურთაობას (11 კაცი), კანადურ ბურთაობას (12), ლიგის რაგბს (13), რაგბს (15) და ავსტრალიურ ბურთაობას (18)

(9) რა წესით სრულდება სამხტომი, ანუ როგორაა შეზღუდული ფეხთა მონაცვლეობა? — პირველი და მეორე ნახტომისას საყრდენი ფეხი ერთი და იგივე უნდა იყოს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«ლომბარდი»
თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი
მინაგობანკი
Commercial Bank
MINAGOBANK
სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407
„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"




# დესპანი მორბენალი

მერლინ ოტი (ფოტოზე) ერთი კვირის წინ შინ, იამაიკაზე ჩავიდა. დედაქალაქ კინგსტონში მას მთელი ქალაქი გამოეგება. ოტი ღია მანქანაზე დასვეს და ქუჩებში გაატარ-გამოატარეს. ტრიუმფატორის შესახვედრად გამოვიდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც, ბატონი პ. ჯ. პატერსონიც. მან ოტის დიდი პატივი დასდო — შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატზე გრძელი სპრინტის მოგებისათვის კარიბეთის დედოფალს იამაიკის საპატიო ელჩობაც უბოძა!

**მძლეოსნობაზე** მწერალ ბრიტანელ ჟურნალისტთა ასოციაციამ ქვეყნის საუკეთესო ვაჟ მძლეოსნად უელსელი თარჯმორბენალი, 110 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენი კოლინ ჯექსონი დაასახელა. მან სულ მცირედით აჯობა სპრინტერ ლინფორდ კრისტის. ქალებს შორის ერთხმად გაიმარჯვა ასევე თარჯმორბენალმა მსოფლიომა რეკორდსმენმა სალი განელმა, რომელსაც ამ კონკურსში შარშანაც ეპირველა.

**ილინოისში**, ბუფალოში გამართულ უნივერსიადაზე დოპინგის მიღებაში მხილების ერთადერთი შემთხვევა გამოვლენილა. ანაბოლური სტეროიდის ხმარების კვალი აღმოუჩინეს ნიგერიელ სპრინტერ ქალ იმე აკპანს. მას ჩამოერთვა ოქროს მედალი, რომელიც მეორე ადგილზე გასულ ამერიკელს დონ ბოულზს გადაეცემა.

**31 ოქტომბერს** ესპანეთის ბასკეთში, სან-სებასტიანში გამართება მარათონელთა მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც ოთხი მსოფლიო რეკორდის დამამყარებელი ჩინელი სტაიერი ქალებიც იასპარეზებენ.

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა საგაისო დევისის თასისათვის განთესილ ქვეყანათა ვინაობა. პირველ კალათში მოხვდნენ წლევანდელი ფინალისტი გერმანია და პირველსავე წრეში ძლეული აშშ, მეორეში კი — ასევე ფინალისტი ავსტრალია. ფედერაციამ განმარტა, რომ გაითვალისწინა გუნდების ბოლოდროინდელი შედეგები და მათი სავარაუდო შემადგენლობებიც. დევისის თასზე გაისად გუნდების სარეკორდო რაოდენობა — 109 ჩაებმება, წესით — საქართველოც.

**აშშ-ის** ნაკრებს ახალი კაპიტანი ჰყავს. წლევანდელი წარუმატებლობის შემდეგ ტომ გორმანი პოსტიდან გადადგა. მის შემცვლელებად იმთავითვე ასახელებდნენ სტენ სმითს, ბრედ გილბერტს, ჯონ მაკინროუსა და ტომ გალიქსონს. ყველაზე მეტად მაკინროუ აქტიურობდა. იგი შეეკრა სამპრასს, აგასისა და კურიეს და თავი კაპიტნობის კანდიდატად წამოაყენებინა, მაგრამ ზედ არჩევნების წინ გადაიფიქრა და ჩოგბურთში მოთამაშედ დარჩენა ირჩია. აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციამ კი ერთი კვირის წინ, ერთი შეხედვით, სხვებზე ნაკლებად სახელმოხვეჭილი კაცი ჩაუყენა გუნდს სათავეში. მართლაც, 42 წლის ტომ გალიქსონი დიდი ჩოგბურთელი არ ყოფილა. 1970-80-იან წლებში ტყუპისცალ ტიმთან ერთად იგი სისტემატურად მონაწილეობდა პროფესიონალთა შეჯიბრებებში, მაგრამ ერთეულთა ერთადერთი და წყვილთა 12 ტიტული მოიგო. სამაგიეროდ, გალიქსონი მშვენიერი პედაგოგი გამოდგა: მას არაერთი ცნობილი ოსტატი უვარჯიშებია, კაპიტნობამდე ქვეყნის ჩოგბურთელთა მთავარ მწვრთნელადაც მუშაობდა, ხუთი წლის განმავლობაში კი თურმე ჩოგბურთის განვითარების პროგრამას ხელმძღვანელობდა. ასოციაციის პრეზიდენტის ბამფი ფრეიზერის რწმუნებით, გალიქსონი ჩოგბურთის დიდი მცოდნე ყოფილა.

## საჩოგბურთო აკიდო


ანდრე აგასი

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ ანდრე აგასის დევისის თასის უახლოეს მატჩში მონაწილეობა აუკრძალა. ამან კიდევ უფრო დაუმძიმა ხვედრი უიმბლდონის ექსჩემპიონს, რომლისთვისაც წლევანდელი სეზონი ერთობ უიღბლო გამოდგა. აგასი გავარდა მსოფლიოს მოწინავე ოცეულიდან; ტონზილიტის გამო მას გაუცდა ავსტრალიის ღია პირველობა, მაჯის ანთების გამო — საფრანგეთის ღია პირველობა, აშშ-ის ღია პირველობას კი პირველსავე წრეში გამოეთიშა. მისი ძმისა და კომერციული პარტნიორის ფილიპის მტკიცებით, ანდრეს მაჯა მაისში გაუმიზეზდა, მაგრამ იმდენად სურდა უიმბლდონში თამაში, რომ ტრავმა კიდევ უფრო გაირთულაო. ახლა აგასი ექიმთა რჩევით ხელს ასვენებს, რის გამოც ნოემბერში პარიზის ღია პირველობაზე ვერ გამოვა, მაგრამ სხვაფრივ ვარჯიშობს და იანვარში მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს აპირებს.

**მელბურნში** ელიან მონიკა სელეშს, რომელიც ა ტურნირის ზედიზედ მეოთხედ მოგებას შეეცდება. სელეში ვარჯიშობს და დეკემბერში დუბლინის საჩვენებელ ტურნირშიც გამოვა, მაგრამ ჰამბურგის სასამართლოს წინა სამშაბათისეულმა გადაწყვეტილებამ ისიცა და უამრავი სხვაც შეაძრწუნა. საქმე ისაა, რომ [illegible] მართლმსაჯულება წარმოუდგენლად ლმობიერად მოეპყრო სელეშის დამჭრელს, გდრ-ყოფილს, 39 წლის გიუნტერ პარხეს, რომელმაც მონიკა აპრილში ჰამბურგის ღია პირველობაზე ასპარეზობისას დანით ბეჭში დაჭრა. პარხეს სასამართლოზე განუცხადებია, რომ რკინის ფარდის მიღმა მცხოვრებმა ბრილიანტისთვალება შტეფი გრაფი ტელეეკრანზე რომ ვნახე, შემიყვარდა, და ამიტომ სელეშს ვერ ვაპატიე, შტეფის პირველი ჩოგანი რომ ჩამოართვაო. პარხეს მტკიცებით, მას მონიკას მოკვლა არც უფიქრია, მხოლოდ მკლავში დაჭრა დაუპირა, ჩოგბურთისთვის თავი რომ დაენებებინა, მაგრამ რაღაც ეშმაკად სელეშს გაუბრძოლია და დანა ბეჭში ჩასობია (?!). სასამართლოზე პარხეს დამცველებმა იმარჯვეს და მსაჯულებს დაუტკიცეს, რომ ბრალდებული ერთი საწყალი ყარიბი ვინმეა და თუ შეიწყალებთ, მსგავს რამეს აღარასოდეს ჩაიდენსო. ამით გულაჩუყებულმა სამართლომაც პარხეს ორწლიანი პირობითი პატიმრობა დაუდგინა და მეორე დღესვე შინ საღსალამათი გაისტუმრა, რასაც მთელს მსოფლიოში მძაფრი რეაქცია მოყვა. სელეშმა განაცხადა, დამნაშავე თავისს ყოველდღიურ ყოფას უბრუნდება, მე კი, უმანკო, წელებზე ფეხს ვიდგამ, როგორმე რომ დავუბრუნდე ჩოგბურთსო. ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის თავმჯდომარემ პემ შრაივერმა განაჩენს საძრახისი უწოდა, გერმანიის სახელმწიფო ბრალმდებლები კი განჩინების გასაჩივრებას აპირებენ, ვინაიდან მათი აზრით „იარალით განზრახ თავდასხმა, რასაც შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მოყვა", უმნიშვნელო დანაშაული როდია.

**გერმანიის** ქალაქ მანჰეიმის სასამართლოში კი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი შტეფი გრაფი იყო მომჩივანი და მან მოიგო კიდეც საქმე გერმანული როკ-ჯგუფის „დი ანგეფარენენ შულკინდერის" წინააღმდეგ. ანსამბლს 60 ათასი მარკის გადახდა მოუწევს იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც ჩოგბურთელს მიაყენა თავისი სიმღერით, სადაც დაუფარავად იყო მინიშნება შტეფის ინტიმურ ურთიერთობაზე საკუთარ მამასთან. ეს სიმღერა ანსამბლმა შარშან ჩაწერა ინგლისურ ენაზე. გრაფის ჩივილის შემდეგ სასამართლომ ჩათვალა, რომ „ასეთ ლირიკას არაფერი აქვს საერთო ხელოვნებასთან, ანდა სატირასთან". საქმის გარჩევას არც ჩოგბურთელი დასწრებია და არც როკ-ჯგუფის წარმომადგენლები. გრაფის ადვოკატის თქმით, სპორტსმენი მოგებულ თანხას რაიმე სასიკეთო საქმეზე დახარჯავს.

**ამასობაში** გრაფი მკურნალობდა. მას მარჯვენა ტერფიდან ძვლის ნამსხვრევი დროზე ამოაცალეს, თორემ რომ დაეხანებინა, თურმე ნერვი დაუზიანდებოდა და კარგა ხანს ველარ ითამაშებდა. მართალია, გრაფი ამ კვირაში ვერ ითამაშებს ბრაიტონის (ინგლისი) ტურნირში, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობისთვის უსიკვდილოდ მზად იქნება. ინგლისელი ორგანიზატორები გამოკლებული [illegible] კვლავის მაგივრად ახლა ნავრატილოვას ან სანჩეს-ვიკარიოს დაყოლიებას ცდილობენ.

**წინისწინა** კვირაში უიშვიათესი რამ მოხდა ტოკიოს ტურნირში: V-VIII ნომრებად განთესილები: ივანიშევიჩი, კრაიჩეკი, კორდა და ვოლკოვი მერვედფინალში გავარდნენ, I-IV ნომრები: ედბერგი, ბეკერი, ჩანგი და მედვედევი — მეოთხედფინალში! (შედეგები იხ. „დაფაზე")

## კონსერვატორებმა ბურთაობა შეიწყნარეს

კანადის უკიდურესი დასავლეთი შტატის — ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ვიქტორიაში გაიმართა ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშების ფედერაციის [illegible]ომა, რომელმაც არაერთი საყურადღებო ცვლილება შეიტანა შეჯიბრების პროგრამაში.

თ[illegible]ნამედროვე თამაშების მესვეურებისა არ იყოს, თანამეგობრობის თამაშების მომწყობნიც დასაბამიდანვე ალმაცერად უყურებდნენ სპოორტის გუნდურ სახეობებს, რის გამოც ისინი არც გაისად, ვიქტორიაში გასამართი თამაშების პროგრამაში იქნება. ახლა უცნობლობის ყინული გალხვა. ვიქტორიას შემდეგ თამაშებს მალაიზიის დედაქალაქმა კუალა-ლუმპურმა უნდა უმასპინძლოს 1998 წელს. მასპინძელთა მოთხოვნის პასუხად ფედერაციის მდივანმა დევიდ დიქსონმა საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ხუთი წლის შემდეგ თამაშებზე ნაღდი თამაშებიც გაჩაღდება — გაიმართება ტურნირები ერთდღიან კრიკეტში, შვიდკაცაში (შვიდკაციან რაგბში) და ბალახის ჰოკეიში (ქალებისათვის და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე).

გარდა ბურთაობების აღიარებისა, გამოცხადდა: რომ 2002 წლიდან ქალები იასპარეზებენ სამხტომში, ძალოსნობასა და ჭიდაობაში; რომ გაისიდან თამაშები მოეწყობა ხეიბართათვისაც; რომ ზოგ სახეობაში, რომლებიც თამაშების პროგრამაში არ შედიან — მაგალითად, მშვილდოსნობაში, ძიუდოში და ორივე ყაიდის ნიჩბოსნობაში, ყოველწლიურად გაიმართება თანამეგობრობის ჩემპიონატები; რომ ამიერიდან გაუქმდება ქალების სასქესო გასინჯვა; რომ 2002 წლიდან თამაშების პროგრამას მასპინძლები შეადგენენ შემდეგი წესით: მძლეოსნობასა და ცურვას უცილობლად ჩართავენ ასპარეზობათა ნუსხაში, დანარჩენ არანაკლებ რვა სახეობას კი თავისი შეხედულებისამებრ აირჩევენ 18 სახეობის სიიდან, რომელსაც ვაჟთა სამჭიდი („ტრიათლონიც") დაემატა.

## ახალი რეკორდი

ამერიკელი მენავთობე ბიზნესმენი დიკ ბასი, 1985 წელს ევერესტს რომ იპყრობდა 55 წლის იყო. მას შემდეგ ტეხასელი მილიონერი ითვლებოდა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ყველაზე ხნიერ დამპყრობად. რეკორდმა რვა წელიწადს გაძლო. ახლახანს [illegible] დედაქალაქ კატმანდუდან მსოფლიოს მოედო ცნობა, რომ 60 წლის ვენესუელელმა რამონ ბლანკო სუარეზმა წარმატებით დალაშქრა ევერესტი. შეგახსენებთ, რომ ეს მწვერვალი, 1991 წელს, 54 წლისამ ქართველმა მთამსვლელმა რომან გიუტაშვილმაც დაიპყრო. სუარეზი [illegible] ჩამოსული იყო, როდესაც ხუთმა ფრანგმა მთამსვლელმა მწვერვალზე ფეხი [illegible]. თუმცა ეს ამბავი უკვე „ახალგაზრდულ ასვლათა" კატეგორიას განეკუთვნება.

## აქეთური, იქითური

ლა-მანშის გვირაბის გახსნის აღსანიშნავად გაისად „ტურ-დე-ფრანსის" ორი ეტაპი ბრიტანეთში გაიმართება. ერთი დუვრიდან ბრაიტონამდე [illegible], მეორე კი პორტსმუთში [illegible] და დამთავრდება. ისე კი, ტურის ორგანიზატორებს [illegible] საფრანგეთის მეზობელ ქვეყნებში გამართვა.

*

სოკ-ის ბოლო, 101-ე სესიაზე, რომელიც მონტე-კარლოში გაიმართა, თურქმენეთი ამ ორგანიზაციის მუდმივ წევრად მიიღეს. ამრიგად 1996 წელს ატლანტაში ეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა დამოუკიდებელი გუნდით გამოვა

*

ბომბეიში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ტიტული შეინარჩუნა ინდოელმა მობილიარდემ გიპ სეთიმ, ვინაც 999 ქულით სძლია ინგლისელ მაიკ რასელს. სეთიმ, რომელიც ერთადერთი ინდოელი მსოფლიო ჩემპიონია, გადამწყვეტ თამაშს ოთხი საათი მოანდომა და ჯილდოდ 13 500 დოლარი დაიმსახურა.

*

„ოლდ ტრაფორდზე" იუბენკ — ბენის ფრედ დამთავრებული შერკინების შემდეგ პროფესიული კრივის ცნობილმა იმპრესარიომ დონ კინგმა ანგარიშის დათვლის არსებული ხერხის წინააღმდეგ გაილაშქრა, აქაო და საზოგადობას ერთობ აბნევსო და ვერც ფრე დატოვებდა ვიმე კმაყოფილსო. გამოცხადდა ისიც, რომ მოკრივენი გაისად მაისივნისში კვლავ შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

*

ამერიკელი მეგოლფე ჯეფ მაგოტი თავიდან არ აპირებდა ფლორიდის შტატში, ლეიკ-ბოანივისტაში, „უოლტ დისნი კლასიკში" ასპარეზობას, მაგრამ ხუთი წლის ვაჟი ჩააცივდა, დისნეილენდის დათვალიერება მსურს და შეჯიბრზე აუცილებლად წავიდეთო. ბავშვის ახირება მამისთვის იღბლიანად დასრულდა: პროფესიონალმა, ვისაც ტურნირი კარგა ხანი იყო, არ მოეგო, საარაკო შედეგი — ოთხგზის ნორმაზე 23-ით უკეთესი (265 დარტყმა) აჩვენა და 200 ათასი დოლარი პრიზიც მიითვალა. არადა, ბოლო დღეს ამ შეჯიბრების მონაწილეებს გზის გავლა ორჯერ მოუხდათ, ვინაიდან წინა დღეებში წვიმამ და ჭექა-ქუხილმა ტურნირი, ლამის იყო, ჩაშალა.

*

ჩარლზ ბარკლიმ („ფინიქს სანზი") ქომაგები სულ ტყუილად აალელვა: წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ, რომელსაც ვარჯიშის დროს ფეხი მოეკვეთა და წაქცეული ველარ წამოდგა, ექიმებმა გულდასმით გასინჯეს და დაასკვნეს, რომ ხერხემალში ქირურგიული ჩარევა სულაც არ ყოფილა საჭირო. ვარსკვლავი თურმე ოდნავ გადაღლილა და დასვენება სჭირდება. რაც შეეხება NBA-ს ჩემპიონ „ჩიკაგო ბულზს", მან მაიკლ ჯორდანის ნაცვლად გუნდში მიიღო 24 წლის ხორვატი ტონი კუკოჩი, რომელსაც იმდენი პატივი დასდო, რომ 7 ნომერიც კი შეუნარჩუნა. კუკოჩს, რომლის სიმაღლეც 208 სანტიმეტრია, 1990 წელს ევროპის საუკეთესო კალათბურთელად უცვნიათ, 1992 წელს კი ბარსელონაში ხორვატიის ნაკრებში მეორე ადგილზეც გასულა, ჩიკაგოელთა მტკიცებით, თურმე არც ხიბლი აკლია და ბურთიც ერთობ ჰყვარებია, ამ ბოლო თვისებას კი ამერიკელები ერთობ აფასებენ.

*

სამაგალითო მუშტი-კრივი გაიმართა ევროპის საკლუბო თასზე დანიისა და ჰოლანდიის ჰოკეისტთა მეოთხედფინალური თამაშის დროს. მატჩის ბოლომდე 8 წუთი რომ რჩებოდა, დანიელებმა სცემეს ჰოლანდიელი და გუნდური ჩხუბიც ატყდა, რომელმაც 15 წუთს გასტანა. სად იყო და სად არა, მოჩხუბართა გასაშველებლად მოედანზე შეიჭრა ორი დანიელი პოლიციელი, მაგრამ ჰოლანდიელებმა არამ[illegible]ებსაც საკადრისი მიუზღეს, რის გამოც დანიის მართლმსაჯულებამ ერთი სტუმარი 300 დოლარით დააჯარიმა, ორი კი — 150-150 დოლარით. რაც შეეხებათ პოლიციელებს, ერთ მათგანს მუნდირი მთლად დაეხა. როგორც ვარაუდობენ, ჰოლანდიურ კლუბს ორი წლით აუკრძალავენ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას.

აქეთური, იქითური


სარბიელი

[illegible] გაზეთი
სპორტულ[illegible]

გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით

ინდექსი 66441

რაი[illegible] გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

[illegible] „სამშობლოს" საგამომ[illegible] იბეჭდება [illegible] 29 კორპუსში; ხოშარაულ[illegible]

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)